გამოცემა „ახალი მკითხველისა“ № 1.

დ. კუდრიავსკი.

როგორ ცხოვრებდნენ

ადამიანები ძველად.

(პირველ-ყოფილის კულტურის მიმოხილვა).

თარგმანი
ის. ქვიცარიძისა.

ტფილისი
ხტამბა ეკ. ივ. ხელაძისა
1896

Дозволено цензурою Тифлисъ, 8 Февраля 1897 года.

მესავალი.

ადამიანს ერთბაშად არ მიუღწევია იმ მდგომარეობამდე, რაც მას ეხლა უპირავს. აუარებელი შრომა დასჭირდა მას ამ მდგომარეობამდე მისაღწევად. არა ერთ კაცს უშრომნია ამაზე, არამედ მთელ საზოგადოებას შეუტანია თავისი წვლილი ამ საზოგადო საქმეში. ერთი თაობა მეორეს ცვლიდა რამდენისამე საუკუნისა და ათასის წლების განმავლობაში; ადამიანი ვერც-კი ამჩნევდა, რომ მისი ცხოვრება იცვლებოდა და ხშირად სრულიად დარწმუნებული იყო, რომ იგი სწორედ ისევე ცხოვრებს, როგორც მის მამებს უცხოვრიათ. ასე ნელის ნაბიჯით მიდიოდა კაცობრიობა წინ და ამავე დროს სულ თანდათან იალვილებდა არსებობას. მაგრამ ჩვენ საიდან-ღა გავიგეთ, რომ კაცობრიობამ ნამდვილად გაიარა ეს გზა, თუ ეს არავის ახსოვს და ყველას-კი ჰგონია, რომ მათი წინაპრებიც ისე ცხოვრებდნენ, როგორც ის ცხოვრებს ახლა?..

ჩვენ ალბათ ერთბაშად გვაქვს შეძენილი. ეს ჩვენ ვნიცით ერთის მხრით ადამიანთა წინანდელ ცხოვრების ნაშთებიდგან, რომელნიც ჩვენ დრომდე შენახულან. ბევრს ადგილას ჰპოულობენ ბრწყინვა ადამიანის ძვლებს, ჩონჩხებს, ქალაქს; იქვე ჰპოულობენ სხვა-და-სხვა ჭურჭლებს, ავეჯეულობას, სამკაულებს, რომელნიც, ცხადია, ეკუთნოდნენ ამ დროინდელ ადამიანებს. ჩვენ-

ასაფლავებდნენ. აი ამ ნაშთების საშუალებით ვტყობულობთ ჩვენ—როგორ ცხოვრებდნენ ადამიანები ძველად.

ჩვენ ვიცით ეს აგრეთვე ძველი მწერლობიდან, რომელიც პირდაპირ მოგვითხრობს ძველი ხალხის ცხოვრებას, და სწორედ იმ დროიდან, როცა ადამიანმა ისწავლა თვისი აზრების ჩაწერა, ჩვენ დრომდე შეგვიძლია საკმაო სინამდვილით გადმოვცეთ თვითეული ამ ხალხის ისტორია.

მაგრამ არც ისე ცოტა დრო გასულა მანამდე, სანამ ადამიანი თვისის აზრების ჩაწერას ისწავლიდა. მაშ, როგორ გავითვალისწინოთ ის დრო, როცა ადამიანმა ჯერ კიდევ წერა არ იცოდა? როგორ აღვადგინოთ ისტორიის წინა-დრო? შეძლებდა, რასაკვირველია, გვევარაუდა თუ რა ცვლილებანი მომხდარა იმ დრომდე, მაგრამ ამისთანა ვარაუდობას ხომ ბევრი არ დაეჯერება: ერთი ასე ჰფიქრობს, მეორე ისე და, ვინ არის მართალი, ველარ გაგვიგიჩევია.

ამ საკითხის გასარკვევად მოგვეხმარა შემდეგი გარემოება, როცა აღმოაჩინეს ამერიკა და შემდეგ ავსტრალია, ევროპასა და ახალ ქვეყნებს შორის გაიმართა მუდმივი მიმოსვლა. იქ მისულმა პირველმავე მეზღვაურებმა მიაქციეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ იქ ცხოვრებდნენ სრულიად სხვანაირად, ვინემ ევროპაში. ავსტრალიასა და ამერიკაში აღმოჩნდნენ იმისთანა ადამიანებიც, რომელნიც მთლად შიშვლები დაიარებოდნენ, და ისეთებიც, რომელთაც უკვე იცოდნენ დიდი შენობების აგებაც. ყველაზე უწინ-კი ადამიანს თვალში მოხვდა ის განსხვავება, რომელიც არსებობდა ევროპელთა და ახლად აღმოჩენილ ხალხთა ცხოვრების შორის.

ევროპიელებმა ერთბაშად შეხიშნეს, რომ ეს ახალ-აღმოჩენილი ხალხები ამათზე უფრო დაბლა დგანან ფანაცლებით, რომ ისინი ველურები არიან, ადიერა, ამაინკე ზიზღი მათდამი, გაჩნდა მტრობაც. მით უფრო, რომ ადგილების

მკვიდრთ, რასაკვირველია, არაფრათ უსიამოვნებოდათ ახალი სტუმრები. მაგრამ ევროპიელებს ძალა-უნებურად მოუხდათ შეჯახება იმ ადგილების მკვიდრთან, ახალ ადგილებში გადასახლებულ ევროპიელთათვის ეს ხალხები ყოველ შემთხვევაში მეზობლები იყვნენ, თუმცა ბრა სასურველნი-კი. საჭირო შეიქმნა მათი ყოფა-ცხოვრების გაცნობა. იყვნენ იმისთანა პირებიც, რომელნიც ამ ველურებს მეგობრობას უწევდნენ და მათ შორის ცხოვრებასაც-ჯი იწყებდნენ. მეორე მხრით, ჟამ დაემშვიდებინათ მოუსვენარი მეზობლები, კათოლიკე ბერები უქადაგებდნენ მათ სახარებას და ამისათვის-კი, რა თქმა უნდა, მათ უნდა შეესწავლათ იმ ხალხთა ენები და ავ-კარგი. ამნაირად ეცნობოდნენ ევროპიელები ველურ ხალხთა ცხოვრებას, და რაც უფრო წინ მიდიოდა ეს საქმე, მით უფრო აშკარადა სჩანდა, რომ სრულიადაც ისე დიდი განსხვავება ჯრა სუფევდა ევროპიელსა და ველურ ხალხთა შორის.

აღმოჩნდა, რომ იმათაც ექვთ მრავალი შეგრგ თვისებანი, რასაც ევროპიელებში ვერ იპოვით, რომ ბევრში ევროპიელებიც ჩამოურჩებოდნენ ამ ველურებს. ბოლოს დამტკიცდა, რომ ბევრი იმ ზნე-ჩვ ულებათაგანიც, რომელიც ველურ ხალხსა ჰქონდა, ერთს დროს ევროპიელთა კუთვნილებასაც შეადგენდა.

ევროპის სხვადასხვა ადგილებში ჰპოულობენ იარაღებს, ავეჯეულობას, სამკაულებს, იმათ მსგავს ნივთებს, როგორაც ველურები ხმარობენ. სწავლულები განგებ თხრიდნენ მიწას და ჰპოულობდნენ ეუარებელ ამგვარ ნივთებს, ეს ავეჯეულობამ მსგავსება, შეთანხმება, იმით აიხსნა, რომ ჩვენი წინაპრებიც ისე ცხოვრობდნენ, როგორც დღეს ცხოვრობენ ველურები. აი სწორედ აქ იწყება ჩვენის წარსულის შესწავლა. აღმოჩნდა, რომ ველურთ ცხოვრებაში ჩვენს თვალ-წინ ხდება ის, რაც ოდესღაც ჩვენს წინაპრების ცხოვრებაში ხდებოდა.

როცა ამნაირად გამონახეს გასაღები ამ საქმის გარდასაწყვეტად, კიდე უფრო ყურადღებით დაიწყეს ველური ხალხის ცხოვრების შესწავლა. ეხლა ისე-კი არა ჰხედავდნენ ამ ხალხს, როგორც მხეცს, როგორც ველურს, არამედ ისე, როგორც თვით თავიანთს შორეულს წინაპარს. ამ ხალხის ცხოვრებაში ევროპიელები ჰხედავდნენ თვით თავიანთ წარსულ ცხოვრებას, მათში ეძებდნენ პასუხს იმ საკირ-ბოროტო ამიცანაზე, რომლის ახსნა-განმარტებაც არ შეეძლო ევროპის ხალხთა ისტორიას.

ამ რიგად ევროპიელებმა იპოვეს თვისი წარსული და შეესძლეს დაეწერათ მთელის კაცობრიობის ისტორია. იმ დროდან, როცა ადამიანი მარტოდ-მარტო ებრძოდა ბუნებას და ძლივს-ძლივობით შოულობდა ლუკმა პურსა არსებობისათვის; როცა მას არა ჰქონდა არავითარი საშუალება გარეშე პირობებთან და ძალებთან საბრძოლველად; მართალია ბუნებაბევრს რასმეს ასწავლიდა დაეძლევდა მას, მაგრამ ამ ბუნების ძალებსაც მოხმარება, შესწავლა და მიგნება უნდოდა.

აი საიდან იწყება კაცობრიობის ისტორია. ადამიანი არის ბუნებაში, რომელიც ძალეს ძს უველაფერს, რაც ესაჭიროება, თუ რომ იგი გამოსადეგს მიაგნებს და მოიხმარს მას. მაგრამ იმავე ბუნებას არა მცირედი ენება მოაქვს-მისთვის. ადამიანი იგიგე ცხოველია და მხოლოდ მაშინ ამაღლდება უველა სხვა ცხოველებზე, როცა იმათზე უკეთ ძალეხმარს ბუნების ნაძალებს, რაცა ესაჭიროება ბრძოლას ბუნებასთან და ასცდებოდეს, ამ საშუალებით, რომელსაც თვით ბუნება აწვდის მას. ამ ბრძოლაში ადამიანი ანჯითარებს უველა ოსტვის ძალებს, ნიჭსა და ბუნებას ამარჯვებს კიდეც ბუნებაზე. მაგრამ იგი მარტო ერთი როდია ამ ბრძოლაში, იგი, როგორც მოკლებული ბუნებისაგან ყოველნაირ საშუალებას მტრებისგან თავის დასაცველად, მარტო როდი იბრძვის, არა

�ლთმთელი ჯგუფობით, საზოგადოებით. ამნაირად მისი ბრძოლა ბუნებასთან იყო შეთანხმებული საზოგადოებურ ცხოვრებისა, და ასე გასინჯეთ, ბერძენ-უოფილ დროებამშიაც ეგ ვხედავთ ჩვენ დასაწყისს საზოგადოებურ ცხოვრებისას, რომელიც ვითარდებოდა, იცვლიდა ფორმას-მისდა უკურად თუ როგორ იცვლებოდა გარშემო პირობები.

ბოლოს საზოგადოებურმა ცხოვრებამ ნელ-ნელა შეიმუშავა თვისი განსაკუთრებული შემაერთებელი იარაღი—ენა, რომელიც არა თუ აერთებდა ადამიანს ადამიანთან, არამედ ანვითარებდა მის ბუნებას—ჯგუფს, რომელიც ამგვარად გახდა ადამიანის განვითარების ერთა-უსაჭიროეს იარაღად. წინა თაობის მიერ შეძენილი ცოდნა გადმოდიოდა შემდეგ თაობაზე და ამნაირად ენა უადვილებდა მათ შრომას.

საზოგადოთ ეკელაფერი, რაც—კაცის ცხოვრებაში ხდებოდა, ასე თუ ისე გადაეცემოდა ჯგუფს და იჩენდა ზედ-მოქმედებას ყველა მცხოვრებაზე, შეჰქონდა მასში ცვლილებანი.

ამ სახით ნიკოიერის ცხოვრებისა პირობანი, ცხოვრება საზოგადოებური და ოჯახური—ეს შეადგენს კაცობრიობის ისტორიას.

რასაკვირველია, ეარ თუ ვიფიქროთ, ორომ ვითარმე ცხოვრების ესსამი ფორმა ცალ-ცალკე მოქმედებდნენ ისტორიაში. პირიქით, ისინი ძალიან მჭიდროდ ერთმანეთთან შეკავშირებულნი, ნაკვეთეულ პარობანი ცხოვრებისა შეადგენდნენ ნიადაგს საზოგადოებურ ცხოვრებისა. ამ თუ იმ ორმებისას, გონებამ ცხოვრება ეტ ხატავდა ამა თუ იმ მხარეს, და მუშაობდა შესაცვლელად ოროგორც ნივთიერი, პიროვნებისა, ისე საზოგადოებურ ცხოვრებისა. ამ სამი მხარისა ერთმანეთ შორის კავშირის საჩვენებლად მოვიყვანთ პატარა მაგალითს ქვეყნის ისტორიიდან. ამ ბრინჯი (უმთავრესი საჭმელი, მაგ., ინდოელებისა) მოჰყავთ, იქაურ მცხოვრებლებს

ძველი დროიდანვე უნდა მოერწყათ ადგილები ხელოვნურად და რადგან ეს მრავალ მუშა-ხელს მოითხოვდა, აბისთვის არხების გასამართავად ადამიანები უნდა შეერთებულიყვნენ დიდრონ ჯგუფებად. წეს-რიგის დასადგენად მუშაობის დროს, ნამუშევრის რიგიანად გასანაწილებლად და მის შესამზადებლად საჭიროებისა დაგვარად, ისინი ირჩევდნენ უფროსებს, რომელთა ძოვალეობას შეადგენდა ამ საქმის მართვა. ასეთ უფროსს ნება ჰქონდა თავდარიგი დაეჭირა მუშებზე, იწვევდა ხათ სამუშევრად, სჯიდა მათ ბრძანების შეუსრულებლობისთვის და ეხ. ამნაირად ნიკოთიერს პირობებმა შეაერთა ადამიანები ჯგუფებად, სასოგადოებად, ფომელმაც თითონ დაადგინა უფლება, რათა გასაგებად, როგორც ნიკოთიერ მსარეს, ასეთ დამიანსაც.

ეგელა იმას, რაც კაცობრიობამ მოიხვეჭა თვისის ხანგრძლივის ბრძოლით ბუნებაში — ეწოდა საზოგადოდ ასასელი კულტურა.

პირველი ნაბიჯი ადამიანისა და პირველი შენაძენი ამ ნაწილში ჩვეულებრივად იწოდება: პირველ-ყოფილ კულტურად. თავის თავად იგულისხმება, რომ ბევრი ის, რასაც პირველ-ყოფილი კულტურა იკვლევს, არსებობს კიდე ეხლაც მალალ განათლებულ ხალხებში. აქედან ის გამოდის, რომ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ყველაფერი პირველ-ყოფილი ჩვენთვის უკვე წავიდა, აღარ არსებობს; პირ ფქით იგი ეხლაც არსებობს და ზევრსა რამეში თავს იჩენს. ხაქმე ეს არის, რომ ეს პირველ-ყოფილიც ჩვეულებრივად მოპყრობილია ადამიანის მრავალმით. ადამიანიც, ასრულებს რა პირნათლად, რაც მას წინაპრებმა უანდერძეს, ერთბაშად არ ეუარყოფს ასასრგებლო შენაძენებს, თუმცა ეხლა იმათზე უფრო სასარგებლო ნაერთ და უფრო შეეფერებიან ახლანდელ წეს-წყობილებასა. ამაში დიდი ადგილი უჭირავს ყოველნაირ ზეპირ-გადმოცემებს, რო-

მელთაც დიდი გავლენა აქვს განვითარების უმდაბლეს ხარისხზე.

ამგვარად, ადამიანის ბუნებასთან ბრძოლა ძალიან უსწორ-მასწოროა. იგი ხან წარმატებით მიდის წინ, ხან რაიმე მიზეზთა გავლენისაგან ჩერდება. ხანდახან ისეც მოხდება, რომ ადამიანი ხელ-ახლა ეცემა, არ შეუძლია აიტანოს ბრძოლა თავის მტერ-ბუნებასთან. ყველაფერი ეს მხედველობაში უნდა, ვიქონიოთ, რათა არ ვიფიქროთ, რომ ყოველივე ისე ხდება, როგორც წიგნებში სწერია.

თუ კაცობრიობის კულტურის ისტორიას სწერ, საჭიროა არ არის ილაპარაკო იმაზე, რამდენი დაბრკოლებაც გამოიარა ადამიანმა, სანამ იგი ისწავლიდა თუნდაც თიხისაგან ქოთნის ჭეთქვას. ზოგჯერ ისეც მოხდებოდა ხოლმე, რომ ერთსა და იმავე წივთს ბევრი აღმოაჩენდა, მაგრამ უკუაგდებდა რაიმე მცირე მიზეზის გამო. ვინ მოსთვლის რამდენი აღმონაჩენი იღუპებოდა, რადგან ვერ ჰპოულობდა მიმდევრებს. ერთი სიტყვით, ათასნაირი შემთხვევანი მოქმედებდნენ ამ საქმეში, და შეიძლება დაბეჯითებითაც ვსთქვათ, რომ ისინი წინეთ უფრო წინ ეღობებოდნენ ადამიანს, ვინემ ეხლა.

ამნაირად ჩვენი საქმეა, გავითვალისწინოთ კაცობრიობის კულტურულ განვითარების მსვლელობა. ჩვენ განვიხილავთ პირველ-უოფილ კულტურას, ნეოთიერის მსრით და მერე საზოგადოებრივის და გონებითს მხრით და ამ-სამ მსჯელს ჩვენ ერთმანეთისაგან ვერ გაავსმაგებ, არამედ მტკიცე კავშირს დავადგენთ მათ შორის.

I.

პირველ-ყოფილ ადამიანის ცხოვრების ნიგთიერი მოწყობილობა.

ადამიანს თავდაპირველად არა გაჩნდა რა გარდა იმისა, რასაც ხელდახელ აძლევდა მას ბუნება. არც ტან-საცმელი, არც საჭმელი, არც სახლ-კარი მას არა ჰქონდა მზა-მზარეულად.

სად და როგორ უნდა ეცხოვრა ადამიანს ამნაირ ჰერობებში? იქ, საცა ბუნება აძლევდა მას გაურჯელად სასმელ-საჭმელს და თავშესაფარს და საცა საჭირო არ იყო ტანისამოსი, ე. ი. თბილ ქვეყნებში. დღესაც არიან ავსტრალიასა და აფრიკაში იმისთანა ხალხები, რომელთაც არავითარი ტანისამოსი არა აქვთ, რა თქმა უნდა, თუ ტანისამოსი არ ესაჭიროებოდა ადამიანს, არც მაზედ ზრუნვა იყო საჭირო; უამისოდაც ბევრი იყო საზრუნავი, მაგ. საზრდოს მოპოება. თავშესაფარის მოძებნა წინააღმდეგ გარეული მხეცებისა, რაც მრავალია იმ ქვეყნებში. ხიფათის დროს რომ თავი დაეღწია ნადირებისაგან, იგი ხეზე უნდა ასულიყო. ზოგჯერ დასაძინებლადაც-კი უნდა ჩაკრუნჩხულიყო ის ხის სქელ ტოტებში, რათა თავი გადაერჩინა ღამეში ნადირის თავდასხმისაგან. ასეთივე მყუდრო თავშესაფარი იყო ადამიანისათვის მლვიმეები (გამოქვაბულები) და ხეივნები, თუ-კი სადმე მოსძებნილა იმათ.

მაგრამ რით საზრდოობდა პირველ-ყოფილი ადამიანი? ძნელი სათქმელია. გადაწყვეტით თუ, რა შეადგენდა მის საჭმელს, რასაკვირველია, იგი არაფერზე არ იტყოდა უარს და ყველაფერს აგროვებდა, რაც-კი მას სასარგებლოდ მიაჩნდა. მცენარე იყო იგი, თუ ცხოველი, ამას სულაც არ არჩევდა. სჭამდა ნაყოფებს, კაკლებს, სხვა-და-სხვა მცენარეების ძირკვებს, მაგრამ არც მწერებსა, ფუმფლებსა და მატლებზე იტყოდა უარს. სჭამდა ავრეთვე ბაყაყს, ლოკოკინას, თუ-კი იპოვიდა მათ ზღვის

პირათ. დღესაც მრავალ ხალხთათვის ობობა, ბუზანკლები და სხვა მწერები გემრიელ საჭმელს შეადგენენ. ბევრს მათგანს მინდვრის მატლი და კალია უგემრიელეს საჭმელად მიაჩნია, ჩვენ-კი გვძაგს ისინი, რადგან შეჩვეულნი არა ვართ; მაგრამ, როცა შიმშილი კარს გვადგია ჩვენშიაც მიირთმევენ თაგვებს, ყვავებს, ჩხიკვებს და სხვა მათგვარ ცხოველებსა და ფრინველებს. პირველ-ყოფილ კაცს ხომ ხშირად შეხვდებოდა შიმშილი და თუ ამას დაუმატებთ, რომ ამ საჭმელებს გარდა მან სხვა საზრდო არ იცოდა, მაშინ ადვილი წარმოსადგენი იქმნება, რომ სხვაფრივ მას ცხოვრება არც-კი შეეძლო: შიმშილით უნდა მომკვდარიყო.

ყველაფრიდანა სჩანს, რომ პირველ-ყოფილი ადამიანი ვერ იკმარებდა მარტო მცენარეულ საზრდოს. მისი აგებულობა ზოგჯერ ხორცსაც თხოულობდა. ეს იქიდანაც სჩანს, რომ ვინც დიდ-ხნობით მცენარეულობის მეტს არასა სჭამს, მას საშინლად მოუნდება ხოლმე ხორცის ჭამა. მაგალითად, აფრიკაში ერთის მეგზაურის მხლებელნი, რომელთაც რამდენიმე თვეს გამხმარი პურის მეტი არა ეჭამათ რა, ხარბად შეექცეოდნენ მაიმუნის ხორცს, საზოგადოდ არ არის ცნობილი არც ერთი ხალხი, რომელიც მარტო მცენარეულობით საზრდოობდეს. ადვილი შესაძლებელია, რომ აცოთამჭამლობაც ამ მიზეზით წარმომდგარიყოს. პირველ-ყოფილი ადამიანი თვისს მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა წვრილ-წვრილ ცხველებზე ნადირობით, იმათ იგი წუწნიდა სისხლს, ან უმათა ნოქავდა.

ადვილად მისახვედრია, რომ ამ სახით მოსაზრდოვე ადამიანს ორ-კი შეეძლო ჰქონოდა სამუდამო სადგომი. მას უნდა ეხეტიალნა ყოველგან, ეძებნა საპირო საზრდო; სამუდამო ბინა მასს ხომ ხელს შეუშლიდა. პირველ-ყოფილ ადამიანს ფიქრი რადა-ლა არ მოუვიდოდა სამუდამო ბინა მოეძებნა, იმიტომ რომ ეს ეშველებოდა. ხოლოდ მაშინ, როცა მას გამოუჩნდებოდა

სამუდამო გარკვეული საზრდო, რაც მას თავდაპირველად ეარა ჰქონდა.

რასაკვირველია, საზრდოს პირველ-ყოფილი საშუალებით ძებნამ, ადამიანი აიძულა ბუნებაზე ჩაჰკვირვებოდა. ის იხსომებდა სად უფრო ხშირად ჰპოულობდა სასარგებლო მცენარეებს; უკვირდებოდა იმას თუ, რა მცენარეებზე მოიპოვებოდა ეს მწერები; რა დროს ჰპოულობდა ამა თუ იმ საჭმელს და სხ... ამ აქეთ-იქით ხეტიალით მან უკვე შეიმუშავა გარკვეული ცხოვრების პირობები: მოაწევდა თუ არა ხილის დამწიფების დრო, იგი მიაშურებდა იმ ადგილებისაკენ, სადაც წინა წლებში ეს საზრდო უპოვნია. ამნაირად, როგორც გაზაფხულის (перелетная) ფრინველი, ადამიანიც მუდამ იცვლიდა საცხოვრებელ ბინას.

პირველ-ყოფილი იარაღები.

ამ ნაირად საჭმელის ძებნაში პირველ-ყოფილმა ადამიანმა მუდამ მრავალნაირ დაბრკოლებას აწყდებოდა. ხილი ხანდისხან ძალიან მაღლა ეკიდა, ძირკვები ძალიან ძნელი ამოსათხრელი იყო ხელით მიწიდან, კაკლებს ხომ ყველას კბილით ვერ დაამტვრევდა. ამაებისათვის უნდა მიეშველებინა იარაღები, რის შოვნა თვით ბუნებაშიც შეიძლებოდა. ეს იარაღი იყო ჯოხი და ქვა. იმათი შემწეობით შეიძლებოდა მაღალი ხიდან ხილის ჩამოგდება; ქვით შეიძლებოდა მაგარი კაკლის გატეხა. თავ-წაწვეტილი ჯოხით შეიძლებოდა ძიწიდან გემრიელის ძირკვების ამოთხრა. გამოცდილებამ ჩვენი ადამიანს თუ, როგორი მოყვანილი უნდა ყოფილიყო ჯოხი, ქვა, საც საჭირო მოყვანილობისას გამოიყენებენ და აი ეს პირველ-ყოფილი იარაღები ადამიანმა მიუმარჯვა, შეეფარდა სხვადა-სხვა მოქმედებას, რაც მას ყოველ-დღე უნდა შეესრულებინა.

როცა შეიტყვეს, რომ ქვით ქვის გატეხა შეიძლებოდა, დაუწყეს მას გვერდების ჩამომტვრევა და აძლევდნენ საპირო მოყვანილობას. სჭრიდნენ ისინი ქვის დანით; ხვრეტდნენ წვეტიანი ქვით. ყველა ეს იარაღები ჩვეულებრივად კეთდებოდა კაჟისაგან, რომელიც თითონ სქდება ხოლმე მრავალგვარ ნატეხებად. ამისთანა ქვის იარაღებს ახლაც ხმარობს ზოგიერთი ველური ხალხი; მხოლოდ მარჯნის კუნძულებზე არ შეიძლებოდა ქვის იარაღების კეთება, რადგან იქ ქვა არცკი მოიპოვება; ამიტომ იქ ქვა მიჰქონდათ ხმელეთიდან. არ არის არც ერთი მხარე ქვეყანაზე, სადაც არ ეპოვნოთ ქვის იარაღები. ჩვენშიაც ბევრს ჰპოულობენ ამისთანა „მეხის ნატეხებს“ (громовыя стрѣлы), რაც ცხადად ამტკიცებს, რომ ჩვენი წინაპრები ხმარობდნენ ქვის იარაღებს. ხალხი ახლა მას სამკურნალო ძალას აწერს და ფიქრობს, რომ იგი ელვა-ჭექისაგან გაჩნდა.

ქვის დანა.

შემდეგ ამისა კაცმა, რომ უფრო ძლიერათ მოექნია და დაერტყმია ქვა, მოისაზრა მისი ჯოხზე წამოცმა. ეს მით უფრო უკეთესი გამოდგა, რომ ადვილი დასაჭერი იყო ხელში; ქვა მიადვეს ჯოხს და მიაბეს ზედ კანაფის, ხის ან სხვა რისამე ძენძით. ამ რიგად გაიჩინა ადამიანმა ჩაქუჩი, — თუ ქვა ჩლუნგი იყო, და ქვის ნაჯახი — თუ ქვა წვერ-წამახული იყო. ხშირად მოხდება, რომ ერთსა და იმავე იარაღს ცულადაც ხმარობენ და ჩაქუჩადაც. შემდეგ თანდათან გააუკეთესეს იარაღები, რომლითაც ძირკვებს ღებულნენ მიწიდან. ის წარმოადგენდა ბოლოს მოკაუჭებულ მწვეტიან ჯოხს, რითაც შეიძლებოდა

მიწის თხრა. კაუჭიან ჯოხს ბოლოზე მიაკრავდნენ მოგრძო მწვეტიან ქვას და ამ სახით იგი უკეთესად ასრულებდა თავისს დანიშნულებას და უფრო დიდსანს ძლებდა, ხესავით არ ეჩეჩხებოდა თავი.

ქვის ნაჯახი.

ეხლა ადამიანი უკვე შეიარაღდა და პირდაპირ გამოდიოდა საბრძოლველად იმისთანა პირუტყვებთან, რომლებზედაც ნადირობა ვერ გაებედნა წინეთ. ეხლა მან შეეძლო მოეკლა ისეთი ცხოველებიც-კი, რომელთაც წინეთ ხელს ვერ ახლებდა. დაიწყო იმათზე ნადირობა და გამოიგონა იმისთანა იარაღები, რომლითაც შორიდან შეიძლებოდა მათი მოკვლა. ჯოხს ბოლოს მოაგო წვეტიანი ქვა და ამნაირად გაიჩინა ხიშტი—იარაღი, რომელიც მას ძლიერად უნდა ეტყორცნა, რომ ნადირი მოეკლა.

რადგანაც ხელი ყოველთვის საკმაოდ ლონიერი არ იყო ამისთვის, კაცი სცდილობდა, რაც შეეძლო ძლიერ დაერტყა მხეცისათვის. პირველათ მან მოიგონა ერთნაირი სატყორცნი იარაღი, რომელსაც შეადგენდა ჯოხი ქვით ბოლოზე. ამ ქვეშ ჩაამაგრებდა ხიშტის წვერს, რომელიც ძლიერად სტყორცნიდა და ხვდებოდა ნადირს. ამავე მიზნისთვის ჰქონდა მას ბაწარი, რომელსაც იგი ამზადებდა საჩლეთი მცენარეებისაგან. მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი აღმოჩენა იყო მშვილდი. ესეც ხიშტის სატყორცი იარაღია, მხოლოდ ეს ხიშტი ახლა დამოკლდა და დაერქვა ისარი. მშვილდი შესდგება ადვილად მოსალუნავ მცენარის წნელისაგან. ამ წნელს ბოლოები მოხრილი აქვს ბაწრით. ისარს მოსდებენ ჩლუნგი ბოლოთი ბაწარს შუაგულ-

ალაგას; ერთ ხელს მშვილდს შუაზე მოჰკიდებენ, მეორით გამოსწევენ ისარს და ბაწარს ერთად. როცა ბაწარს მიუშვებენ ნებაზე, მაშინ წნელი სწრაფად გაიშლება და, რაკი ბაწარს გაჭიმავს, იგი ლონივრად, შორს მანძილზე გასტყორცნის ისარს.

ამ იარაღის მოწყობაში დიდი გამოცდილება და ცოდნა არის დახარჯული, რაც პირველ-ყოფილ კაცს დიდის შრომით შეუძენია. მას უნდა შეესწავლა ხის ტოტის თვისება, რომ ის მოღუნვის შემდეგ ისევ იმართება; მაგრამ ეს ჯერ კმაროდა. იმას ყოველ-ივე ეს უნდა შეერთებინა ერთ იარაღად, რის მსგავს იგი ბუნებაში ვერ ხედავდა. აქ უკვე გამოიხატა ადამიანის ჭკუის შემოქმედებითი ძალა.

თვითეული ნაწილი მშვილდ-ისრისა მოწმობს ადამიანის დიდის ხნის გამოცდილებას. ამ ნაწილების შეერთება-კი ამტკიცებს, რომ იგი უკვე დიდიხნიდან შრომობდა თავისი აზრით ყველა ამ დაკვირვებებზე და შესძლო გაგება ზოგიერთ ნივთების ფიზიკურ თვისებათა. იმათ ხმარებაში ადამიანმა გააკეთა სრულიად ახალი იარაღი. ეს იარაღი აღმოჩნდა ისეთი მოხერხებული, რომ სხვა საჭიროც აღარ იყო და მხოლოდ თარფს შეეძლო შვილდ-ისრის ხმარებიდან განდევნა.

რასაკვირველია, მშვილდ-ისარი უფრო მერმინდელი გამოგონებაა. ჩვენ იგი მისთვის მოვიხსენიეთ, რომ ამით გაგვეთავებინა ამგვარი არიარეულებზე საუბარი. საზოგადოდ ჩვენ შეგვიძლია საკმაო სინამდვილით გაშოვიკვლიოთ ჩვენი ძველების თვითეული იარაღის ისტორია. მაგრამ ამასთან შეუძლებელია აღნიშნოს ადამიანმა, რომელი იარაღებიჰქონდა მას თვისის ცხოვრებისა თუ იმ ხანაში.

დაახლოებითაც შეგვიძლია ჩვენი აზრი ვიქონიოთ ამ ხე. ჩვეულებრივად ასე არის ხოლმე, რომ რომლისამე ახალი აღმოჩენის ხმარებაში შესვლის დროს ძველი ისევ ბოგინობს, მხოლოდ

მისი სამოქმედო ასპარეზი თანდათან ვიწროვდება. ამნაირად ნება-უნებლიედ უნდა ვისაუბროთ სხვა-და-სხვა იარაღებზე, რათა დავინახოთ თუ, როგორ ერთის ფორმის იარაღიდან გამოდიოდა ახალი, სახმარებლად უფრო გამოსადეგი იარაღი.

მცენარეების შემუშავება.

მცენარეთა სხვა-და-სხვა ნაწილების (ძირკვების, ნაყოფების, თესლების, ფოთლების და სხ.) ხმარების დროს ადამიანი აკვირდებოდა მათ ცხოვრებას. ამასობაში მან მალე შენიშნა, რომ სადაც მარცვლები ცვივოდა, იმ ალაგას ამოდიოდა ახალი, მისი მსგავსი მცენარე. ეს უთუოდ ბევრჯერ უნდა მომხდარიყო თავისთავად, მაგრამ ადამიანს ჰკუა იმდენად არ უჭრიდა განზრახ ჩაემარხა მარცვლები მიწაში, რომ შემდეგში ხელ-ახლა მოეგროვებინა იგი ახალის მცენარიდან. ან კიდე სად შეეძლო მას ამაზე ზრუნვა. ერთი, რომ საჭმელი მას არც მაგდენად უხვადა ჰქონდა და, რა თქმა უნდა, ძვირად აფასებდა თვითეულ მარცვალს; ენანებოდა მისი დაკარგვა. ესეც არ იყოს, რაკი იგი სხვა-და-სხვა ალაგას დადიოდა, ერთი განსაზღვრული ბინა არა ჰქონდა, რა ი

კვირვება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ადგილობრივ ადამიანებს ერთს და იმავე ადგილზე

ამისთანა მცენარეები ბევრნი და რამდენიმე. ამერიკაში, მოყავდათ სიმინდი, რომელიც ერთ ლეროზე რამდენიმე ტარეს იკეთებდა, რაზედაც მსხვილ-მსხვილი მარცვლები ესხა. სამხრეთ აზიაში ასეთი მცენარეა ბრინჯი, რომელსაც კარგ პირობებში ძალიან კარგი გამოსავალი აქვს.

რაც უფრო ცხელი ქვეყნებიდან ცივისაკენ მიდიოდ-ეკ, მით უფრო იგი ვეღარ ახერებდა იქ ცხელი ქვეყნების მცენარეულობას. მაგრამ საამბიერიოდ იქ ჰეოულობდა ახლებს, რომელნიც ჰმავე გამოცდილებით მოჰყავდა. იგი გადისროდა ახალ მარცვლებს მიწაში ადგილ-ადგილ ნაყოფის მოსავლას. მართლაც მისი მოლოდინი საკვებით ამოვსებდა და იგი ამნაირად თანდათან ამრავლებდა ს

ჯმ იარაღის ახალნაირად გამოყენებამ გამოიწვია მისი გადასხვაფერებაც. მას საჭიროების მიხედვით ტარს უგრძელებდნენ ან უდიდებდნენ წამახულ მოკაკულ ბოლოს, თუ უნდოდათ მიწის ღრმათ დამუშავება.



ბოლოს მიხვდნენ, რომ თვითეული მცენარისათვის ცალ-ცალკე თხრილების ამოღება არაფერი ხელსაყრელი იყო, და ამიტომ დაიწყეს ერთიანი ქვლების გავ- პატაგონულების თოხილება და შიგ მარცვლების ჩათესვა. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს იარაღი აქციეს სახნისად, რომელიც სხვა-და-სხვა ადგილების მიხედვით იცვლებოდა და ბოლოს იმისგანაც გადაკეთდა ახლანდელი გუთანი. მაგრამ ყოველივე ეს უფრო მერმინდელი გამოგონებაა, რადგან ამისთვის საჭირო იყო ცხოველებისმოშინაურება და მათი ამ საქმეში გამოყენება.

დასაწყისი ერთს ადგილზედ ცხოვრებისა

მცენარის მოყვანას ვერ შეიძლებდა ადამიანი, თუ, რომ ერთ ადგილას ლიდის ხნით არ დასახლდებოდა. ჩვენ უკვე ვსთქვით ზევით, რომ ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლის დროს საჭმლის საშოვნელად, ადამიანი ამჩნევდა, თუ რა ადგილას და რა დროს ჰპოულობდა იგი ამა თუ იმ საჭმელს. ამნაირად იგი თანდათან გამოდიოდა ველურის ცხოვრებიდან და კარგახნობით რჩებოდა ერთ ადგილზე, იმ დროიდან, ან, სანამ პური დამწიფდებოდა. რასაკვირველია, ადამიანს შეეძლო გადასულიყო ერთი ადგილიდან მეორეში, თუ-კი მისი ჭკუით ეს ადგილი უფრო მომცემიანი და ნაყოფიანი იქნებოდა. ხანდისხან გადასვლა საჭიროც იყო, როცა მიწა გამოფიტდებოდა და საკმაო მოსავალს ვეღარ მისცემდა პატრონს.

კაცსა და ქალს შორის შრომის განაწილება საზრდოს მოპოებაში.

ზევით ჩვენ ვთქვეთ, რომ ადამიანისათვის საჭიროა მცენარეულიც და ხორციელი საჭმელიც. მცენარეულ საჭმელს იგი შოულობდა სრულიად უიარაღოდ, ხორციელის შოვნა-კი მას შეეძლო ნადირობით. ნადირობისათვის-კი საჭირო იყო სხვა-და-სხვა იარაღები. რასაკვირველია, იმისთანა ხორცეულ საჭმელს, როგორიც არის ბუზანკალი, მწერი, მატლი და მისთანები, იგი თითქმის უდავიდარაბოთ შოულობდა. მაგრამ ჩვენ აქ ვგულისხმობთ თბილ სისხლოვან ფრინველებსა და რძით მასაზრდოებელ ცხოველებს.

ნადირობა ძნელი იყო, მეტადრე სანამ გაუმჯობესებული იარაღები არ მოიგონეს, მაგალითად, მშვილდ-ისარი.

თქმა არ უნდა, რომ დედა-კაცისათვის ეს საქმე საძნელო იყო. მას უნდა ეტარებინა ჯ ეკვებნა ბავშვები, რომელნიც მას ძალიან შეუშლიდნენ ხელს ნადირობაში. ამიტომ დედა-კაცს უნდა მოეპოვებინა თავისთვის მცენარეული საზრდო, მაშინ, როდესაც კაცი ადვილად შოულობდა მეორენაირ საჭმელსაც. ამიტომაცაა, რომ ზოგიერთ ველურ ხალხში დედა-კაცს არა აქვს ნანადირევის ჭამის უფლება. მაგრამ რადგან იგი მამა-კაცზე უფრო შოულოდა მცენარეულ საზრდოს და უფრო მცენარეებს იცნობდა, ამისათვის შესაძლოა ვიფიქროთ, რომ დედა-კაცი პირველად შიხვდა მარცვლების ჩაყრას მიწაში, ე. ი. ჯურის თესვას. ამას ამტკიცებს ისიც, რომ ბევრი ისეთი ხალხებია, სადაც მიწის მოშაობა დედა-კაცების საქმეს შეადგენს.

როცა ადხაირად დედა-კაცმა გაიჩინა საშუალება ნაკლების შრომით ბევრი ჯური მოეყვანა, მაშინ კაცმა იწყო მისი

მოყვანილი პურით სარეპლობა და სამაგიეროდ მას თავისი ნანადირევი გაუზიარა.

ამნაირად ორივე მხარემ გაიჩინა საზრდო და მამაკაცს შეეძლო კიდე უფრო გულმოდგინეთ მოჰკიდებოდა ნადირობის საქმეს; ნადირობა ხომ შემთხვევითი საქმეა: ხან ბევრს იშოვი, ხან სულაც ვერა. აი ამ დროს ეხმარებოდა მას დედა-კაცის-მიერ მოყვანილი პური. ამას გარდა ნადირობაჟ ერთ-ერთ ბევრს დროს ითხოვდა და უმცენაროდ-კი ხშირად იმშეოდა ადამიანი, რადგან ტყეში მას ყოველთვის და ყოველ დროს ვერ ჰპოულოდა. ეხლა მას შეეძლო საგზალი თან წაეღო და ამან ძალიან გაუადვილა ნადირობა. ასე ტ ამ რიგად წარმოსდგა ოჯახში შრომის განაწილება მამაკაცთა და დედაკაცთა შორის.

მარცვლისაგან ფქვილის დამზადება.

მცენარის მარცვლები, რაც ახლა ადამიანის საზრდოს შეადგენდა, უფრო ხშირად მაგარი კანით იყო დაფარული, როგორც, მაგალითად, შვრიის მარცვლებია ძალიან მაგარი, ასე რომ ძნელად იღეჭება. კანის მოსაშორებლად და მარცვლის დასანაყად კაცმა იხმარა ქვა. იგი ან ნაყავდა მარცვალს ქვით, ან კიდე ქვასა და ქვას შუა დაჰყრიდა და ფქვავდა. ასე მოაწყო მან თავდაპირველათ წისქვილი. შემდეგ იგი გააუმჯობესეს იმით, რომ ზევითა ქვას დაუწყეს ბრუნება და გააკეთეს ხელ-წისქვილა.

ასეთი ხელ-წისქვილა მეთორმეტე საუკუნეში ქრისტეს წინად იცოდნენ ბერძნებმა და იქნება კიდე უფრო ადრეც.

ამნაირად წისქვილით მომზადებულ ფქვილს ან მარტო ფქვილად სჭამდნენ, ან წყალში ზელდნენ, რადგან ნაქეტანი მშრალი საჭმელი იყო. ასე გაკეთებულ ფაფას შეამზადებდ-

ნენ რაიმე ტაბილეულობით, მაგ., შაქრის ლერწმის წვენით. ახლა მათ აკლდათ მხოლოდ ცეცხლი, რომ პური გამოეცხოთ.

ქვის გაშანდაკება და გახვრეტა.

ფქვის დროს ადვილი შესამჩნევი იყო, რომ ქვებიც იხეხებოდნენ. აქედან-კი ადვილად მიხვდებოდა კაცი, რომ ერთი ქვით შეიძლებოდა მეორე ქვის ხორკლების გადაცლა და ასე მისი გაშანდაკება. ეხლა დაიწყეს წინანდელ ქვის იარაღებზე ხორკლების გადაცლა და გახვრეტა-კი, ისწავლეს ტარის დასაგებათ. ამის მიხვედრა-კი ძნელი არ იყო. ხელ-წისქვილა აქაც მოეხმარა მას. ზევით მბრუნავ წისქვილის ქვას უნდა დაეტოვებია ამოხურჭნილი ადგილი, თუ-კი მას შუაზედ რამე ამობზუკული ჰქონდა.

ასე ამ სახით ადამიანმა მიაღწია იქამდე, რომ წვეტიანი ქვით დაიწყო მეორე ქვის გახვრეტა. ასე გახვრეტილ და გაელვარებულ ქვის იარაღებს ყველგან ბუვრს ჰპოულობენ დღეს.

ქვის იარაღების მიხედვით, იმ დროს, როცა იმათ ხმარობდნენ, უწოდებენ „ქვის საუკუნეს“. ეს საუკუნე კიდევ განიყოფება ორ ნაწილად, გამოქოფილ ქვის საუკუნე და გაელვარებულ ქვის საუკუნეთ. ამასთანავე ჩვეულებრივად იგულისხმება ჩვენ წინაპართა ისტორიის წინა დროინ. ამ აგრამ ერ ესაკვირველია, ყოველივე ეს სრულიადაც ვერ ვგიჩვენებს განსაზღვრულად იმ დროს, თუ, როდის იყო ეს „ქვის საუკუნე“. შემდეგ-კი, როცა ეს ლითონებსაც ეუწყეს ხმარება, ბაბილონში, მესოპოტამიაში, „ბრონზაოს“ და მერე „რკინის საუკუნ“. ეს ქვის საუკუნე კიდევ განგრძობდა თავის არსებობას. ამიტომ კიდევ ქვის და ბრონზაოს იარაღებს ხშირად ჰპოულობენ ერთად.

ერთი სიტყვით, ეს საუკუნოებად დაყოფა იმას ნიშნავს, რომ პირველად ზოგიერთი იარაღები ქვის იყო და მერე ლითონისად შეიცვალა. სწორედ ასევეა ქვის საუკუნის დაყოფვა ორ ნაწილად. საუკუნე გამოქოფიტებულისა და გაულვარებულის ქვისა ვგრძნობენ მხოლოდ, რომ პირველად ქვის გამოქოფიტება უსწავლიათ, მერე-კი გაელვარება.

ნამდვილად, რომ ვსთქვათ, ორივითარი ამისთანა განცალკევებული საუკუნოები არ ყოფილა: ისინი ერთმანეთში გადახლართულნი იყვნენ. ჩვენ დროშიაც ხომ არსებობენ ქვის იარაღები, მგელ, წისქვილის ქვა, როდინი და მისთანები; მაშასადამე, ქვის საუკუნე ეხლაც არსებობს.

ეგვიპტელი ქვაბ-

ხორცის ეახმობა.

ოდეს ადამიანმა დიდი ცხოველებისა ხორცის ხმარება დაიწყო, ხშირად ამჩნევდა, რომ ხორცი მალე იხრწნებოდა და საკმელად ალარ ვარგოდა. ხორცი-კი მისთვის ულვირფასეს საგანს შეადგენდა. ზშირად ისეც მოხდებოდა ხოლმე, რომ ბევრს მოგნადირებდნენ და ყველასა მაქმა, ხომ ერთბაშად შეუძლებელი იყო, თუმცა ველურნი ყოველ-ფრისაგან ბმარდნენ ამისათვის. ამ საქმეში ადამ. გულისმოდგინება ისეთი იყო, რომ გაძღებოდნენ ანუ ალარ დაიწყებდნენ მიწაზე კატრირალს, რომ საშელ ულარ ადგილად ძოენელებინათ ასეთს მაძღარსადილს შეეძლებ ხშირად ლიდ ხნობით მშრვრები რჩებოდნენ.

ამიტომ სრულიად გასაგებია ხორცის შენახვის საკვირველი ადამიანისაგან. ამ მდგომარეობიდან იგი გამოიყვანა თვით გამოცდილებამ. ნანადირევი პირუტყვის პატარ-პატარად დაჭრილი ხორცი მზეზე უფრო მალე შრება და ხმება; ამის შენიშვნა ადვილი იყო, რომ ადამიანი ცხოვრებდა იმისთანა ქვეყნებში, სადაც სიცხე უფრო მეტი იყო და, მაშასადამე, ხორცი უფრო მალე ხმებოდა. ამნაირად გამხმარი ხორცი იმას გარდა, რომ ლიდხანს სძლებდა, კუპისთვისაც მოსანელებლათ უფრო ადვილი იყო. ასე ადამ კაცისთვის ეს აღმოჩენა ორნაირად სასარგებლო შეიქმნა. გარდა ამისა გამხმარი და ნაჭერ-ნაჭრად დანაწილებული ხორცის წაღება უფრო ადვილი იყო ნადირობის დროს.

ამისთანა ხორცის შენახვის საშუალება ახლაც ეხმარებიან ზოგან; ასე ამზადებენ ღორის ჩაჩხს, აპოხტს და სხ. ქრისთანებს. წინედ ხომ გამხმარი ხორცი, გავრცელებული ყოფილა აღმოსავლეთ რუსეთის ველების გოჩები, როგორც მოგვითხრობენ, სჭამდნენ ამისთანა ხორცს და ლეჭავენ ადამიანი უნაგირის ქვეშ ამოდებული.

ახლა ადამიანმა ისეთი რამ აღმოაჩინა, რამაც შესამჩნევი ცვლილება შემოიტანა მის ცხოვრებაში. მაგრამ თითონ მან არც-კი იცოდა, რომ ეს შემთხვევითი აღმოჩენა ასეთი ღირსშესანიშნავი და მრავალ-მნიშვნელოვანი იყო. ეს იყო ცეცხლი. რა თქმა უნდა, ადამიანმა იცოდა ცეცხლის არსებობა, იმიტომ რომ ბუნებაში მას, იმის დანახვა მაინც შეეძლო, თუ როგორ უჩნდება ელვისაგან ცეცხლი ხეებს. მაგრამ ამისთანა ცეცხლი მას აფთხობდა. ყოველ შემთხვევაში ცეცხლი არ ჩაითვლება ადამიანის აღმოჩენად მანამდე, სანამ მან არ ისწავლა მისი გაჩენა, შენახვა და გაქრობა. ადამიანისთვის ძნელი ყოფილა შეენიშნა, რომ ჩქარი და შეუყენებელი ხეხვით ხეთბება და მას ცეცხლი ეკიდება.

ამნაირად გაჩენილი ცეცხლი კაცს არ აფრთხობდა: მან იცოდა როგორ ჩნდებოდა იგი და თან მისი გაჩენაც თავის დროზე შეეძლო.

ეხლანდელ ველურ-ხალხთა მოხერხება ცეცხლის გასაჩენად გვიმტკიცებს, რომ ეს აღმოჩენა მოხდა ხის ხეხვისა და გახვრეტის დროს. ჩვეულებრივ ცეცხლის გასაჩენად ხმარობენ ერთნაირად მოწყობილ ბურღვს. იგი შესდგება ხის გახვრეტილი ნამორისაგან, რომელშიაც აყენებენ ზუმბის მსგავსს მრგვალ ხის ჯოხს, ეს ზუმბა ჩქარ-ჩქარა უნდა ატრიალო და რამდენიმე წუთის შემდეგ გაჩნდება ნაპერწკალი, რომელსაც აბედ-ან ბალახზე ადებენ და მერე ბერვით აღვივებენ ცეცხლს. თავდაპირველად ამ ზუმბას ატრიალებდნენ ხელის გულებში, მერეკი სხვა-და-სხვა მოწყობილობის ხმარებად დაიწყეს ზუმბის ატრიალებლად: შემოაცვეცდნენ ჯოხზე თოკს და ატრიალებდნენ მას ბაწრის ხან ერთი და ხან მეორე თავის გამოწევითა. ცხალში, რომ ჰავნოთ უფრო ცილ ვრდ ნოტრო ყო, მაშინ ხე უფრო დიდხანს უნდა ეხვრიტა ... ზუმბა ... ცეცხლის გაჩენა. და, მაშასადამე, უფრო მეტი ძალ-ლონეც საჭიროდ ... ამის ... ფანა ადგილებში ... ცეცხლის გაჩენა შეუძლებელი ... ცხადი ... ...

ერთხელ გაჩენილის ცეცხლის შენახვას ძველად ყოველის ღონისძიებით ცდილობდნენ. ზოგიერთ ხალხებს ამისათვის ჰყავდათ ცალკე მიჩენილი კაცები, რომელთა მოვალეობასაც ის შეადგენდა, რომ ცეცხლი გაუქრობლად შეენახათ და „ბადგან ცეცხლი ღმერთების წყალობად და ხანდისხან ღმერთადაც მაჩნდათ, ამისათვის ამ მოვალეობის აღმასრულებელნი ღვთის მსახურებად ითვლებოდნენ. ასე, მაგალითად, რომაელებს ჰყავდათ მიჩენილი ამისთვის ვესტალკები*), რომელთაც სამარადისოდ უნდა გაექრობ ცეცხლი ვესტას სამსხვერპლოზე. თვითონ ვესტა-კი იყო ქერის ქალ-ღმერთი. მაშასადამე, თავდაპირველად ვესტალკების მოვალეობა იყო ცეცხლი არ გაექროთ ქერაზე. შემდეგ ამისთანა ქერიდან მიჰქონდათ ცეცხლი ეკლესიაც დასანთებლად.

რუსულ ზღაპრებში ხშირად არის ლაპარაკი ამაზე, რა როგორ მიდის ღარიბი მდიდართან ცეცხლის სათხოვრად; ეს ცეცხლი მიჰქონდა ღარიბს შინ, შეუბერავდა და ეკლესიას გააჩაღებდა.

ერთი კაცისათვის ცეცხლი გაჩენა საკმაოდ ძნელი იყო: საჭირო იყო ზუმბის მაგრად დაჭერა, რათა ხელა არ შემწყდარიყო და ზოგჯერ ისე დიდხანს სჭიროდა ტრიალი, რომ რამ მდენიმე ფაცს უნდა ერთმანეთზე გამოეცვალათ სანამ ცეცხლს გააჩენდნენ.

---

*) სიტყვა „ვესტალკა“ წარმოსდგება ლატინურის სიტყვის „Vesta tales“-იდან. ვესტა იყო ძველი საბერძნეთისა და რომაელების ღმერთი, უფროსი ქალი სატურნისა და რეისა. ეს ღმერთი-ქალი ითვლებოდა ოჯახურის ბედნიერებისა და ქალწულების ღმერთად. ამ ღმერთი-ქალის მოსამსახურეებად ირჩევდნენ უბიწო ხნიერ ქალწულ ქალებს, რომელთაც ნებადართ ჰქონდათ გათხოვებისა და მთელი თავისი ცხოვრება ვესტა-ს სამსახურში უნდა გაეტარებინათ: აი ამ ვესტას მსახურ ქალებს უწოდებდნენ ვესტალკებს ანუ ღმერთი ვესტას მსახურებს.

ფენიშვნა რედაქციისა.

ამნაირად ცეცხლის გასაჩენად საჭირო იყო რამდენიმე კაცის დახმარება. ეს იყო საზოგადო საქმე და რადგან ცეცხლი სასიცოცხლოდ ითვლებოდა, ამისათვის ძალიან გაჩენილ გარდაქცა სარწმუნოებრივ-საზოგადოებურ წესად.

ამ საღმრთო წესის მოგონება დღესაც რიცხავენ რუსეთში. ზოგიერთ ადგილებში ყველიერის კვირაში ანთებენ ცეცხლს, გრძელ ჯოხზე წამოაცმენ ხოლმე გოგრას (კვახს) ატარებენ მარხილს სოფელ-სოფელ და სალამოზე სწვამენ ამ ჯოხს გოგრიანად. ეს ჯოხი პირდაპირ მოგვაგონებს იმ მრგვალ ჯოხს, რომელსაც ატრიალებდნენ ძველად ცეცხლის გასაჩენად.

ზოგიერთმა ხალხებმა მალე დაიწყეს ცეცხლის გასაჩენად ცოტა შეცვლილი საშუალების ხმარება. ატრიალებდნენ ზუმბას-კი არა, არამედ ჭოგრზე დაცმულ რგოლს. გოგორა პირდაპირ გვიჩვენებს, რომ წინაპრები ამნაირად აჩენდნენ ცეცხლს.

ყველაზე უწინ ადამიანმა შენიშნა, რომ ცეცხლი ათბობს და კიდევაც სწვავს, თუ სხეულს შეეხე. ცხადია, რომ კაცი ცდილობს მოიხმაროს ცეცხლი იმისა ნაცვლად, რასაც აძლევდა მას ბუნება: იგი სიცივეში ცდილობს მითი გაითბოს თვისი სხეული და სხვ.

ამრიგად იბადება ხელოვნება საჭმლის მზადებისა. ადგილამ გარდა ამისა ადამიანი ამჩნევს, რომ ცეცხლი იცავს ბუნ ნადირთა თავდასხმისაგან. იმათ ეშინიათ ცეცხლისა და ადამიანსაც ამიტომ გულ-დამშვიდებით სძინავს, ამ კეთილის-მყოფელ ლმერთის მფარველობის ქვეშ.

ახლა ადამიანს გაშლილი აქვს ფართოდ გზა: ცეცხლი სხვადასხვა ნივთიერებაზე სხვადასხვანაირ გავლენას ჩენს და ჭირვეული, რასაც ადამიანმა ხელი მიჰყო, რომელიც ზეკით ვთქვეთ, იყო საჭმლის მზადება.

შეუძლებელია ჩამოვთვალოთ ყველა ეს საშუალებანი,

რითიც ძველად ამზადებდნენ საკმეველებს. ხორცი შეიძლებოდა შემწვარიყო ხის შამფურზე წამოცმით ან ცეცხლზე ტრიალით; შეიძლებოდა მისი შეწვა ნაკვერცხლებზე დადებით; ბოლოს შეიძლებოდა მისი დაკიდება ცეცხლზე ისე, რომ მაზედ მხოლოდ ბოლს ემოქმედნა. ამნაირად ჩვენ ვიკეთებთ წაღანჯულ ხორცს, ანუ აპეტიტს, რომელსაც ახლა ხმარობენ. ყოველივე ეს, ცხადია, დიდი ხნის აღმოჩენებია.

პირველ-ყოფილი ღუმელები.

მაღლე ისწავლა ადამიანმა ხორცის შესაწვავად ერთნაირი მოწყობილობა — პირველ-ყოფილი ღუმელი. ეს იყო ქვის უბრალო ფილაქნები, ზოგჯერ ამოხრუკნულის, რომელზეც ცეცხლი ინთებოდა. როცა ფილაქანი გახურდებოდა და ცეცხლი ჩაქრებოდა, მაშინ ნაკვერცხლებს მოაცლიდნენ და გახურებულ ქვაზე წვავდნენ ხორცის ნაჭრებს. რუსულ ღუმელებში ხორცს დღესაც პირდაპირ გახურებულ ქვაზე წვავენ. მაშასადამე, სჭმუალება იგივეა, მხოლოდ ეს საშუალება ქუჩის დაწუმოხშია გადატანილი.

ასე მზადდებოდა ხორცი. შემდეგ-კი ადამიანმა იწყო შეწვა ნაყოფების, ძირვეების ან მცენარისშარცვლებისა, რაც აძლევდა მათ სხვანაირ გემოს. ჩვენ უკვე დავინახეთ ზევით, რომ უმს ფქვილს ურევდნენ წყალში და ამნაირად მოზელილ ცომს სჭამდნენ. შემდეგ-კი ადამიანმა იწყო ცომის მოთუთქვა და ამრიგად ისწავლა პურის გამოცხობა.

პირველ-ყოფილ კაცს ანუ ესკიმოსს ნელ-ნელ ადუღება.

ცეცხლის მოქმედებაა წყალზე ადამიანმა ძალიან ვეიან გაიგო. ახლაც ბევრნ ხალხები, რომელნიც ცეცხლს-კი ხმარობ-

ბენ, მაგრამ წყლის ადუღება არ იციან, და მართლაც ამისა თვის საჭირო იყო კაცს გამოეგონა თიხის ჭურჭელი, რაშიაც წყლის მოდუღება შესაძლო ყოფილიყო.

იმას, რასაკვირველია, შეეძლო შეენიშნა, რომ გახურებულ ქვაზე დასხმული წყალი შიშინებს და ორთქლად ექცევა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. ამ აღმოჩენამ მხოლოდ ის ქმნა, რომ შენიშნეს თუ ცეცხლ ორთქლის საამურე სითბო, განზრახ დაუწყეს სხმა წყალს ვახურებულ ქვაზე, რათა ნაორთქლით ესარგებლნათ, დამი აეღოთ. აქედან წარმოსდგა რუსული ორთქლის აბანოები. ახლაც აკეთებენ რუსულ ღუმელებში ცალკე განყოფილებას, რომელშიაც ერის გაცხელებული ქვები, როცა „დამის აღება“ უნდათ, ანუ ოზხივარში ჩადგომა, მაშინ მიასხმენ ამ ქვებზე წყალს და აბანო მალვ ორთქლით ივსება.

თიხის ჭურჭელი რომ გამოიგონეს, აქაც ერთბაშად როდი უსწავლიათ წყლის მოდუღება ისევ როგორც ამას ეხლა ახერხებენ. ჯავდაპირველად წყლის გასაკეთებლად გახურებულ ქვებს ჩერდნენ წყალში. ასე ათბობენ ეხლაც წყალს ამ შემთხვევაში, როცა არა აქვთ საკმაოდ ჭურჭლები წყლის მოსადუღებლად, ანუ როცა მისი გათბობა თიხის ჭურჭელში სურთ. ქალიანი ადამიანი ნიშნავენ ჰქონდა ადამიანისათვის ცეცხლს, მისცლმოიჩენის შემდეგ ადამიანი ბუნებისაგან და მოუკიდებელი შეიქმნა.

ეხლა მას უკვე შეეძლო ამ კეთილმყოფელებს ღვთაების მფარველობის ქვეშ გაებედნა ბრძოლა უფრო ცივ ქვეყნებისაკენ. ცეცხლი ეხლა მზის მაგივრობას უწევდა მას. ამიტომ ადამიანი უფრო და უფრო ათასებდა ცეცხლს.

საჭირო იყო დაეფარა იგი წვიმისა და ქარისაგან და ადამიანმა დაწყო ფიქრობა ისეთ ფაშუალებათა, რომლითაც ცეცხლის დაფარვა შეიძლებოდა. ასეთ იმნათ დაიწყო, რომ

მან შემოარგვა ცეცხლი ქარისაგან სქელ ფოთლებიან წკნელებით. ჯერ მან ჩაარჭო მიწაში წკნელები მხოლოდ იმ მხრიდან, საიდანაც ქარი ჰქროდა, შაგრამ შემდეგ შემოტრიალებულ ქარს, რომ არ შეენო ცეცხლისათვის და არ გაეფანტა იგი, დაიცო ეს სხვა მხრიდანაც, მხოლოდ დაუტოვა ერთი გვერდიდან შესავალი ალაგი.

საცხოვრებელ შენობათა დასაწყისი.

ამ რიგადვე გაიჩინა ადამიანმა ბინა თავისათვისაც. თავდაპირველად იგი უფრო ცეცხლის ბინა იყო, ვინემ ადამიანისა. ზევიდან ამისთანა ბინას უტოვებდნენ საკრძალურს ბოლის გასავალად. ამრიგად ბოლოს და ბოლოს დაიწყეს ჩვენებური ქოხის მაგვარის სახლების კეთება და თანდათან მოაწყვეს იგი კერით და სხვა-და-სხვა სახლის მიუცილებელი მოწყობილობით.

შეიძლება ვინმემ გაიკვირვოს, რატომ ადამიანმა ჯერ ცეცხლისთვის გააკეთა სახლი და მერე-კი თავისათვის. მაგრამ აქ გაუგებარი არა არის რა, იმიტომ რომ თავდაპირველად კაცი არავითარ ბინას არ საჭიროებდა და, თუ ხანდახან თავს იფარავდა წვიმის დროს ხის ტოტებს ქვეშ, ამას არ შეიძლება დაერქვას ნამდვილი სადგომი.

ერთი სიტყვით, ბინა მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა ადამიანი გადადის უფრო ცივ ქვეყნებისაკენ. ცეცხლი-კი, როგორც მიუცილებელი საჭიროება, თბილ ქვეყნებშიაც უნებურად აფიქრებინებდა მას, როგორ შეენახა იგი. თუმცა თბილ ქვეყნებშიაც კაცმა კარგა ადრე დაიწყო ტოტებისაგან რაღაც სახლის მაგვარის შენება, შაგრამ ასეთი სახლი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, კარავი სანათხოვროსავით იყო და ადამიანი ძალიან ადვილად სცვლიდა მას სხვაზე, უფრო უკეთესზე.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ადამიანი იფარავდა თავს აცდ-
რისა და სიცივისგან არა მხოლოდ ხის შენობებში, არამედ ვა-
მოქვაბულებშიაც, რომლებსაც მზა-მზარეულს აძლევდა მას
ბუნება. ამ გამოქვაბულებში დღესაც ჰპოულობენ ნამდვილს
ნიშნებს იმისას, რომ იქ ადამიანი სცხოვრებდა, იქ ყრია, ა-
ცის ძვლები და სხვა-და-სხვა ნივთები.

რასაკვირველია, ბუნებითი თავისთავად გამოქვაბულები
მაგდენად ბევრი არ იყო, ადამიანს უნდა ეზრუნა, რომ თავი-
სი იარაღების შემწეობით ხელოვნურად გამოეთხარა მღვიმეები
(გამოქვაბულები). ამასობაშინ ადამიანმა, რასაკვირველია, ამ
მღვიმეებს დაუწყო უფრო მოხერხებულად კეთება, ვინემ ეს
შესაძლო იყო ბუნებრივ მღვიმეებში. ამისთანა მიწურებიაქვთ



ველურის ქოხი.

ბევრს ცივ-ჩდილოეთში მცხოვრებ ხალხებსა მაგალითად, ეს
ყიმოსებს. ისინი სთხრიან ამისთანა სადგომებს საზამთროდ
ზაფხულობით კი სცხოვრებენ უფრო გრძელ ქოხებში *).

*) დღესაც ბევრი სცხოვრებს საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებ-

ოვეზის ჯამის შემოდება ცეცხლის აღმოჩენის შემდეგ.

ცეცხლს სხვაგვარადაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანისათვის. იმან შეაძლებინა კაცს თევზის საჭმელად ხმარება. რასაკვირველია, ცეცხლის აღმოჩენამდეც იცნობდა ადამიანი ამ საჭმელს: იგი სჭამდა თევზს ან სულ მთლად უმად ან კიდევ ხორცის მსგავსად მზეზე გამხმარს. მაგრამ თევზი ძალიან ნელად ხმებოდა. იმის გახმობას დიდი დრო უნდებოდა და ხშირად ეს შრომა უნაყოფოდ რჩებოდა, რადგან თევზი მაგარი და უგემური გამოდიოდა. სანამ არც ცეცხლი იყო და არც მარილი, თევზი უგემური საჭმელი იყო.

ცეცხლის აღმოჩენის შემდეგ, კაცმა თევზის შეწვაც ისწავლა და აი მაშინ კიდეც დაესახლა წყლის პირას, სადაც თევზი მუდამ იშოვებოდა. ამ რიგად ცეცხლი იცავდა ადამიანს სიცივისა და შიმშილისაგან, მდინარეებს-კი მიჰყავდა მეგზურ ჩრდილოეთისაკენ და აწვდიდა მას საჭმელს, რომელსაც უმზადებდა მას იგივე ცეთილისმყოფელი ცეცხლი. მაგრამ თქმა არ უნდა, რომ მარტო მდინარეებს არ უჩვენებია ადამიანისათვის გზა ჩრდილოეთისაკენ.

ის-კი არ უნდა ვიფიქროთ, რომ მეთევზეობის, ომ ველური ხალხები, სჭამენ მხოლოდ თევზს, მონადირე ხალხები — ნანადირევს და მიწის მუშანი — პურს. ჩვეულებრივად ასეა ხოლმე, რომ ესა თუ ის ხალხი ყველაფერს მიჰყვება ერთ დროს და, თუ იმათ ანასაუთრებენ მეთევზეობას, მონადირეებს და მიწის მომქმედებს ეძახიან, — ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთ-ერთ საქმეს უფრო მეტ ყურადღებას მისდევენ. ეს ყო-

---

ში. ამისთანა მიწურ ქოხებში, ფაცერ-ძველს ძველ დროს მოაგონებს ადამიანს.

მთარგმნელი.

ველთვის ადვილი ასახსნელია იმით, რომ ადგილი, სადაც ისინი სცხოვრებენ, განსაკუთრებით ხელს უწყობს ერთ-ერთ ამ მუშაობას, მაგრამ, თუ როგორელიმე ადგილი ხელს უწყობდა მრავალგვარ მუშაობას, მაშინ ხშირად ყველაზე საქმიანობდა და ძნელი ჩასარიცხი იყო იგი, თუ იმ ადგილზე ერთს დროს იგი მიწის მუშაობა მეორეს — მონადირე, მესამეს — მეთევზე და სხ.

თევზი დასაჭერ ადგილების მოძებნაზე.

როცა თევზეული საქმელი განსაკუთრებით სასიამოვნო გამოდგა ცეცხლის წყალობით, მაშინ ადამ მეთევზეობას მიჰყო ხელი და იწყო გამოგონება ყოველნაირი თევზისდასაჭერ საშუალებისა. რასაკვირველია, ყველაზე უწინ იგი თევზების ცხოვრებას დააკვირდა და შენიშნა, რომ არის ისეთი დროა, როცა თევზის ურიცხვი გროვა დაიძვრის ხოლმე მდინარესა და ზღვაში. ყველაზე ადვილი იყო ამ დროს იმათი დაჭერა ან ხელით, ან სხვა რამე იარაღით.

ჯერ ყველაზე უწინ კაცი მიიქცა მცენარეებისადმი და იმათ წკნელებისაგან იწყო კალათების წვნა, რომ ამით თევზი დაეჭირა. ძალიან ადვილი შესაძლებელია, რომ წინეთაც იცოდ და მან კალათის მსგავსი რისამე კეთება წკნელისაგან, მაგრამ ახლა მან გააუმჯობესა და მოაგვარა იგი თევზის საჭერად. ჩვენ დროშიც იჭერენ თევზებს მუნჯურიანი გოდრებით და ფაცრებით.

როდესაც ადამიანმა მიაგნო ძენძიან მცენარეებს, მან ისწავლა თოკების გრეხა და მერე ბადეების ბანდვასაც მიჰყო ხელი, თუმცა ეს ბადეები პირველად ძალიან სუდა იყო. შემდეგში კაცი უფრო და უფრო დახელოვნდა და დაუწყო ასეთ

ბანდულებს შეერთება. ამ რიგად დაამზადა მან ბადე და სხვა თევზთ-საჭერი მოწყობილობა, რომელიც დღესაც არის ხმარებაში.

ხოლო თუ თევზი დიდი იყო და ეს იარაღები გამოუსადეგარი, მაშინ კაცი ხმარობდა იმ იარაღებს, რომლებითაც მხეცებს იჭერდა. იგი ესროდა თევზს ხიშტს, რომელსაც ბაწარი ება, რომ მერე გამოწევა შესძლებოდა. ასეთ ხიშტს მჯარცხს ეძახიან. იმას ჩვეულებრივად ზღვაზე ხმარობენ და თუ მდინარეში მოუხდათ თევზის დაჭერა, მაშინ ბაწარი ალარ არის საჭიროა. საჭიროა მხოლოდ ხიშტის ტარის დაგრძელება და გამოვა ჩანგალი, რომლითაც ხოცავენ და ამოაქვთ თევზი წყლიდან *). ამას შვრებიან ჩვეულებრივად ლამ-ლამობით, როცა მდინარეს ცეცხლით გაანათებენ.

თუმცა პირველ-ყოფილი იყო ეს იარაღები, მაგრამ ასეთი თევზის საჭერი საშუალება ძალიან დიდხანს არსებობდა. ამის შემოღებამდე ადამიანს უნდა გამოეგონა წყალზე მოძრაობის საშუალება, რომ შესძლებოდა თევზის დევნა. მაგრამ სანამ ამაზე ვისაუბრებდეთ, ვსთქოთ რამოდენიმე სიტყვა იმაზე, თუ რა შედეგი მოჰყვა ქალათის დაწვნას.

ადამიანმა შალე შენიშნა თიხის თვისება, რომ იგი წყალს არ უშვებს. ეს შენიშნა მან შემთხვევით, როცა ქალათა დადგა თიხიან მიწაზე. მან შენიშნა, რომ ქალათის ფსკერზე მიწებებული თიხა წყალს არ უშვებს. ამით იგი მიხვდა, რომ ქალათა გაეგლისა თიხით. თიხა ქალათას შემოსხმა და ამ რიგად გაკეთდა ჭურჭელი, რომელშიაც წყლის დაკავება შეიძლებოდა. შემდეგ ამისა მან სინჯა და ადგილა ამ ჭურჭელში წყალი. წნელი რა თქმა უნდა, ამ დროს იწვებოდა, მაგრამ

*) ამ გვარ მჯარცახებით დღესაც იჭერენ თევზს იმერეთში.

შენიშვნა რედაქციისა.

ჭურჭელი მაინც არ იშლებოდა, პირ-იქით თანდათან მაგრდებოდა და წყლის ჩასხმით აღარ იშლებოდა.

მერე განგებ დაიწყეს კალათის კეთება, მისი თიხით ვამოგლესა და შემდეგ ცეცხლში გამოწვა ასეთი წნულისა. ამნაირად კეთდებოდა თიხის ჭურჭელი, რომელსაც ნაწნაობა აჩნდა. ამისთანა თიხის ხალმებს ახლაც პოულობენ მიწის თხრის დროს.

შემდეგ მარტო თიხისაგან დაიწყო ჭურჭლის კეთება ადამიანმა ⁄ ამნაირად გაჩნდა მეჭურჭლეობა. თიხის ჭურჭლების კეთება ძველის-ძველადაც იცოდნენ, მაგრამ ამისათვის ბევრი ცდასინჯი იყო საჭირო და ეს ხელობა უნდა გამხდარიყო ზედმიწევნილ ოსტატების საქმედ. რასაკვირველია, ესეც მერმინდელი აღმოჩენაა, თავდაპირველად-კი ხელით ფოზავდნენ (გლესავდნენ) ჭურჭლებს.

ახლა ჩვენ ვილაპარაკებთ ცხოველების მოშინაურებაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც აქვს ადამიანის ცხოვრებაში.

ძ ა ღ ლ ი.

ზოგიერთი პირუტყვები ძველის-ძველიდან თან დასდევს ადამიანს. ზოგჯერ იმათ არც-კი ეთქმისთ „მოშინაურებულნი“, იმიტომ რომ მათ ეშინიათ კაცისა. მაგრამ ცხოვრებენ ისინი კაცის მახლობლად, რადგანაც მხოლოდ ადამიანის ახლო-მახლო ჰპოულობენ საჭირო საქმელს. ისინი სჭამენ იმას, რასაც კაცი სჭამს, ანუ კიდევ მის ნასუფრალს. პირველი ადგილი ამ ცხოველებში, რა თქმა უნდა, უჭირავს ძაღლს. იგი არც იმდენად არჩევს საქმელს, სჯერდება ძვლებს, ფინჩხებს, ნამცეცებს ⁄ მისთანებს. ადვილი შესაძლებელია, რომ ამის გულისათვის დასდევს იგი ადამიანს. მუდამ კაცთან სიახლოვე თავისთავად აშინაურებს ძაღლს, ამაზე მას საცადი აღარ სჭირდება. ძალიან

ადვილი იყო იმის შეჩვევა: კმაროდა მისთვის გადაეგდო ვისმე ერთი ნაჭერი, რამ და ძაღლი მაშინვე მოშინაურდებოდა და გახდებოდა პატრონის ერთგული, ე. ი. ერთმისი, ვინც მას პირველად ძვალი გადუგდო.

კაციც სცდილობდა რაიმე სარგებლობა ჰქონებოდა ამ ცხოველისაგან. პირველი აზრი, რომელიც მას თავში მოუვიდა ის აყო, რომ გაეგო, ძაღლიც სხვა ცხოველებივით გამოსადეგია, თუ არა? აღმოჩნდა, რომ ამ აზრის შესრულება ადვილი იყო. დაუწყო ძაღლებს ჭმევა იმ მიზნით, რომ მერე ეს ძაღლები საჭმელად ეხმარა. რა თქმა უნდა, რასაც მეტს მოაშენებდა ძაღლებს ადამიანი, მით უფრო უზრუნველ-ყოფილი იყო მისი ცხოვრება ⁄ ამიტომაც იგი უფრო და უფრო ცდილობდა მათ მოშენებას.

შენიშნა თუ არა, რომ ძაღლიც კაცივით ნადირობდა ფრინველებსა და ცხოველებზე, კაცმა აიყვანა იგი თავის ამხანაგად და აჩვევდა ნადირობას, მაგრამ ნანადირევს იგი მას როდი აძლევდა. კაცმა მიაჩვია იგი ნადირობას არა მარტო წვრილ-ფეხა ნადირებზე, არამედ მსხვილ ნადირზედაც, რომლისაც თვითონ ძაღლს ეშინოდა. კაცი თავს მოუყრიდა ძაღლების მთელს ხროვას, გეშავდა ⁄ წვრთნიდა მათ გარეულ ნადირებზე, რომელნიც იყვნენ ბუნებრივი მტრები, როგორც ძაღლებისა, ისე კაცებისაც. შეუძლებელია გამოიანგარიშის კაცმა ის სარგებლობა, რაც ძაღლმა მას მოუტანა.

ᲫᲐᲦᲚᲘ.

როგორც ძაღლი, ისე ღორიც ფაქიზი არ არის საჭმელის გარჩევაში. აღმოჩნდა, რომ ეს პირუტყვი ძაღლზე გაცილებით უფრო მჭამელი იყო და ქონს იგროვებდა. მაგრამ გა-

რეშე ამისა იგი არავითარ სხვა ნიჭს არ იჩენდა. დღემდე ღორი კაცს მხოლოდ ამ მხრით ეხმარება და მართალი უნდა ვთქვათ ყველა ცხოველებზე უკეთესად ასრულებს ამას.

მაგრამ თუ ძაღლის და ღორის მოშინაურება ასე ადვილი იყო, როგორ უნდა მოეშინაურებია მას ის პირუტყვები, რომელნიც საჭმელს ფაქიზად ეკიდებიან და სრულიადაც არ საზრდოობენ იმ საჭმელით, რითაც ადამიანი იკვებება?

პირუტყვების მოსაშინაურებლად ძალიან ბევრი საშუალება იყო. ერთი, რომ კაცი ნადირობის დროს წაატყდებოდა ხშირად მათს ბუდეს, ან ბუნაგს და ჰპოულობდა იქ უსუსურ ბარტყებს, ანუ ლეკვებს, რომელთა ცოცხლად წაყვანა ადვილი იყო. აქედან ადვილი მისახვედრია, რომ ბარტყებს შინ გამოკვება უნდოდა, რათა გაზრდის შემდეგ მათ გაეწიათ ის სამსახური, რასაც მათი მოუშინაურებელი მშობლები სწევდნენ. ახლა ამ პირუტყვების მოშინაურებაც დაიწყეს. ამ გზით რომ პირუტყვების მოშინაურება შესაძლო იყო, ამას ჩინებულად გვიმტკიცებს ის გარემოებაც, რომ შინ წაყვანილი ბარტყები იმდენად შინაურდებიან, რომ მათ დაბმა და დამწყვდევა აღარ სჭირდებათ. მაგრამ, თქმა არ უნდა, რომ ყველა პირუტყვებს არ ეხერხებოდა მოშინაურება.

ზოგიერთი მათგანის მოშინაურება ყოვლად შეუძლებელი საქმეა. ამისთანები არიან, მაგალითად, მტაცებელი მხეცები, რომელნიც უმი ხორცით იკვებებიან. ამიტომ მათ შეუძლიათ კაცთან ცხოვრება მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში, თუ ძალიან უვლიან მათ, თუმცა მაშინაც-კი ნაკლებად მრავლდებიან. რასაკვირველია, ამისთანა პირუტყვების მოშენება კაცს შეეძლო მხოლოდ თავის შესაქცევად. ეს იმიტომ, რომ მათი მოვლა ძნელი იყო და სარგებლობას-კი არას იძლეოდნენ. პირ-იქით ვნებაც შეეძლოთ მოეტანათ შინაური პირუტყვების შეჭმით.

ᲙᲐᲢᲐ.

მტაცებელ პირუტყვთაგან მხოლოდ ერთი მოშინაურდა; მაგრამ სამაგიეროდ იგი გამოსადეგი გახდა იმ ძავნე ცხოველების გაწყვეტაში, რომელნიც ადამიანს თან დასდევენ. ეს იყო კატა. მაგრამ იგი კაცს როდი მოუშინაურებია, არამედ თაგვებმა მოაშინაურეს. კატამ თვალი შეაჩვია ადამიანს, რომელმაც მალე შეიგნო, რომ კატას მისთვის სარგებლობა მოაქვს და ამიტომ მოწყალის თვალით დაუწყო ყურება, თუმცა საკვებს-კი არ აძლევდა მას. ეს მისთვის უკეთესი იყო ყოველის მხრით; მშიერი კატა უფრო იჭერდა თაგვებს და ადამიანიც მოსვენებულ იყო. მართალია იმასაც კი უყვარდა ხანდახან რითიმე პირის ჩატკბარუნება ადამიანის სახლში, მაგრამ ეს მას ყოველთვის არ უხერხდებოდა და ამას ყოველთვის ურალაც უსიამოვნება მოჰყვებოდა.

მაინც კიდევ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ეს მოშინაურებული პირუტყვები ჯერ კიდევ არ იყვნენ მთლად გაშინაურებულნი იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ თავდაპირველად თითონ კაციც არ ცხოვრებდა ერთ ალაგას; მაშასადამე, პირუტყვებიც კაცთან ერთად გადადიოდნენ ერთი ალაგიდან მეორეში. კატა გაჩნდა კაცთან მხოლოდ მაშინ, როცა იწყო მცენარეების შემოშავება უკანასკნელმა, რადგანაც მხოლოდ მაშინ ხდებიან ადამიანის თანამგზავრად კატის საკბილო მინდვრის თაგვებიც, რომლებიც შემდეგ გადასახლდნენ ადამიანის სახლში ამ მათთან კატაც შინაურ პირუტყვად ვადიქცა.

როცა კაცმა მცენარეებისაგან იწყო ბაწრის კეთება, მაშინ მან ხელთ იგდო ისეთი იარაღები, რითაც ზოგიერთი პირუტყვების ცაცხლად შინ მოყვანა შეეძლო. ბევრნაირი საშუალება ამისთვნა ნადირობისა, ბაწარს უკეთებენ ყულფს (საშველს) და ასე გაკეთებულ სასროლის ესვრიან პირუტყვს.

ბაწრის ერთი თავი ხელში უკავიათ მაგრად. ყულფი მოუჭერ-
და პირუტყვს კისერში და ამ ნაირად იჭერდნენ მას. წითელ
კანიანი ამერიკელები სხვა საშუალებასაც ხმარობენ: ბაწარს
მოაბმენ ბოლოში რაიმე მძიმე ნივთს, მაგ., ქვას ან ამნაირად
ბაწარს ესვრიან ნადირს ისე, რომ მოხვდება თუ არა ფეხებ-
ში, ან კისერზე, გახლართავს მას; ნადირი ძირს დაეცემა და
კაციც მერე რაც უნდა, იმას უშვრება. ასე იჭერენ ამერიკე-
ლები გარეულ ცხენებს, რომელთაც მერე აშინაურებენ.

ყველაზე წინ ადამიანმა მოაშინაურა ცხვარი და თხა, რო-
მელთა მოშინაურებას პირველად ხორცისთვის საჭიროებდნენ;
მერე-კი წველაც დაუწყეს. ჩვენ ვიცით, რომ ძველ საბერძ-
ნეთში თხას და ცხვარს ძროხასავით წველიდნენ. ბევრმა ხან-
მა განვლო, სანამ ადამიანი იპოვიდა საშუალებას ცხვრის მა-
ტყლით ესარგებლნა სხვა-და-სხვა ნაქსოვების მოსამზადებლად.
მაგრამ ამისათვის საჭირო იყო მას სცოდნოდა ძენძიანი მცე-
ნარეების შემზადება და მერე ნაქსოვების კეთება.

აქლემები, ცხენები, ძროხები და სხ.

ძმდეგში ცხოველების მოშინაურება სხვა-და-სხვა ადგი-
ლებში სხვა-და-სხვა გზით მიდიოდა. ასე, მაგალითად, ზოგიერთ
ადგილებში ამრავლებდნენ აქლემებს, ზოგან ცხენებს, ზოგან
ძროხებს, ირმებს, და სხ. ყველაზე უფრო გავრცელებული-კი
ცხენის და ძროხის მოშენება იყო. ეს პირუტყვები გავრცე-
ლებულია თითქმის ყველგან და წარმოადგენენ ბევრისაგან
ბევრს სხვა-და-სხვა კიშს. იმათ მნიშვნელობა ოჯახ-ოჯახ-ია
ლარა ღირს, რადგან ეს ყველამ კარგად იცის.

ყველა ეს ცხოველები ახლა უკვე მოშინაურდნენ. კაცმა
იმათაც-კი აუშენა თავშესაფარი. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ,
რომ ადამიანმა დაიწყო იმათი მოშინაურება იმ დროს, რო-

მას თითონაც არა ჰქონდა სამუდამო ბინა. როგორ მოახერხა მან მაშინ ამათი მოწინაურება? ადამიანმა უპირველეს ყოვლისა მზრუნველობა დაუწყო თავისს ცხოვრებისათვის საჭირო პირუტყვებს. იგი ხედავდა, რომ პირუტყვები ცხოვრებდნენ ჯოგებად და ერთი ადგილიდან მეორეში გადადიოდნენ. პირველად მას უნდა ენადირნა იმათზე, მაგრამ ეს ნადირობა არც ისე ადვილი იყო: პირუტყვები ფრთხებოდნენ და გარბოდნენ იმ სიშორეზე, რომ კაცს მათი ხელახლად მოძებნა უძნელდებოდა და ნანადირევი ხორციც მუქთად ეკარგებოდა, ფუჭდებოდა; ან კიდევ არ ყოფნიდა ახალ ნადირობამდე. ამ დროს იგი ნელ-ნელა მიდიოდა იმ აზრამდე, რომ ეცხოვრა ამ ჯოგებთან მეგობრულად და მხოლოდ საჭიროების დროს გამოეკლო ჯოგიდან ერთ-ერთი პირუტყვი. რა თქმა უნდა, ადამიანს რომ გამოეჩინა თვისი კეთილ-განწყობილება ამ პირუტყვებთან, უნდა ეგრძნობინებინა მათთვის თვისი მზრუნველობა.

პირველ-ყოფილის კაცისაგან ჯოგის გაჩენა და მისი ყოფა-ცხოვრების შეცვლა.

შემდეგ ამისა აიწყო ადამიანმა ჯოგების მწყემსვა. ერთი, რომ იგი მათ თავს აღარ ესხმის, არამედ იფარავს მათ გარეულ ნადირთა თავდასხმისაგან. მიერეკება ჯოგს იმ ადგილებში, საცა მათთვის საკვები ბლომად არის. თვით ცხოველმაც დაიწყო ადამიანის მზრუნველობის დაფასება: ის ახლა უკვე ცხოვრობს და ჰგრძნობს, რომ კაცი მისი მეგობარია.

მაგრამ როცა კაცმა ხელი ჩაიყო მწყემსობას, მისი ყოფა-ცხოვრებაც პირობებიც შეიცვალა. იგი ახლა მარტო თავისთვის აღარ ეძებდა საჭმელს, არამედ ყველანაირ ადამიანებსაც

რომლებიც შეადგენენ მის უმთავრესს საზრდოს. მას უნდა ემ-
თა-ბარნა, მუდამ ერთი ადგილიდან მეორეში ეგადასულიყო.
წელიწადის თვითეული დრო აიძულებდა მას გადაენაცვლებია
სხვა-და-სხვა ადგილს, რათა ჯოგისთვის საკვები არ გამოჰლეოდა.

ცხადია, რომ ამისთანა ცხოვრებაში, მიწის მუშაობაზე ლ
პურის თესვაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ლა ამიტომაც
კაცს ამ საქმისათვის თავი უნდა ეიენებებინა. მაგრამ ამასთანა-
ვე ადამიანს უნდა ეფიქრნა იმაზე, თუ როგორ გაეუმჯობესე-
ბინა თავისი ცხოველების ცხოვრება საზამთროდ. ზამთარი შიმ-
შილობის დროა; პირუტყვები ამ დროს იმშევიან და იმ ად-
გილებში, საცა თოვლი იცის, უნდა თოვლ-ქვეშიდან ეჩიჩქ-
ნათ გაყინული ბალახი. აი ამიტომაც კაცს ეს ბალახი უნდა
მოემარაგებინა საზამთროდ. რადგან პირუტყვები მახ ძალიან
ბლომად გაუჩნდა, თივის დამზადების თავდარიგიც უნდა მეტი
გაეწია.

ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ადამიანები მიწის მუშაობა-
ზე გადვიდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ ამ სახით საკმაო საკ-
ვები მოეპოვათ თავიანთ ჯოგებისათვის და მერე თვითონ-
აც დაიწყეს ჭამა იმ მცენარეებისა, რომლებიც პირუტყვების-
თვის მოჰყავდათ.

ეს ეს რა უნდა, რომ ყველგან ერთნაირი წეს-რიგი არ იქ-
ნებოდა. იმ ადგილებში, საცა ბლომად იყო მცენარეული საკ-
ვები, ადამიანმა ხელი მიჰყო პირველად ხორბლეულ და სხვა
მცენარეთა მოყვანას. ხოლო, საცა მომეტებულად ნადირი
იყო, იმან იგი ჯერ მიაშინაურა ლა მერე მცენარეულობის
მოყვანაზე გადავიდა.

ბევრმა ხალხებმა, ბოლოს, ერთიც და მეორეც განავითა-
რეს ერთ ლა იმავე დროს და მართლაც ჩვენ ვხედავთ ხალ-
ხებს, რომელნიც სრულიად სხვა-და-სხვა ნაირად ცხოვრებენ.
ზოგმა თვისი ჯოგის მეტი არა იცის რა, ლა სრულიადაც მიწის

მუშაობას არ მისდევს. ზოგი მიწას ამუშავებს, ბუმცა, მართალია, ძველებურ წეს-რიგზე და თითქმის სრულიადაც არ მისდევს პირუტყვების მოშინაურებას.

მომთაბარე ხალხები ჩვეულებრივ სცხოვრებენ ხოლმე ფართო უდაბურ ველებში, სადაც უხვად არის საზრდო მათის ჯოგებისათვის. სამხრეთ-რუსეთის ველებში ძველად მორბედობდნენ სხვა-და-სხვა ტომები: პოლოვცები, პაჭანიკები და სხ., ახლაც არიან რუსეთში იმისთანა მორბედი ხალხები, მაგ., ყირგიზები, თათრები, რომელთაც დაიპყრეს მეცამეტე საუკუნეში რუსეთი და საქართველო. იყვნენ აგრეთვე მორბედი ხალხები და დღემდეც აზიის ველებში მორბედობენ სხვა-და-სხვა გვარი მონგოლთ გოჩები...

პირველ-ყოფილი ადამიანის საშუალებანი წყლებზე გადასასვლელ-გადმოსასვლელად.

ეხლა ჩვენ უნდა გვნახეთ, თუ რა საშუალებანი გამოიგონა ადამიანმა წყლებზე გადასასვლელად. სხვა-და-სხვა-ნაირი ხორგები, ნავები, გემები, მიუხედავად მათის სხვა-და-სხვა მოყვანილობისა, — ყველანი საზოგადოდ წარმოადგენენ ერთსა და იმავე ძირითადს შესახედაობას: ისინი არიან, მოგრძო ხიდგან გაკეთებულნი და შუაგულში ამოხურვნული.

წყლის მახლობლად ცხოვრებისა, დროს კაცმა შეამჩნია, რომ ზოგი ნივთი წყალში იძირება, ზოგი ტივტივებს. ამაგრამ ეგი ჯერ-ჯერობით ვერ მიმხვდარიყო, გაეკეთებინა საკუთარი რამ მოწყობილობა. ამ აზრამდე შეეძლო მიეყვანა ეაციოსეთ შემთხვევას, როცა იგი წყალში ჩავარდნილი ებღაუჭებოდა მოტივტივე ძელს ან ფიცარს, ზევით ამოსასვლელად. იმან მაშინვე შეამჩინა, რომ ეს ხის ნაჭერი ძალიან ხელს უწყობს მას

ცურავაში. შემდეგ ამისა, საცა იგი საცურავად წავიდა მდინარეზე ან ზღვაზე, უკვე შეგნებულად იშველიებდა ამისთანა ნივთს. სოფლებში ზოგჯერ დღესაც-კი ბანაობენ ფიცრუკეებით, თუმცა ახლა იმათ მაგიერ ბუშტებს ხმაროობენ.

ახლა ადამიანი მას როდი დასჯერდა. იგი ჩააკვირდა იმასრომ სრულიად არ ჩაძირულიყო წყალში. ამისათვის მან მოაგროვა ძელები და მიაკრა ერთი-ერთმანეთზე. ამ რიგად მან გაიკეთა ტიკი, რომელიც შეიძლებოდა დაეყოლებია წყლის მიმდინარეობაზე, ანუ მიეწ-მოეწია აქეთ-იქით მდინარის ძირზე გრძელი ჯოგრის დაბჯენით.

ტივზე დგომის დროს კაცს ადვილად შეეძლო შეემჩნია, რომ ქარის დროს იგი უფრო ჩქარა მიცურავს, რადგან ქარი მას უბერავს და მიაქანებს. აქედან მან მოიფიქრა ზედ მოეწყო ანძა ბ იალქანი. რასაკვირველია, ეს იალქანი თავდაპირველად ისეთი იყო, როგორის გაკეთებაც შეეძლო კაცს ძენძიანი მცენარეების ნაწილებისაგან. თავდაპირველად ამ საქმეს ასრულებდა ძენშის ან ხრალისაგან მოწნული ჩილობი.

მაგრამ ტივი ძალიან ძნელი სამართავია. ამიტომაც ადამიანი შეუდგა უფრო თავისუფლად მიმოსვლის საშუალების ძებნას. პირველად მან შენიშნა, რომ ერთ დიდ ძელს შეუძლიან კაცი დაიმაგროს წყალზე, მაგრამ ამ ძელს აკლია სიმაგრე: იგი აქეთ-იქით ტრიალებს, ტორტმანობს. შეხვდა-კი ამისთანა ძელებსაც, რომელნიც წყალში არ ტრიალებენ. ეს მაშინ არის ხოლმე, როცა ძელს ერთი ბოლო ცოტა ოდნად გათლილი აქვს.

შემდეგ, იმის გულისათვის, რომ ნავი გაეკეთებინა, თავდაპირველად უბრალო როფის მაგვარი, ადამიანს ისღა დარჩენოდა, რომ ამოეჭრა ძელში თავისათვის დასატევი ალაგიც ადვილი სათქმელია „ამოეჭრა“ მაგრამ გაკეთება-კი, თუნდაც ჩვენ-ნი დროის გაუმჯობესებულ იარაღებით რომ ავიღოთ, დრო

ისე ადვილია. მაშ, რაღა იქნებოდა მაშინ, როცა ქვის ნაჯახს ხმარობდნენ? რა თქმა უნდა, თავდაპირველად ადამიანს ნავის ამოსაჭრელად ძალიან დიდი შრომა დასჭირდებოდა. მაგრამ მან გამოიგონა ხის ამოწვა. იგი გააჩაღებდა ძელზე ცეცხლს და ცოტა ხნის შემდეგ გააქრობდა; მერე ნაწვავ ალაგას ამოფხეკდა ძელს და ამნაირად მოქმედებდა სანამ საჭირო სიღრმეზე არ დაუწევდა. ახლა-კი ძნელი აღარ იყო ამნაირი როფის გაუმჯობესება და ახლანდელის მოყვანილობის მიცემა. ამასთან ერთად გამოიგონა მან მოსასმელი ნიჩაბიც: იგი ადამიანის ხელს მიაგვანეს. რაც დრო მიდიოდა თანდათან აუმჯობესებდნენ ნავს: აკეთებდნენ ხის ჩონჩხს ცალ-ცალკე ფიცრებისაგან ნავის მსგავსად; გარშემო შემოუჭერდნენ ტყავებს, რათა შიგ წყალი არ შესულიყო, ან კიდევ ამოლესავდნენ ფისით ფიცარსა და ფიცარს შუა დარჩენილ ადგილებს. ერთი სიტყვით, ეხლა საქმე ერთბაშ გაადვილდა: მალე ეს პირველ-ყოფილი ნავი დიდ იალქნიან გემად გარდაიქცა.

ადამიანის გადასახლ-გადმოსახლება ნაგლოგამოგონების შემდეგ.

ნავიოსალიან დაეხმარა კაცს არა მარტო თევზის ჭერაში, ჯერ-ჯერობით, გაუადვილა მას მისვლა-მოსვლის საქმე. რასაკვირველია, იქ, საცა საცურავი მდინარეები, ტბები და ზღვები იყო. როდესაც კაცი გადადიოდა ერთი კუნძულიდან მეორეზე, იგი ჰპოულობდა ახალ-ახალ ადგილებს, დასასახლებლად. ამ რიგად მოეფინა კაცობრიობა მთელი დედამიწის ზურგზე. ზღვაში ცურვას დიდი გავლენა ჰქონდა ხალხთა გადასახლებ-გადმოსახლებაზე, მაგ., ავსტრალიაში, რომელსაც შემორტყმული აქვს მრავალი დიდი და პატარა კუნძულებით, ესევე იყო ძველ ქვეყნებშიაც, ხმელთა-შუა ზღვის მიდამოში და გან-

საკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც მდებარეობს მცირე აზიის, დასავლეთ ნაპირას და ბალკანეთის ნახევარ კუნძულს შუა, ე. ი. ეგეის ზღვაზე ანუ კუნძულეთზე (არხიპელაგზე).

პირველ-ყოფილის ადამიანის ტანისამოსი.

აქამდე ჩვენ არაფერი გვითქვამს პირველ-ყოფილის ადამიანის ტანისამოსზე. პირველ-ყოფილი ადამიანი არ საჭიროებდა ტანისამოსს, რადგან თბილ ქვეყნებში სცხოვრებდა, თუმცა ზოგჯერ მზისკენ ძალიან მოუჭერდა, მაგრამ მაინც ეიდევ მას სხვა საზრუნავიც საკმაოდ ჰქონდა თვისი არსებობის დასაცველად. ასე რომ ეს საკითხი თავის თავად უკან რჩებოდა, როცა ხელახლად ამოაშუქებდა ცხელი ტროპიკური მზე. როცა ცეცხლი აღმოაჩინა ადამიანმა, მაშინ უფრო ნაკლებად ესაჭიროებოდა ტანისამოსი, რადგან მას ლამითაც შეეძლო გამთბარიყო დანთებულ ცეცხლთან.

ტანისამოსი უფრო და უფრო საჭირო შეიქმნა ადამიანისათვის, მაშინ, როცა მან თბილი ქვეყნებიდან ცივ ქვეყნებისაკენ იწყო გარდასახლება. აქ იგი უნებურად იფარავდა თავისს სხეულს იმით, რასაც მას აძლევდა ბუნება. უპირველეს ყოვლისა იგი ხედავს, რომ მის გარშემო მცხოვრები ცხოველები ტანისამოსოდაც კარგად გამოდიან, მაგრამ სამაგიეროდ იმათ თბილი ტყავები აქვთ. სხვა რომ არა გააჩნდა. რა, ადამიანმა თავის თავად იწყო სხეულის დაფარვა მოკლული პირუტყვების ტყავებით.

მან ცხადად დაინახა, რომ პირუტყვის ტყავი მეტად მძიმე ტანსაქმელი იყო. ამიტომ უაცი იძულებული შეიქმნა ტანსამოსის გაუმჯობესებაზედ ეფიქრნა., იგი ფხეკავდა პირუტყვის ტყავს, ბლბობდა, ჰქნიდა და სხ. ბოლოს ადამიანმა ისეთი დასარბილებელი ნივთიერებაც იპოვა, რომელიც ტყავს

საჭიროა სირბილეს აძლევდა. როგორ აღმოაჩინეს ეს ნივთიერებანი, ამის თქმა ძნელია. შეიძლება აღვნიშნოთ მხოლოდ ის, რომ პირველ-ყოფილ ხალხებს სცოდნიათ, თუ რა ზედმოქმედება აქვს ხანმოთეულ შარდს ტყავზე.

მცენარეების ძენძისაგან ქსოვის საშუალება რომ აღმოაჩინეს, მას აქეთ სხეულის დაფარვა სხვა-და-სხვა ნაქსოვებით იწყეს. თავდაპირველად, რასაკვირველია, გაეხვეოდნენ ამისთანა ქსოვილების დიდრონ ნაჭრებში, მერე-კი თანდათან შეეჩვევნენ ცალ-ცალკე ნაჭრების ერთმანეთზე მიკერებას. ამისთვის ხმაროობდნენ თევზების ფხებს ნემსის მაგივრად, ასე რომ გამოდიოდა რაღაც პერანგის მსგავსი, ჯერ უსახელებო, მერე-კი სახელოებიანიც.

ტანისამოსს ზოგჯერ ვერც-კი გაარჩევთ სამკაულისაგან. მრავალ ხალხებს, რომელთაც ტანისამოსი არც-კი იციან რა არის, ჩვეულებადა აქვთ ჩამოიკიდონ სხეულის სხვა-და-სხვა ნაწილზე სხვა-და-სხვა ნივთები სამკაულად. ჩვეულებრივად მათ უთავბოლოდ იციან იმათი ჩამოკიდება სხეულზე, ასე რომ თვით ნაქსოვების ნაჭრებიც-კი ვერ უფარავს მათ სხეულს სრცივისაგან, ⁄ თუ კიდეც უფარავს, ადამიანს მაინც აზრად არა ჰქონია ამით სხეულის გათბობა.

პირველ-ყოფილის ადამიანის სამკაულები.

ამრიგად ჩვენ უნდა გავარჩიოთ აუცილებლად საჭიროიმისაგან, რაც მხოლოდ სამკაულს შეადგენს. ჩვეულებრივად ერთიც და მეორეც შეერთებულია. მიუცილებლად საჭიროტანისამოსის გალამაზებასაც სცდილობს ადამიანი: ჰქარგავს მას, აჭრელებს, აძლევს ლამაზ-მოკუვანილობას დაძს...

მაგრამ ადამიანი რაც უფრო საჭიროებდა ტანისამოსს და რაც უფრო შევრს ზრუნავდა მასზე, მით უფრო უკან რჩე-

ბოდა სამკაულის საქმე. თბილ ქვეყნებში მცხოვრებ ხალხებში ჩვენ ვხვდებით ათას-ნაირ სამკაულებს: პირის სახეს და სხეულს იღებვენ სხვა-და-სხვა ნაირის საღებავებით; ფრინველების ფრთებს იკითებენ თმაში და თმასაც სულ სხვანაირად ივარცხნიან. ყოველ ამას სჩადიან, რასაკვირველია, სამკაულისათვის. პირ-იქით, ჩრდილოეთის ცივ ქვეყნებში, სადაც მუდმივი თოვლ-ყინვა იცის, კაცები თავით ფეხებამდე ტყავში არიან გახვეულნი და ცხადად შეატყობს კაცი, რომ ყოველივე მისი ტანისამოსის ნაწილი მიგვარებულია საჭირო მოძრაობაზე. ამიტომაც ეს სრულიადაც არ ვხვდებით სამკაულებს. ტანისამოსის სილამაზეს შეადგენს მხოლოდ თვით მასალის სიკეთე, ე. ი. ტყავის სილამაზე-სიკარგე.

ლითონების შემუშავება პირველ-ყოფილის კაცის-ძიერ. სხალენში.

ახლა დაგვრჩა ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ მივიდა კაცი ლითონების შემუშავებამდე. პირველი ლითონი, რომელიც ადამიანმა გაიცნო, იყო სპილენძი, იგი ბუნებაში გაწმენდილი ხვდება კაცს, ასე რომ მას ხშირად შახვდებოდა მისი ნატეხების პოვნა. ძნელი არ იყო აგრეთვე შეემჩნია, რომ ეს ლითონი რაღაც განსაკუთრებული თვისებისა იყო,—იგი ქვაზე უფრო რბილია და იმასავით არ ტყდება ნატეხ-ნატეხ, არამედ დარტყმისაგან სხვა მოყვანილობას იღებს. რასაკვირველია, ადამიანს გაუხარდა, რომ თავს წაადგა ამისთანა სატყლეჭ ქვას, რომელიც ადვილად იღებს საჭირო მოყვანილობას. მაგრამ ეს ლითონი ქვაზე უფრო ცუდი აღმოჩნდა; იგი მეტად რბილი იყო და ამიტომ იარაღების საკეთებლად არ გამოდგებოდა; ის მხოლოდ სამკაულებად იყო მოსახმარი. მერე ცეცხლის გავლენაც შეამჩნიეს ამ ლითონზე: აღმოჩნდა, რომ ის ლხვებოდა. რო-

ფორ მიაგნებდა ადამიანი ამას, ეს ადვილი წარმოსადგენია, თუ გავიხსენებთ, რომ ადამიანს ხშირად სჭირდებოდა ქვის გახურება ან რისამე შესაწვავად, ან წყლის ასადუღებლად.

რადგან თავდაპირველად ადამიანი ვერ არჩევდა ქვას ლითონისაგან, ამიტომ ლითონსაც ისე ეპყრობოდნენ, როგორც ქვას. რა თქმა უნდა, დიდიხნის მუშაობა დასჭირდა ადამიანს, სანამ ლითონისაგან იარაღების გაკეთებას მიაგნებდა. ამისათვის უნდა გამოეძებნა საკმაოდ მაგარი ლითონი. ეს ლითონი იყო თითბერი.

თ ი თ ბ ე რ ი

მაგრამ ნამდვილი თითბერი ბუნებაში არ მოიპოვება. ეს არის ხელოვნურად ნალხობი სპილენძი და კალა. მაშასადამე, კაცს ჯერ კალა უნდა ეპოვნა, ესწავლა მისი გალხობა და მერე მისი შედუღება სპილენძთან.

ე ნ ლ ბ

თავისთავად იგულისხმება, რომ ამგვარის აღმოჩენისათვის საჭირო იყო განსაკუთრებით ტელისშემწყობი პირობები. საჭირო იყო, რომ ერთ და იმავე ალაგას ეპოვნათ სპილენძიც და კალაც. ამისთანა ადგილები-კი დედამიწის ზურგზე ძალიან ცოტაა. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია საკმაოდ სწორედ ვუჩვენოთ, თუ საიდან უნდა გავრცელებულიყო თითბრის იარაღების ხმარება.

ისინი რომ ერთსა და იმავე ადგილიდან არიან გავრცელებულნი, ეს იქიდანაც ცხადია, რომ ყველა თითბრის ნივთები, რომლებსაც ჰპოულობენ თხრილებში, ძალიან გვანან ერთმანეთს. ამბობენ, რომ თითბერი აზიიდან უნდა იყოს გ-

ვრცელებულია, სახელდობრ, ურალისა და ალტაის შუა ადგილებიდან, სადაც ორთავე ლითონს ჰპოულობენ.

რკინა.

ამავე დროს და ზოგან შეიძლება უფრო ადრეც, შამოიღეს ხმარებაში რკინა. მისი შემუშავება უფრო ძნელი იყო და ვერც ყველა გაართმევდა მას თავს. რკინის მომუშავე მჭედლები მიდიოდნენ იმისთანა ხალხებთან, რომელთაც რკინის ხმარება არც-კი იცოდნენ. როგორც უცხო ხალხი, რომელიც სრულიად ცალკე ცხოვრებდა, ეს მჭედლები კიდევ უფრო ჯადოქრებად ისახებოდა იმათ თვალში. დღესაც ჩვენში მჭედლები გრძნეულებად მიაჩნიათ.

ოქრო და ვერცხლი.

ოქრო და ვერცხლიც ცნობილი იყო ძველის-ძველად. რასაკვირველია, ეს ლითონები ყოველგან ერთნაირად არ იყვნენ გავრცელებულნი: ზოგან ოქრო იყო ბევრი, ზოგან ვერცხლი. თავდაპირველად ამ ლითონებს სამკაულებად ხმარობდნენ; ზოგან კისერსა და ყურებზე იკიდებდნენ მათ და ზოგან სამაჯურადაც ატარებდნენ.

როცა ევროპიელებმა ამერიკა აღმოაჩინეს, ძალიან გაკვირვებულნი დარჩნენ, რომ იქაურ ხალხებს ოქროს სამკაულები უნახეს.

ძველი დროიდანვე დაიწყეს ოქროსა და ვერცხლის ფულად ხმარება. როგორც ადრევე, სწორედ ეხლაც ისე დაჰქონდათ რგი სამკაულად და საჭიროების დროს ჩამოსჭრიდნენ მას იმდენს, რამდენიც სურდათ გადაეხადათ. ფულის მაჩვენებელი გრძელი ოქრო-ვერცხლის წკეპლები კისერზე ჰქონდათ

ჩამოკიდებული. რაკგზერ დაიწყეს ოქრო და ვერცხლის ფუ-
ლად ხმარება, — ამაზე ქვევით ოგვექნება საუბარი.

ვაჭრობის დასაწყისი.

რადგან ლითონი ყველგან არ იპოვება, ამისათვის იმათ
გავრცელება შეკავშირებულიყ ადამიანთა ერთმანეთ შორის
ხშირ მიმოსვლასთან. გაცვლა-გამოცვლა ერთი ადგილის ნა-
წარმოებისა მეორისაზე, ძველის-ძველ დროიდანვე იწყებდა. ზო-
გიერთი ხალხები ერთი ადგილიდან მეორეზე რომ გადადიოდ-
ნენ, გადაჰქონდათ ერთის ადგილის საქონელი მეორეში; ამით
ისინი ხდებოდნენ ვაჭარ ხალხებად. თავდაპირველად ესენი, რა
ბქმა უნდა, გოჩა ხალხები იყვნენ; მერე-კი, როცა წყალზე
მოგზაურობას მიეჩვევნენ, ვაჭრებად გადაიქცნენ. კი ვაჭრებად
ლ მეზღვაურებად ზღვის პირად მცხოვრები ხალხი შეიქმნა. ძვე-
ლად ამიტომ ვაჭრები უსათუოდ მოგზაურები უნდა ყოფილი-
ყვნენ და ჩვეულებრივად უცხოელები.

ჩვენშიაც მოდიოდნენ ხოლმე ძველად ამისთანა სტუმრე-
ბი; მაგ., ბერძნები, ფინიკიელები და სხ., რომელთაც შამო-
ჰქონდათ უცხო ქვეყნების საქონელი და მიჰქონდათ ჩვენური
ნაწარმოები, მაგ., აბრეშუმი.

დამათრობელ ნივთიერებათა ხმარება ადამიანისაკენ.

აქამდე ჩვენ გვქონდა საუბარი ბმ.საგნებზე, რომლებიც
მიუცილებლად საჭირო იყო ადამიანის სიცოცხლისათვის.
მაგრამ გარდა ამ სასარგებლო ნიმოჩენათა ძველის-ძველ დრო-
ში დედამიწის ხეოგზე ყველგან ვხედავ, რომ ხმარობენ სასმელ-
საჭმელად ისეთ ნაწარმოებს, რაც ადამიანს მხოლოდ სიამოვ-
ნებას ჰგვრის, მაგრამ ზოგჯერ-კი თვისი დამათრობელი თვი-

სებით სიმართელეზე მავნებლად მოქმედობს. რასაკვირველია, პირველ-ყოფილ კაცს ცხადად არ შეეძლო შეეგნო ამისთანა მათრობელ ნივთიერებათა ხმარების მავნებლობა.

ჩვენ დროშიაც არის მრავალი ამისთანა კაცი, რომელსაც არაფრად მიაჩნია მავნებლობა მთვრალობისა და თამბაქოს წევისა, მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებამ უკვე დაამტკიცა მათი მავნებლობა. მეცნიერებამ ისიც-კი ახსნა თუ, სახელდობრ, რაში მდგომარეობს ეს მავნებლობა. პირველ-ყოფილ ადამიანს არ შეეძლო შეენიშნა ნელი, შეყოლილი მავნებლობა გამაბრუებელ ნივთიერებათა, საამური დათრობა-კი, ადამიანს საკარგებლო და სასიამოვნო საქმედ მიაჩნია.

გარდა ამისა, თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში იმ უშველებელ ფიზიკურ და ზნეობრივ გაწამაწიას, რომელიც წილად ხვდა პირველ-ყოფილ კაცს ბუნებასთან ბრძოლაში ლუკმა პურის მოსაპოვებლად და თავისი ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად,—ჩვენთვის სრულიად გასაგები იქნება ის, თუ რისთვის შეიყვარა ასე ადამიანმა ეს გამაბრუებელი ნივთიერებანი. ეს ნივთიერებანი მართლაც დიდ შეღავათს აძლევდა ადამიანს: ამაგრებდა მას იმ წუთებში, როცა იგი ნამეტან დაღლილობას ჰგრძნობდა, უმატებდა ახალ ძალას... შემდეგ-კი, როცა მათი აღძრული მოქმედება გაივლიდა, ადამიანი ეძლეოდა ღრმა ძილს, რომელიც ჰგვრიდა მას საჭირო მოსვენებას და ახალისებდა ახალი მუშაობისათვის.

დამათრობელ ნივთიერებათა გადმერთება.

ადამიანს ვერ გაეგო, საიდან წარმოსდგება ამ ნივთიერებათა ასეთი მოქმედება და ამიტომაც სასმელების ასეთი ზედგავლენა მიათვისა იმავე სასმელში მყოფ რაღაც ღვთაებას. ეს ღვთაება მას კეთილ რამედ მიაჩნდა და დაუწყო მას თაყვანისცემა

არიან ისეთი ხალხები, რომელთაც ეს სასმელები მიაჩნიათ ღვთაებად და ისეთ ღვთაებად, რომელიც სხვა ღმერთებს აძლევს სიცოცხლეს და შეადგენს მათ მუდმივს საზრდოს.

მეტადრე განვითარებული იყო ეს თაყვანისცემა ამ ღვთაებისადმი ძველ ინდუსებში, რომელნიც ცხოვრობდნენ ახალ ოსტინდიაში და ძველ სპარსელებს შორის. იმათ ჰქონდათ რაღაც სასმელი, რომელსაც მცენარის „სომის“ წვენისაგან აკეთებდნენ. ამ სასმელის შემზადება, მღვდელმოქმედებად გადიქცა და იმის შემზადების დროს გალობდნენ სხვა-და-სხვა საგალობლებს ამ ღვთაების სადიდებლად. ამასთანავე ადიდებდნენ მის კეთილმოქმედებას ადამიანზე და სხვა ღმერთებზე.

ასეთი წესები და საგალობლები ყველგან არსებობდა და რუსეთშიაც არის ამისი ნაშთი დარჩენილი. მხოლოდ რუსეთში ხარშავდნენ და დღესაც ხარშავენ სოფლებში დღესასწაულ დღეებში ლუდს, რის სადიდებლადაც გალობენ შემდეგ საგალობელს: „ლუდის წყალობით ჩვენ ფეხზე ვდგებით, ლუდის წყალობით ჩვენ ტაშს ვუკრავთ და სხ...“ ამ ლექსს რომ მღეროდნენ ლუდის ხარშვის დროს, ამას გვიჩვენებს თვით სიმღერის დაბოლოება: „ლადაო, ჩემო, ლადაო!“ ეს ლადა იყო სლავიანების ძველი წარმართული ღვთაება. ჩვენშიაც ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს დამათრობელ ნივთიერებას, ღვინოს, ხალხის თვალში?

თ ა ფ ლ ი.

ძალიან გავრცელებული იყო ძველად თაფლი და მისგან შემზადებული სასმელი. ძველში ზრ იყო კაკოსთვის ფუტკრის თაფლის შოვნა. იპოვნა მან სურნელოვან ხეში სკის ბუდე და რაკი მან ერთხელ ჭირი ჩაიგემრიელა იმითი, შემდეგ ხელებსაც აღარ ზოგავდა, ოღონდ იგი ხიდან გამოეღო. რა თქმა უნდა,

ადამიანმა მალე მოინახა იმისთანა საშუალება, რითაც აიშორა ფუტკრებისაგან უსიამოვნება; ეს საშუალება იყო ანთებულის ცეცხლის ბოლით ფუტკრების ხიდან გამორეკვა. მერე-კი ისიც მოახერხა, რომ ხის ფუღუროდან თაფლი ისე ამოეღო, რომ არ გამორეკა იქიდან ფუტკრები, რათა მეორეთაც დამტკბარიყო ხმათი თაფლით. მაგრამ ნამდვილი მეფუტკრეობა იწყება მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანმა გაიკეთა სამუდამო საცხოვრებელი, როცა იგი ერთ ალაგას დაბინავდა.

თაფლით ადამიანი ამზადებდა საჭმელს: აზელდა მას ცომში და ზოგჯერ-კი სჭამდა მას სარაჭადაც. მაგრამ წმინდა თაფლი ძალიან ცუდად მოქმედობს სტომაქზე, და აი, კაცმაც იფიქრა იმისი გახსნა წყალში და ტკბილი სასმელი მოამზადა. ამგვარად წყალში გახსნილი თაფლი ცოტა ხნის შემდეგ იწყებს დუღილს და ამნაირად იმისგან კეთდება ის სასმელი, რომელიც ასე გავრცელებულია რუსებსა, გერმანელებსა და სხვა ხალხებში.

ლ უ დ ი.

სწორედ ამნაირადვე ისწავლა კაცმა ლუდის მომზადება. იმას აკეთებენ წვენისაგან, რომელიც გამოსდის წყალში ჩაყრილ ფქვილს. შესანიშნავია, რომ ლუდიც სხვა-და-სხვა სახელწოდებით გავრცელებული იყო მრავალ ხალხთა შორის, მეტადრე იქ, საცა ადგილობრივ პირობათა გამო შეუძლებელი იყო სხვა დამათრობელი სასმელების მომზადება.

შენიშნეს თუ არა, რომ ზოგიერთ მცენარეების წვენს დამათრობელი თვისება აქვსო, დაიწყეს ამ მცენარის შერევა ლუდში, რათა ლუდს ძალა მისცემოდა. ასე, მაგ. რუსეთში

ამ მიზნისათვის ურევენ ლუდში სვიტს (ფშალას) და ზოგიერ სხვა მცენარეებსაც.

ყურძნის ღვინო.

ყურძნის ღვინის მომზადება ძველის-ძველიდანვე იცოდნენ იქ, საცა ვაზი კარგად ხარობდა. საკმარისი იყო ყურძენი გაეწნიხა კაცს, ჩაესხა ჭურჭელში და გამოვიდოდა ღვინო, რაც ლუდზე უფრო ძალიან მოქმედებდა ადამიანის სხეულზე. ამისათვის ძველად ღვინოს სვამდნენ ჩვეულებრივად წყალ-გარეულს, წმინდა ღვინით-კი უმასპინძლდებოდნენ ღმერთებს, რომელთაც, როგორც მაშინ ფიქრობდნენ, აჩუქეს კაცს ყურძნის ვაზი და ასწავლეს ამ სალმრთო სასმელის მომზადება.

თრიაქი (აფიანი) და ხაშხაში.

ასეთივე გამაბრუებელი გავლენა ჰქონდა ადამიანზე ზოგიერთ სხვა მცენარეებსაც. იმათგან ჩვენ დავასახელებთ **ყაყაჩოს** და **კანაფს**. ამ მცენარეებსაც თესლით აკეთებენ სხვა-და-სხვა საჭმელებს. რასაკვირველია, ამ მცენარეების მოქმედება შედარებით მცირეა, მაგრამ ზოგიერთ ადგილებში იმათგან აკეთებენ ისეთ სასმელებს, რომელნიც ყოველგვარ ღვინოზე უფრო ძალიან მოქმედებს. ასეთია, მაგ. **თრიაქი** და **ხაშხაში**, რომელთაც ამზადებენ უმწიფარ ყაყაჩოსა და კანაფისაგან. ამათ აზიაში ხმარობენ და ძალიან ცუდი გავლენა აქვს ადამიანის ჯანის სიმრთელეზე. იმათი გავლენით ემართება კაცს ფანასნაირი უცნაური სიზმრები; ადამიანს ნახევრადა სძინავს, ბურანშია და ახველებს.

თ ა მ ბ ა ქ ო.

ფსგაუსად. იმისა, რაგორც ჩვენს ძველ ქვეყნებშია ფავრ-

ცელებული სხვა-და-სხვა დამათრობელი სასმელების ხმარება, აგრეთვეა ახალ ქვეყანაში, ამერიკაში, გავრცელებული თამბაქოს წეკა და ღეკვა. ევროპიელებმაც გადმოიღეს ეს ჩვეულება ამერიკელებისაგან. იგი ძალიან სწრაფად მოედო მთელს ევროპას. როგორც ძველ ქვეყნებში მიჰქონდათ ღმერთებთან მსხვერპლად ღვინო, ისე ამერიკაშიაც ღმერთებს უკმევდნენ თამბაქოს და მხოლოდ ამისთანა მსხვერპლის შეწირვის შემდეგ თითონაც იწყებდნენ იმის წევას.

პირველ-ყოფილის ადამიანის საზოგადოებური ცხოვრება.

ახლა რაკი გამოვიკვლიეთ პირველ-ყოფილის ადამიანის ცხოვრების ნივთიერი მოწყობილება, ჩვენ უნდა გადვიდეთ მის საზოგადოებურ ცხოვრებაზე.

ადამიანთა დროებითი შეკრებები საზოგადო საქმისათვის.

ჩვენ ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ მრავალ შემთხვევაში ადამიანს არ შეუძლია გასძლოს სხვა ადამიანთა დაუხმარებლად. იყო ისეთი საქმეები, რომელთაც ერთის კაცის ძალა ვერ იტვირთებდა და ამისთვის ბევრი კაცი უნდა შეერთებულიყო ჯგუფ-ჯგუფად. ამისთანა საქმეები ძალიან ბევრი იყო: ნადირობა, თევზაობა, პირუტყვთა მოშენება, სხვა-და-სხვა შენობათა აგება, ცეცხლის გაჩენა. ყოველსავე ამას, საჭიროების მიხედვით, შეეძლო შეერთებინა ადამიანები ჯგუფ-ჯგუფად.

მაგრამ, რაკი საჭიროება გაივლიდა, ეს ჯგუფებიც ხელ-ახლა დაიშლებოდნენ, იმიტომ რომ მათ შორის მიუცილებელი საჭიროება აღარ არსებობდა. იმათ მაგიერ ჩნდებოდნენ ახალი ჯგუფები, ახალი საქმისათვის და მათ ადგილს სხვები

იჭერდნენ. ასეთი ჯგუფების მუდმივი არსებობა შეუძლებელი იყო იმიტომ, რომ პირველ ხანებში კაცებს მუდმივი საქმე არა ჰქონდათ. ინადირებდნენ, ნანადირევს გაინაწილებდნენ და, სანამ სარჩო მთლად არ შამოელეოდათ, ჩვეულებრივად არაფერ საქმეს არ შეუდგებოდნენ. შემდეგ დადგებოდა დრო თევზაობისა და კაცებიც ხელახლა შეიყრებოდნენ ამ საქმისათვის.

ადამიანთა შორის მტკიცე კავშირის დასაწყისი.

მაგრამ რას შეეძლო კაცებში ჩამოეგდო მუდმივი ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრების საჭიროება? რასაკვირველია, პირველად იმას, რომ მათ არ შეეძლოთ არასოდეს ერთი კაცის ძალ-ღონეს დანდობოდნენ. მიუცილებლად საჭირო იყო სხვისი სამსახურით ესარგებლნათ და ემუშავნათ ერთად საზრდოს მოსაპოებლად.

პირველ-ყოფილი ოჯახი.

მაგრამ, გარდა ამისა, ეს საერთო ცხოვრება უკვე უძველეს დრო-ჟამში აერთებდა ადამიანებს ერთ დიდ ოჯახად. ისინი ამხანაგები იყვნენ არა მარტო მუშაობაში, არამედ ნათესაობაც დაადგინეს ერთმანეთში. მაგრამ ეს პირველ-ყოფილი ნათესაობა ძალიან განირჩეოდა ახლანდელისაგან. ამიტომ საჭიროა განვიხილოთ, თუ როგორი იყო პირველდაწყებითი ადამიანთა ოჯახობა. ჩვენ ჩვეულებრივად ოჯახს ვუწოდებთ ცოლ-ქმარს, მათ შვილებს და ზოგჯერ მათ ნათესავებს, მაგ., ბებიას (დიდედას) და ბაბუას. მაგრამ პირველ-დაწყებითი ოჯახი არ გავდა ჩვენსას, ასე რომ იმას ოჯახსაც ვერ ვუწოდებთ.

ჩვენ დროამდე მოაღწია თქმულებამ, თუ როგორ ცხოვრებდნენ ძველად მრავალი ხალხები. იმათ არ იცოდნენ ქორ-

წინება. რუსების წინაპრებმა, როგორც ამტკიცებს მათი მემატიანე ნესტორი, არ იცოდნენ ქორწინება, არამედ ცხოვრებდნენ ცხოველებსავით. ამისთანა ცნობებია სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ხალხებზედაც. უნდა ვიფიქროთ, რომ ძველად არც ერთმა ხალხმა არ იცოდა ქორწინება და, მაშასადამე, არც ჩვენი დროისებური ოჯახი იქნებოდა. ქმრებს ჰყავდათ ბევრი ცოლები, ცოლებს ბევრი ქმრები და რადგანაც განსაზღვრული ქორწინება არ არსებობდა, არც ნათესაობის განსაზღვრა შეიძლებოდა სინამდვილით. ძმებს და დებს ვერ არჩევდნენ და მათ შორის ქორწინება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ახლაც-კი არიან ავსტრალიაში იმისთანა ხალხები, რომელთაც შესაძლისად მიაჩნიათ ქორწინება მამასა და ასულს შორის.

მაგრამ ნელ-ნელა ადამიანები მივიდნენ ამ დასკვნამდე, რომ ასეთი ქორწინება მავნებელია; შთამომავლობა ასეთის ქორწინებისაგან სუსტი გამოდის და ვერ მრავლდება. ის ხალხები, რომელთაც შესწყვიტეს ქორწინება ნათესავთა შორის, აღმოჩნდნენ იმათზე უძლიერესნი, რომელთაც ეს არ მოეშალათ უწინდებურად. უფრო სუსტი ხალხები ან უნდა ამოწყვეტილ-ყვნენ, ან და შემოელოთ ბაიკინთ შორის იგივე წესი.

პირველ-ყოველ ხალხთა მუდმივი ბრძოლა ერთმანეთს შორის.

ამას უფრო ნათლად წარმოვიდგენთ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ბევრ-ველ-ყოფილ ხალხებს ჰქონდათ მუდმივი შტრობა ერთმანეთს შორის და ნადირობდნენ არა მარტო მხეცებზე, არამედ თავიანთ მოძმე ადამიანებზედაც, რომელთაც ისინი მაშინ არ რაცხდნენ თავიანთ მოძმეებად; ვინც კი სხვა ხალხს ეკუთნიდა, მტრად მიაჩნდათ. იმას ისე უყურებდნენ, როგორც პირუტყვს და ლაშქრობდნენ მეზობელ

ხალხებზე, რათა ხელში ჩაეგდოთ ფსინი და ან შეეჭამათ, ან მონებად ექციათ*).

მონობის გაჩენა.

მონაც იმ დროში იგივე პირუტყვი იყო ოჯახში გამოსაგები და პირველად ცხოველებივით სჭამდნენ; მერე-კი ისწავლეს მათი მოხმარება მუშაობაში. ასე ექცეოდნენ იმ მონებს, რომელთაც სხვა-და-სხვა ხალხებიდან იძენდნენ: თავდაპირველად სჭამდნენ, მერე-კი დაიწყეს მათი მოხმარება საშინაო საქმეებზე.

ამისთანა ყოფა-ცხოვრების დროს აღვილი წარმოსადგენია თუ, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა სხეულის ძალ-ღონის მეტ-ნაკლებობას. ვინც ძალიან ღონიერი იყო, შეეძლო პირდაპირ შეეჭამა თავისი უძლური მეზობელი.

ქორწინების აღკრძალვა მახლობელ ნათესავთა შორის.

ამნაირად დარჩა დედამიწის ზურგზე მხოლოდ იმისთანა ხალხები, რომელთაც შამოიღეს ახალი წეს-რიგი, რასაც მოჰყვა უფრო ძლიერი შთამომავლობა. ეს ახალი დადგენილება იყო ქორწინების აღკრძალვა ნათესავთა შორის. შემდეგ-კი

*) მონობა უფრო პოლოს გაჩნდა. უწინ, როცა ადამიანი არ აშენებდა შრომას და ვერაფერ სასარგებლო ნაყოფს გამოაღებინებდა მას, ის შეუბრალებლად ყლეტავდა, და სწვავდა ბრძოლის ველზედ დამარცხებულ მეტოქეს; მაგრამ როცა წარმოებითი დამოკიდებულება შეიცვალა და შრომას ფასი დაედო, ადამიანი-კი აკის სიცოცხლესაც ფასი დაედო და მონობა გაჩნდა.

სხვა ხალხებს ან უნდა დაეთმოთ ძლიერისათვის, ან უნდა შამოელოთ მათებური წეს-რიგი.

მაგრამ ეს წეს-რიგი დიდის გასაჭირით შემუშავდა. სხვა-და-სხვა ქვეყნებში ჩვენ ახლაც ვპოულობთ სხვა-და-სხვა წეს-რიგს. ზოგი მეტად, ზოგი უფრო ნაკლებად საზღვრავს ადამიანთ წრეს, რომლებთანაც შეუღლების ნება არა ჰქონდათ.

პირველად, როცა არავითარი განსაზღვრული ქორწინება არ არსებობდა, არც გასაკვირი იყო, რომ ნათესაობა არ არსებობდა. საჭირო არ იყო ნათესავების გარჩევა სხვა კაცთაგან. იმ დროში არსებობდა მხოლოდ ერთი ნათესაობა დედასა და შვილს შორის და ისიც იმ დრომდე, სანამ ბავშვები პატარები იყვნენ. როცა ისინი გაიზრდებოდნენ და დედას მოშორდებოდნენ, ადვილად მოხდებოდა, რომ შვილი დედას ქმრად შეხვედროდა. ამნაირად ნათესაობა გამორკვევის მაგიერ კიდევ უფრო იხლართებოდა.

პირველი საზღვარი, რომელსაც ჩვენ ვპოულობთ ახლანდელ ხალხთა შორის იყო ის, რომ მშობლების შვილებზე დაქორწინება შეუძლებელია. მაგრამ, რადგან ქორწინება მუდმივი არ იყო, და სინამდვილით ცნობილი იყო მარტო დედა, ამისათვის, რა თქმა უნდა, ეს ეხებოდა მხოლოდ დედასა და ვაჟიშვილებს შორის ქორწინებას. ქორწინება მამასა და ასულებს შორის თავისუფლად შეიძლებოდა.

მაგრამ დედასა და ვაჟიშვილებს შორის შედარებით იშვიათად ხდებოდა ქორწინება, რადგან დედა ძალიან უხნესი უნდა ყოფილიყო თავის მოწიფულ ვაჟებზე. უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ამიტომ ქორწინების საზღვარს ძმებსა და დებს შორის. მაგრამ აქ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ძველ დროში ძმებად და დებად ითვლებოდნენ მხოლოთ ერთი დედის შვილები, რადგან მამის ვინაობა ძლიერ ძნელი შესატყობი იყო. ამ მხრით საინტერესოა ავსტრალიელების დადგენილებანი,

რომლებიც შეუძლებელად ჰყოფენ ქორწინებას, როგორც დედასა და ვაჟიშვილებს შორის, ისე და-ძმათა შორისაც. მთელი ხალხი იმათში ორ-კლასად განიყოფებოდა. ერთი კლასის მამაკაცებს თავისუფლად შეეძლოთ მეორე კლასის დედაკაცებზედ დაქორწინებულიყვნენ. ერთსა და იმავე კლასს შორის ქორწინება-კი სრულიად აღკრძალული იყო. შვილები თავისთავად ეკუთნოდნენ დედის კლასს. ამიტომ დედასა და ვაჟიშვილებს შორის, ან დებსა და ძმებს შორის ქორწინება შეუძლებელი იყო.

მაგრამ ამისთანა წესწყობილების დროს მაინც შესაძლებელი იყო ქორწინება მამასა და ქალიშვილს შორის, იმიტომ რომ ქალიშვილი ეკუთვნის დედის კლასს. მაშასადამე მას, როგორც მისს დედას თავისუფლად შეეძლო თავისის მამის ცოლად გამხდარიყო. იმავე ავსტრალიელებში, სხვა ადგილებში არსებობს ისეთი წეს-წყობილება, რომლის ძალით შეუძლებელია ამისთანა ქორწინებაც. პირველის კლასის ყველა შვილები, ე. ი. ამ კლასის ყველა დედაკაცთა შვილები, რომელნიც ძმებად და დებად ითვლებოდნენ,—შეადგენდნენ ამისთანა წეს-წყობილებაში ახალ, მესამე კლასს. მათ შორის ქორწინება შეუძლებელი იყო, მაგრამ ისინი სამაგიეროდ ქორწინდებოდნენ მეორე კლასის დედა-კაცთა შვილებზე, რომელნიც თითონ შეადგენდნენ ახალ მეოთხე კლასს.

ამნაირად ქორწინება არსებობდა პირველსა და მეორე კლასს შორისაც და მესამე და მეოთხეს შორისაც. მაგრამ მეორესა და მესამე და-პირველსა და მეოთხეს შორის ქორწინება ნებადართული არ იყო. ამნაირი წეს-წყობილებისა გამო მოისპო ქორწინება მამასა და ქალიშვილს შორის იმიტომ, რომ, თუ დედა პირველ კლასიდან იყო, მაშინ დედა მეორიდან იყო, ქალიშვილი-კი ეკუთნოდა მესამეს. მაგრამ მეორესა და მესამეს შორის ქორწინება შეუძლებელი იყო. მესამე და

მეოთხე კლასის შვილები ხელახლა გადადიოდნენ პირველსა და მეორეში, ისე რომ ქორწინება შესაძლებელი იყო ბაბუასა და შვილის შვილს შორის. და რადგან აქ წელთა შორის განსხვავება უკვე მეტად დიდი იყო, ამიტომ ამისთანა ქორწინება თითქის არ არსებობდა.

ამნაირი წეს-წყობილების გასათვალისწინებლად საჭიროა აქ დავხატოთ შემდეგი სქემა, სადაც სჩანს როგორ იყო მოწყობილი ეს საქმე. ფჩხილები ნიშნავს ქორწინებას, ნიშანი — აჩვენებს — რომელ კლასთა შორის შესაძლო იყო ქორწინება.

I კლასი. — II კლასი.

დედაკაცები; მამაკაცები; დედაკაცები; მამაკაცები;



III კლასი. — IV კლასი.

დედაკაცები; მამაკაცები; მამაკაცები; დედაკაცები;



ამ სქემით ადვილად გასაგებია, რომელ ნათესავთა შორის შეუძლებელი იყო ქორწინება და რომელშიც ნებადართული. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნათესაობა დედა-კაცის მტოლზე მიდიოდა, რაც სრულიად გასაგებია მარტო იმით, რომ შეუძლებელი იყო სისწორით გაგება იმისა, თუ ვინ იყო მამა თუ იმ შვილების მამა. ასე რომ, თუ ჩვენ ვლაპარაკობდ მა-

მასა და ქალიშვილს შორის ქორწინებაზე, რა თქმა უნდა ქალიშვილმა არ იცოდა ის, რომ, იგი მისი მამა ეყო, მამამ კიდევ ის არ იცოდა, თუ ის მისი ასული ეყო.

ამიტომ ამისთანა წყობილებაში მამები ბევრი იყო: ერთი კლასის ყველა მამა-კაცებს მეორე კლასის შვილები უწოდებდნენ და რაცხდნენ თავიანთ მამებად. სწორედ ასევე თავისს დედის დებს თვლიდნენ დედებად, მაგრამ იმიტომ-კი არა, რომ დედა არ იცოდნენ, არამედ იმისათვის, რომ შვილები ეკუთნოდნენ მთელ კლასს და ყველანი ირიცხებოდნენ მთელი ერთი კლასის დედა-კაცთა შვილებად.

ეხლა მთელის ამ არეულ-დარეულ ურთიერთობისაგან დაწესდა ახალი ნათესაობა. დედის ძმებს არას გზით არ შეუძლიათ გახდნენ თავიანთი დების შვილთა მამებად და ამისათვის ჩნდება ახალი ნათესაობა: ყველა ისინი ირიცხებიან თავიანთი დების შვილების ბიძებად. სწორედ ესევე ქმრების დები ხდებოდნენ მამებად; ერთი კლასის შვილები-კი მეორე კლასის შვილთა შესახებ გამოდიან ბიძაშვილებად, იმიტომ რომ მათ არ შეეძლოთ ჰყოლოდათ საერთო დედ-მამა. დედ-მამად მათ ჰყავდათ მამა-კაცები ერთის კლასისა და დედა-კაცები მეორისა.

ზემორე მოყვანილ სქემიდამ ადვილი დასანახია, რომ პირველი კლასის პირები მეორე კლასის პირთა შესახებ ბიძაშვილები გამოვლენ; ბიძაშვილი ვაჟები და ბიძაშვილი ქალები სწორედ ასეთივე დამოკიდულება იყო მესამესა და მეოთხე კლასთა შორისაც. თვითეული კლასი-კი ცალ-ცალკე შესდგება ძმებისა და დეებისაგან, თუ ისინი ერთ და იმავე დგმას ეკუთვნიან, და ბაბუა-ბებიებისაგან შვილიშვილებიანად, თუ ისინი სხვა-და-სხვა დგმას ეკუთვნიან.

ჩვენ ხელახლა შევჩერდით ავსტრალიელების წეს-წყობილებაზე იმიტომ, რომ იმისგან წარმოსდგა ეგრეთწოდებული საგვარეულო წყობილება. ავსტრალიაში ეს კლასები გავრცელე-

ბულია მრავალ რიცხვოვან ტომებში. მაგრამ, რაც დრო მიდიო-და და ტომები იზრდებოდნენ, ასეთი დაყოფა კლასებად მო-უხერხებელი ხდებოდა. კაცთა რიცხვი თითეულ კლასსში სულ თანდათან მატულობდა და ამიტომაც შეუძლებელი შეიქმნა ქორწინება მეორე კლასთა პირებს შორის, როცა რომ ეს მეორე კლასი ცხოვრებდა რამდენიმე ასი ვერსის დაშორებით პირველისაგან.

დედაკაცის გარშემო შემოჯგუფული პირველ-ყოფილი გვარეულობა.

მაშინ გაჩნდა ახალი დაყოფილება. გაჩნდა ჯგუფები ისეთი ნათესაველისა, რომელთა შორის ქორწინება ნებადართული არ იყო. ეს ჯგუფები თავდაპარველად, ალბად, ეკუთნოდნენ ერთ კლასს, რომელიც დაყოფილი იყო იმ ჯგუფებად. ამისთანა ჯგუფები ახლა უკვე წარმოადგენდნენ გვარეულობას, ეს სხვა-და-სხვა თაობათა ნათესავთა ჯგუფს.

ნათესაობა ჯერ კიდევ დედა-კაცის შტოზე არიცხებოდა, მაშასადამე, ამისთანა გვარეულობა შეიკავდა ძმებს და დებს,— საზოგადო დედების შვილებს, დების შვილებს და მისთანებს. ამისთანა გვარეულობის მამა-კაცები ეძებდნენ თავიანთვის ცოლებს, დედა-კაცები-კი ქმრებს—უცხო გვარეულობაში.

გვარეულობანი გაჩნდნენ იმიტომაც-კი არიან, რომ ამას მოითხოვდა ქორწინების წეს-წყობილება. ეს ჯგუფები ჩვეულებრივად შეადგენდნენ საზოგადო საქმით შეკავშირებულ საზოგადოებას. თუ ჩვენ გავიხსენებთ, რომ პირველად დედა-კაცმა დაიწყო მეურნეობა, მცენარეების შემუშავება, რაცა მამა-კაცი უფრო ნადირობას მისდევდა, მაშინ ჩვენთვის ისიც ცხადი წარმოსადგენი იქნება, თუ რატომ შეადგენდა **დედა-კაცი საგ-კარეულო მოწყობილობის საფუძველს,**

ახალთაობის აღზრდის გარდა იგი ოჯახობასაც ეწეოდა და ხვნა-თესვასაც, ე. ი. მას თითქმის მთლად უნდა ეზრუნა პირველ-ყოფილ ადამიანის სამუდამო ბინის მოწყობაზე. ნადირობიდან დაბრუნებული მამა-კაცები მისი სტუმრები იყვნენ და ამიტომ იგი განაგებდა იმათ, როგორც სურდა. იგი უბრძანებდა მათ, რომ თავიანთი ნანადირევი შემოეტანათ ოჯახში, და, თუ ვინიცობაა, ნანადირევი ძალიან ცოტა აღმოჩნდებოდა, მას შეეძლო ასეთი ზარმაცი მონადირე მამა-კაცი სახლშიაც არ შემოეშვა. ამიტომ ჩვეულებრივად ასე იყო ხოლმე, რომ მამა-კაცები გადასახლდებოდნენ თავიანთ ცოლების გვარეულობაში და უნდა ემუშავნათ იმისათვის, რომ ცოლებთან ერთად ცხოვრების უფლება მოეპოვათ. თუ მამა-კაცების შრომა საკმაო არ იყო, მაშინ ცოლებს შეეძლოთ ხელ-ახლა დაეთხოვათ თავიანთი ქმრები და ცოლის მიერ განდევნილ ქმრებს ხელ-ახლად უნდა ეძებნათ ცოლები და სხვა ახალი ბინა.

მაგრამ გარემოება მალე შეიცვალა. მამაკაცებმა პირუტყვების მოსაშინაურებელი საშუალება იპოვეს. იმათ მოაშენეს პირუტყვები ბლომად, ისე რომ ხორცეული საკმელი ეხლა უფრო მუდმივი გახდა, ვინემ წინედ. დედაკაცის მინდვრის მეურნეობამ, რომელიც მაშინ ძალიან დაბალ ხარისხზე იდგა, თავი მოიხარა მამა-კაცისაგან ამისთანა მსხვილმან პირუტყვთა მოშენების წინაშე. საზრდოს უმთავრეს წყაროდ გახდა ეხლა მწყემსობა; იგი-კი თხოულობდა ერთი ადგილიდან მეორეზე გადანაცვლებას პირუტყვებისათვის საკვების საძებრად.

მაშათმთავრის გარშემო შემოჯგუფული ოჯახთმთავრული გვარეულობის დასაწყისი.

დედა-კაცისაგან მინდვრის მუშაობა უკან უნდა ჩამომ-

დგარიყო. დედაკაცები უნდა მოსცილებოდნენ თავიანთს მინდორს, რომ ქმრებთან ერთად ემთა-ბარნათ. ამ რიგად მამა-კაცის შრომამ დასძლია და ამასთან ერთად მამა-კაცმაც უპირატესობა მოიპოვა დედა-კაცზე. გვარეულობა ახლა ძალიან გამდიდრდა: მას ბუარებელი ჯოგი ჰყავდა, მაგრამ ამ ჯოგებს მამა-კაცი მწყემსავდა. იმათ ახლა აღარ უნდოდათ გადასახლებულიყვნენ წინანდებურად თავიანთ ცოლებთან სხვა გვარეულობაში. არც ერთი და არც მეორე მათ არ ისურვეს. ამისათვის მათ ცოლები სხვა გვარეულობიდან უნდა მოეყვანათ თავიანთ გვარეულობაში. ამ რიგად ახლა გვარეულობა ნელ-ნელა იღებდა სხვა სახეს. განსაკუთრებული ცვლილება მასში აღარა მომხდარა-რა. მხოლოდ ახალი გვარეულობა შეიცავდა შვილებს ბ შვილი-შვილებს მამა-კაცთა ერთის ჯგუფისას, ე. ი. ნათესაობის აღრიცხვა ახლა წავიდა მამა-კაცის შტოზე. ასეთი ჯგუფი იწოდება მამათმთავრულ გვარეულობად, თვით უხუცესი მამა-კაცი გვარეულობაში იწოდება მამათმთავრად.

მსხვილ მამათმთავრავრულ გვარეულობის დანაწილება წვრილ-წვრილებად.

ახლა მამათმთავრულ გვარეულობაშიაც ხდება ცვლილებანი. ცხოვრება ახლა უფრო უზრუნველ ჰყოფდა ადამიანს. ამასთან ერთად ამ გარემოებამ მსხვილ გვარეულობას გაუადვილა წვრილ-წვრილებად დაყოფა. თავდაპირველად ასეთ წვრილ-წვრილად დაყოფა შესაძლებელი იყო იმიტომ, რომ წვრილ ჯგუფს შეეძლო თავისი თავი ერჩინა. ამას გარდა პირუტყვების მწყემსვა თხოულობდა იმას, რომ მსხვილ-მსხვილი ჯგუფები წვრილ-წვრილებად დანაწილებულიყვნენ, რადგან დიდი ჯოგისათვის საძოვრის შოვნა ძნელდებოდა. ამის გამო ხშირად

ჩხუბი იმართებოდა და ამიტომ მეჯოგეები უნდა წასულიყვნენ სხვა-და-სხვა მხრისკენ.

დასაწყისი წყვილის ოჯახობისა.

როცა ცხოვრება უზრუნველყოფილი შეიქმნა, გაადვილდა, მაშინ ქორწინების წეს-რიგმაც სხვა სახე მიიღო. ადამიანის პირად ღირსებას დიდი ფასი დაედო, თანდათან მომეტებული მნიშვნელობა მიიღო, ახლა გაჩნდა **წყვილ-წყვილი ოჯახი (парная семья)**, რომელიც შესდგებოდა რამოდენიმე ერთად თანხმობით თავ-მოყრილ ადამიანებისაგან; ისინი ცხოვრებდნენ ერთად იმ დრომდე, სანამ ერთ-ერთი მათგანი უარს არ ჰყოფდა ასეთ თანაცხოვრებას (сожительство). ქორწინების დარღვევა ადვილი იყო, მაგრამ მერე მან მიიღო ცოტად თუ ბევრად ორ პირთა შორის ხანგრძლივი ცხოვრების სახე. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს წყვილ-წყვილი ოჯახი გაჩნდა და განვითარდა ისევ საგვარეულო წყობილებაში. ამიტომაც ჩვეულებრივად ერთად მცხოვრები გვარეულობა განიყოფოდა მრავალ ოჯახებად, რომელნიც ცხოვრებდნენ ერთ მამათ-მთავრის ხელთ უფლების ქვეშ. როცა გვარეულობა გაიზრდებოდა და ერთობ იმატებდა, მაშინ რამდენიმე ამ წვრილ-ოჯახთაგანი, უფრო მახლობელი ნათესავები, გაეყრებოდა უმთავრესს გვარეულობას და შეადგენდა ცალკე გვარეულობას, ცალკე მამათ-მთავრით.

ძონობის დასაწყისი და მისი მნიშვნელობა.

გარდა ამისა ჩვენ ეხლა უნდა განვიხილოთ ერთი დაწესებულება, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა გვარეულობის განვითარებაზე ძველს დროში.

ახლა ჩვენ უკვე ვიცით თუ, რა მტრულად უყურებდნენ ერთმანეთს პირველ-ყოფილი ტომები. ჩვენ ვიცით, რომ ისინი ომობდნენ ერთმანეთს შორის და გამარჯვებულნი ხშირათა სჭამდნენ თავიანთ დამარცხებულ მტრებს. ახლა, როცა ადამიანი უზრუნველ-ყოფილი გახდა ცხოვრებისათვის, იმისთვის საჭირო აღარ იყო სხვა ტომის კაცის შეჭმა. ხორცეულ საჭმელს მას უხვად აძლევდა პირუტყვების მოშენება. დატყვევებული კაცი-კი მას სამუშაოდ გამოადგებოდა, რაც ახლა მომეტებულ სარგებლობას აძლევდა. წინად კაცი ძლივს-ძლივობით ირჩენდა თავს, და ამიტომ მისი მუშაობით სხვებს ძალიან ცოტა სარგებლობა ჰქონდა. ახლა ცხოვრების პირობები შეიცვალა და ამ დატყვევებულებს თავისს სარგოდ ამუშავებდნენ, ისინი გახადეს მონებად.

მონები იყვნენ სხვა ტომისაგან და ჩვეულებრივად ისინი ადამიანებათაც არ მიაჩნდათ. მონები მუშაობდნენ შინაურ პირუტყვების თანასწორად და მათ მხოლოდ იმიტომ არა ჰხოცავდნენ, რომ ეს ოჯახისათვის ერთობ საზარალო იყო. მაგრამ მონის მოკვლა დანაშაულად არ ითვლებოდა. ამ მონობის გაჩენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ის ხალხნი, რომელთა შორის მონობა ჩნდებოდა, უფრო სწრაფად და ადვილად იძენდნენ სიმდიდრესა და უფლებას. მონის ნაშოვარ-ნაამაგევი, მონის პატრონს მიჰქონდა და ამნაირად ბატონი მდიდრდებოდა არა მარტო თავისის შრომით, არამედ მონების შრომითაც.

მეტადრე შესანიშნავს მონობის განვითარების მაგალითს ჩვენ ვპოულობთ ძველს საბერძნეთსა და რომში. იქ ეს საქმე იქამდე მივიდა, რომ ყოველივე ცხოვრებისათვის საჭირო შრომა მარტო მონებს ჰქონდათ დაკისრებული. მაღალი კლასი მხოლოდ სამხედრო საქმეს ეწეოდა, რათა მონები მორჩილებაში ჰყოლოდათ. გარდა ამისა ისინი მისდევდნენ სხვა-და-სხვა სა-

ჯეთილშობილო საქმეს: მეცნიერებას, მწიგნობრობას ‌ ‌ სხვა-დასხვა სეირნობასა და განცხრომას, რისთვისაც მათ ისევ მონები ემსახურებოდნენ. ყოველი სხვა საქმე, შრომა, ითვლებოდა მონების საქმედ, და ბატონები-კი თაკილობდნენ და სასირცხოდ მიაჩნდათ იგი.

რასაკვირველია, ყველგან ასე არა ყოფილა. მაგრამ იქ, საცა მონობა არ არსებობდა, კაცობრიობა უფრო ნელ-ნელა ვითარდებოდა და არ შეეძლო ასულიყო განათლების მაღალ ხარისხამდე.

ახლა ჩვენ დავუბრუნდებით ისევ მამათ-მთავრულ გვარეულობას. მონობის გაჩენისათანავე ამისთანა გვარეულობაში გაჩნდა მონათა ჯგუფები, რომელნიც მასვე ეკუთნოდნენ, მაგრამ თავისუფლება-კი არა ჰქონდათ, და მამათ-მთავრის მბრძანებლობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ქორწინება თავისუფალთა და მონათა შორის არ არსებობდა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ვითომ ცხოვრებაში ამას ადგილი აღარა ჰქონდა. ასეთი არა ჩვეულებრივი ქორწინებაც ხშირად ხდებოდა ხოლმე. ამისთანა ქორწინებისაგან წარმომდგარი ჩამომავლობა არ ითვლებოდა თავისუფლად და ამიტომაც ის გამორიცხული იყო იმ თავისუფალთა რიცხვიდან, რომელსაც მთელი გვარეულობის ქონება ეკუთვნოდა.

საგვარეულო ქორწინების სამემკვიდრო დადგენება.

როცა გვარეულობანი ძლიერ გამდიდრდნენ, საცხოვრებელ-სამკვიდროს საქმეც პირველ ხარისხოვან საქმედ გადიქცა. საჭირო იყო გვარეულობისაგან შეძენილი სიმდიდრის დაცვა. ეს-კი შეიძლებოდა მემკვიდრეობის დადგენით. გვარეულობის მთელი ქონება გადადიოდა ერთი თაობიდან მეორეზე, მაგრამ მონები, რასაკვირველია, გამორიცხულნი იყვნენ საგვარეულო

ქონების მფლობელთა რიცხვიდან. ამიტომ, თუ მოხდებოდა ქორწინება თავისუფალთა და მონათა შორის, ასეთი ქორწინებისაგან ნაშობი შვილები ითვლებოდნენ უკანონოთ, ე. ი. მემკვიდრეობაზე მათ უფლება არა ჰქონდათ. ისინი ჩვეულებრივად ირიცხებოდნენ მონების შვილებად, ანუ შეადგენდნენ ნახევრად თავისუფალ შუათანა კლასს. მაგრამ ზოგჯერ ისეც მოხდებოდა, რომ წინაპარს არ რჩებოდა მამრობითი შთამომავლობა. მაშინ ჩვეულებრივად უკანონო ვაჟი, ე. ი. თავისუფალის და მონის შვილი ირიცხებოდა კანონიერ მემკვიდრედ. იმას იშვილებდნენ ხოლმე და ის ხდებოდა სრულ უფლებიანი თავისუფალი გვარეულობის წევრი. ამნაირად დადგინდა განსხვავება კანონიერ და უკანონო ქორწინებათა შორის. უფრო ნამდვილი იქნება ვსთქვათ, რომ უკანონო ქორწინება სრულიად არ ითვლებოდა ქორწინებად.

ჩვენ უკვე ვიცით, როგორ მტრულად უყურებდნენ ერთმანეთს პირველ-ყოფილი ტომები. ეს მტრობა დააჩნდა აგრეთვე ქორწინების საქმესაც. რაც უფრო სასტიკად იყო აღკრძალული ქორწინება ნათესავთა შორის და რაც უფრო მატულობდა ეს ჯგუფი, მით უფრო ძნელი შეიქმნა ცოლების მოპოება. დანაწილება ამ ნათესავთა ჯგუფისა უფრო წვრილ-წვრილ გვარეულობად, თავდაპირველად სრულიად არ შველიდა საქმეს, რადგან ნათესაობა რჩებოდა ცალ-ცალკე გვარეულობაშიაც. ამიტომაც ქორწინება მათ შორის შეუძლებელი იყო.

მჯლით ცოლების მოტაცება.

ამიტომ ცოლის შოვნა იმათში მხოლოდ შორს თუ შეიძლებოდა. მაგრამ რადგან შორეული ტომები ყველა ერთმანეთს მტრულად უყურებდნენ, ამისათვის ცოლები ძალად უნ-

და მოეტაცნათ. ვისაც ცოლის მოპოება სურდა, მოაგროვებდა ამხანაგებს, წავიდოდნენ, დაესხმოდნენ თავს მეზობელ ხალხებს და იტაცებდნენ საცოლოებს.

ამისთანა „მტაცებლობითი ქორწინების“ ნაშთები ყველგან გავრცელებული იყო და არის. ჩვენშიაც არის ეს ჩვეულება დარჩენილი. ზოგიერთ ადგილებში არსებობს ისეთი ჩვეულება, რომ როდესაც დედმამის ოჯახიდან პატარძალი მიჰყავთ. მას თან მიჰყვებიან თოფებით დაიარაღებულნი ცხენოსნები და ისვრიან ჰაერში უტყვიო თოფებს. რა თქმა უნდა, ახლა ქორწინება დედ-მამის თანხმობით ხდება, მაგრამ მტაცებლობის სახელი მაინც დარჩენილა და თითონ პატარძალი რაგინდ უყვარდეს თავისს საქრმოს, მაინც ვალად სთვლის ცოტა მაინც იტიროს, რომ იგი „სხვა კაცს“ მიჰყავს დედ-მამის სახლიდან *).

ცოლების სყიდვა უცხო გვარეულობაში.

რადგან ყველა ტომებს სჭირდებოდათ ერთმანეთისაგან საცოლოები წაეყვან-წამოეყვანათ, ამიტომ ისინი თანდათან მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ბევრად უკეთესია მშვიდობიანის გზით მოეხდინათ ეს საქმე. ყველასათვის ერთნაირად გამოუსადეგარი იყო ეს ძველებური მტრობა. ამ აზრის დამკვიდრე-

---

*) პატივცემულის ავტორის აზრი პატარძლის მშობლების სახლიდან წასვლის დროს ტირილის შესახებ, ერთობ ცალ-მხრივად მიგვაჩნია. ქალი იმოტომ-კი არა სტირის ამ დროს, რომ ეს ძველი ჩვეულებით იყოს დარჩენილი, არამედ იმიტომ, რომ ის ამ დროს ეთხოვება ყოველ მას, რასაც ყმაწვილობიდან შეეზარდა, შეეჩვია, რაც თავის საკუთრებად მიაჩნდა. ის ეთხოვება ყოველ ამას და აგრეთვე თავისს მშობლებს, ნათესავებს და სხვ. და მისთვის უცნობსა და გაუგებარ პირობებში გადადის.

შენიშვნა რედაქციისა.

ბას ძალიან დაეხმარა გაცვლა-გამოცვლის საქმე სხვა-და-სხვა ნათესავთა შორის, ე. ი. **ვაჭრობის გაჩენა.**

საცოლოების ამისთანა ყიდვა-გასყიდვის ნაშთი უფრო მეტია, ვინემ მოტაცებისა. სოფლებში დღესაც ქორწილის გაწყობამდე საცოლოს და სასძლოს მშობლებს თუ პირადად, თუ შუამავლების საშუალებით აქვთ დაწვრილებით მოლაპარაკება ყველაფერზე ‌ᲓᲐ თითონ ქორწინებით შეუღლებაზე-კი თითქმის არაფერს არ ამბობენ ხოლმე. სასძლოს სინჯავენ ისე, როგორც მუშტარი სასყიდელ საქონელს; სმენ ღვინოს, როგორც ყოველ სხვა ყიდვა-გასყიდვის დროს. საცოლოების ყიდვა-გასყიდვის ნაშთი დარჩენილია სასძლოს ნათესავების დასაჩუქრების ჩვეულებაში. სასძლო შეადგენს მთელი გვარეულობის ნაწილს, ამიტომაც მთელის გვარეულობისათვის უნდა მიეცათ გამოსაყიდი *).

როცა სხვა საქონელსავით დაიწყეს საცოლოების სყიდვა, ერთ-მეუღლეობა და წყვილეული ოჯახობა კიდევ უფრო გავრცელდა. ბევრი ცოლის სყიდვა ძალიან ძნელი შეიქმნა; ამისათვის ყველას არა ჰქონდა საშუალება. ამიტომ რამდენიმე ცოლი შეეძლო ჰყოლოდა მხოლოდ მდიდრებს ‌ᲓᲐ რადგან

*) დღეს ჩვენში ეს ჩვეულება თითქმის უმეტეს ნაწილად არ არსებობს; უფრო ხშირად ქალს მზითევს აძლევენ მშობლები და ისე ისტუმრებენ თავისს სახლიდან; მაგრამ ქალების სყიდვის ჩვეულება ასალის სახით მაინც არის დარჩენილი. მაგალითად, საქართველოს ზოგიერთ ნაწილებში და უფრო-კი იმერეთში სავალდებულოა სიდედრს საჩუქარი მიართვას ფულად; ამ ფულს ჩვენში „საძუძურს“ ეძახიან. მთიულეთში-კი დღესაც სრულიად და სავსებით არის დარჩენილი საცოლო გამოსყიდვის ჩვეულება. ამის დასამტკიცებლად სხვათა შორის დავასახელებთ მაღალ-ნიჭიერის ყაზიბეგის თხზულებებს, რომელშიც ხშირად შეხვდებით, რომ სასიძოს რამდენიმე თავი ცხვარი, ან სხვა შინაური პირუტყვი მიჰყავს ‌ᲥᲗᲐᲛᲐᲓ ქალის მშობლებთან.

შენ. რედაქციისა.

ასეთის წეს-წყობილების დროს მთელის გვარეულობის სიმდიდრეს განაგებდა მამათ-მთავარი, ამისთვის ჩვეულებრივად მხოლოდ მას შეეძლო მრავალი ცოლის ყოლა; დანარჩენი გვარეულობის წევრები ჯერდებოდნენ თითო ცოლებს. მაგრამ თვით მამათ-მთავარსაც ხშირად მარტო ერთი კანონიერი ცოლი ჰყავდა, რომლის შვილები მემკვიდრეებად ითვლებოდნენ. სხვა ცოლები ჩვეულებრივად იყვნენ მხევლებად და მათ შვილებს ჰქონდათ მეტ-ნაკლები უფლებანი, იმის მიხედვით თუ, რამდენად უფრო გაძლიერებული იყო მონობა.

გვარეულობათა დანაწილება ჯერ დიდრონ და მერე წვრილ-წვრილ ოჯახებად.

შემდეგ რამდენიმე ხნისა, როცა კაცის ცხოვრება უფრო-უზრუნველ-ყოფილი შეიქმნა, მსხვილი გვარეულობანი ნაწილდებოდნენ პატარ-პატარებად და გადადიოდნენ დიდრონ ოჯახებად. ამისთანა დიდი ოჯახები ჩვენშიაც არის აქა-იქ, თუმცა გვარეულობითი წყობილება ახლა აღარ არსებობს. დიდი ოჯახი ჩვენში შესდგება წყვილ მოხუცისაგან, ქმრისა და ცოლისაგან და მათი ვაჟებისაგან თავიანთი ცოლებითა და შვილებით. ჩვეულებრივად ეხლა ასეთი დიდი ოჯახიც ნაწილდება **წვრილ-წვრილ ოჯახებად**. თვითეული ვაჟი დაცოლ-შვილდება თუ არა, გაეყრება მამას, გააქვს საოჯახო კუთვნილებათა ნაწილი და საკუთარ ოჯახობას მართავს.

ძონოგაძეად წოდებულის ქორწინების ახალი ფორმის დასაწყისი.

ძას შემდეგ რაც მამა-კაცმა უპირატესობა მიიღო ოჯახში, შესამჩნევად შეიცვალა ერთ-მეუღლეობა. მისი ფორმა რჩება,

მაგრამ მამა-კაცის უფრო დიდმა მნიშვნელობამ თავი იმაში იჩინა, რომ ცოლი დამოკიდებული გახდა ქმრისაგან. ერთ-მეუღლეობის დროს ცოლს შეეძლო ქორწინება დაერღვია თავის სურვილისამებრ, ეხლა-კი იმას ჩამოერთვა ეს უფლება. იგი სამუდამოდ ხდება თავისი ქმრის თითქმის სრულ საკუთრებად. მაშინ, როცა მამა-კაცი ნებას აძლევს თავის თავს იყოლიოს სხვა ცოლები, დედა-კაცისაგან მოითხოვს სრულს ერთგულებას ერთის თავისი ქმრისადმი. ღალატისათვის იგი სასტიკად ისჯება. ის ხდება ცოლად, რომლის ერთად-ერთი დანიშნულებაა—დაბადოს კანონიერი შვილები, მამის ქონების კანონიერი მემკვიდრეები. სწორედ ამის გამო ისჯება იგი ღალატისათვის, რადგან ასეთი თავისი ქცევით იგი ეშვსა ჰბადებს შვილების კანონიერებაზე, რომელნიც ქონების მემკვიდრეებად არიან წინდაწინ დანიშნულნი.

ამისთანა ქორწინების ფორმა, რომელიც გაჩნდა მხოლოდ მამათ-მთავრული გვარეულობის გაძლიერების შემდეგ, იწოდება მონოგამიად, ანუ ერთ-ქორწინებად. ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ ასეთ ქორწინებაში ჭეშმარიტი ერთ-მეუღლეობა მხოლოდ ქალის მხრით არის. სრული ერთ-ქორწინება, ანუ ერთ-ცოლ-ქმრობა მხოლოდ მაშინ იქნება, როცა მას ორივე მხარე ასრულებს, ცოლიცა და ქმარიც. ამისთანა ქორწინების ფორმა, ე. ი. სრული ერთ-მეუღლეობა დღესაც არ არის ჩვეულებრივი მოვლენა. თუ-კი ერსებობს ეხლა ერთმანეთს შორის ერთგულება ცოლსა და ქმარს შუა,—ყოველ შემთხვევაში მამა-კაცის სქესებრივი შეერთება უქმრო ქალებთანაც-კი ქორწინებამდე, არ შეადგენს იშვიათს მოვლენას.

ოჯახის ფორმის მსგავსების მაგალითი სხვა-და-სხვა ხალხებში.

აქამდე ჩვენ განვიხილეთ თუ, როგორ იცვლებოდა ქორ-

წინების ფორმები და როგორ წარმოსდგა იმათგან ის ოჯახი, რომელიც ახლა არსებობს, მაგრამ ამას უნდა დავუმატოთ, რომ ეს ფორმები შესამჩნევად იცვლება სხვა-და-სხვა ხალხებში მათის ცხოვრების პირობათა მიხედვით. ჩვენ აქ აღვნიშნეთ მხოლოდ უმთავრესი ფორმები, რომლებიც ერთმანეთისაგან მკაცრად განირჩევიან. მაგრამ მათ შორის არსებობს მრავალი ორთა შუა ფორმები, რომლებშიაც განსხვავება ისე აშკარად არა სჩანს. ასე რომ შეუძლებელია ისინი ჩავთვალოთ იმ ფორმებად, რომელიც ჩვენ ზევით განვიხილეთ. ჩვენ გაკვრით მოვიხსენიეთ, რომ ოჯახის ფორმების შეცვლა დამოკიდებულია ხალხთა არსებობის პირობათა ცვლილებაზე. მაგალითად, მამათ-მთავრული ოჯახი ჩვეულებრივად ეცემა მაშინ, როცა ხალხი გადადის ბინადარ ცხოვრებაზე და არსებობის ახალი პირობანი ვითარდება. ჩვენ ზევით ისიც დავინახეთ, რომ დედამიწის ზურგზე მყოფი ხალხები ცხოვრებენ დაბალ ხარისხზე ძალიან სხვა-და-სხვა პირობებში. ასე რომ ერთი საზომით ყველასი გაზომვა შეუძლებელია. თუ ყოველ ამასთან ჩვენ ვხედავთ, რომ ოჯახების ფორმები ყველა ხალხისა საკვირველად გვანან ერთმანეთს, ეს აიხსნება იმითი, რომ ყველა სალხთა ცხოვრების პირობებში არსებობს ბევრი რამ მსგავსია, ზოგიერთ-გარეგან გარსსავებათა მიუხედავად.

პირველ-ყოფილ ხალხთა ცხოვრების მსგავსება ერთმანეთში დამყარებულია იმაზე, რომ ყველა ისინი უტიდებლად უნდა შეერთებულიყვნენ დიდრონ ჯგუფებად, რომ ეცხოვრათ და საზოგადო ძალ-ღონით ეშოვათ თავისი სასმელ-საჭმელი, ტანისამოსი, სასლ-კარი და ყოველივე საჭირო ნივთი. თუ წარმოვიდგენთ ამისთანა ადამიანების დიდ ჯგუფს, მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ ეს ჯგუფი ბოლოს და ბოლოს უნდა წარმოადგენდეს ასეთ თუ ისეთ ნათესავურ ჯგუფს. აქ თუნდ რომ თავდაპირველად ნათესავები არც-კი ყოფილიყვნენ, მრავალის წლის გასვლის შე-

ძველ ეს არა ნათესავნიც ამოსწყდებოდნენ და ყოველ ახალ დგმაში ერთმანეთის ნათესავნი უფრო მეტი იქნებოდნენ.

ჩვენ უკვე განვიხილეთ, თუ როგორ იცვლებოდნენ დროს განმავლობაში ეს ნათესავთა ჯგუფები. ეხლა ჩვენ ვხედავთ, თუ რა მიზეზებს უნდა შეერთებინა ადამიანები დიდრონ ჯგუფებად. ყოველთვის ეს შეერთება პირველ-ყოფილ ხარისხზე გამოიხატებოდა ამა თუ იმ საოჯახო ჯგუფის ფორმაში: თავისთავად იგულისხმება, რომ ოჯახი აქ უნდა გვესმოდეს პირველ-ყოფილ მნიშვნელობით.

ადამიანთა დიდრონ ჯგუფებად შემაერთებელნი პირობანი. თემობითი ნადირობა.

ეხლა საჭიროა განვიხილოთ ის პირობანი, რომელნიც აერთებდნენ ადამიანებს დიდრონ ჯგუფებად. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მხოლოდ შეერთებულის ძალით მუშაობას შეეძლო შეენახა ადამიანის არსებობა. ეხლა ჩვენ უნდა განვიხილოთ დაწვრილებით ის, თუ რა საქმიანობა აერთებდა ასე ადამიანებს.

აქ ჩვენ ყველაზე უწინ ვხედებით **თემობითს ნადირობას** და თევზის ჭერას. აფრიკასა და ავსტრალიაში ჩვენ ვხედავთ, მაგ., ამისთანა საშუალებას ნადირობისას. ცხოველებს გარს ეხვევიან რამდენიმე კაცი და ერეკებიან შეიარაღებულ მონადირეებისაკენ, რომელნიც ესვრიან მათ შურდულებს და ხოცავენ ზოგჯერ ისე ბევრ ნადირს, რომ შეერთებული ძალითაც ვერ ერევიან მათ შესაჭმელად. მიიმწყვდევენ ხოლმე ჩვეულებრივად ნადირს ქალები და ბავშები, მოწიფული კაცები-კი კლავენ იმათ. ნადირობის შემდეგ ჩვეულებრივად დიდ მეჯლისს მართავენ, ადანთებენ ცეცხლს, კლავენ ამ-ლრჩეულ პირუტყვებს

და სჭამენ რაც ძალი და ღონე აქვთ, დანარჩენ ნანადირევს-კი ინაწილებენ ერთმანეთში.

ზოგჯერ პირუტყვების მისამწყვდევად ცეცხლს ხმარობენ. ცეცხლს წაუკიდებენ ხოლმე თივას ან გამხმარ ჩირგვს; ქარს მიაქვს ცეცხლი ერთი მხრისაკენ და ამით დამფრთხალი ნადირები მირბიან მონადირეებისაკენ და ამ დროს დაიწყება ჟლეტა. მაგრამ ამ დროს მონადირეებიც განსაცდელში ვარდებიან, თუ ცხოველებს შორის ისეთი მხეცი აღმოჩნდა, როგორც ლომი ან ჯიქია.

ზოგჯერ სანადიროდ საერთო ძალით ამოთხრიან ხოლმე ვეებერთელა ღრმა ორმოს. ორმოს კიდეებზე ავლებენ იმ სიმაღლე ღობეს, რომ ზედ პირუტყვმა გადახტომა ვერ შეიძლოს. პირუტყვებს გარეკვენ ამისთანა შემოზღუდულ ადგილისკენ და აფრთხობენ. მონადირეები უცდიან ხიშტებით და სცემენ პირუტყვებს, რომლებიც სცვივიან ორმოში და ჟლეტენ ერთმანეთს.

ყველა ეს სათემო ნადირობის საშუალებანი დიდ-ძალ საშოვარს აძლევს ადამიანს ასეთი უბრალო იარაღის შემწეობით. ჩვენ დავინახეთ, რომ ასეთ ნადირობისათვის საჭირო იყო მხოლოდ ერთი ხიშტი და ორმოს სათხრელად-კი—ბარი.

მშვილდ-ისრის გამოგონების შემდეგ, რითაც ნადირს დიდ-მანძილზე ჰკლავდნენ, ზოგიერთი იმ სანადირო საშუალებათაგანი მაგდენად გამოსადეგი აღარ იყო. ნადირის მომრევი ახლა ცოტა იყო საჭირო, რადგან საჭირო აღარ შეიქმნა, რომ პირუტყვები პირდაპირ მონადირეზე მისულიყვნენ. საკმაო იყო, რომ ნადირს მონადირესათვის სატყორცნ მანძილზე ჩაეარა; ორმოებიც თითქმის საჭირო აღარ იყო. საზოგადო ნადირობაში ზოგჯერ მონაწილეობას იღებდნენ მთელი მრავალრიცხოვანი ტომები. მაგალითად, ამერიკაში ინდიელები ნადირობენ ბიზონებზე მრავალ სხვა-და-სხვა ტომებით. ამისთანა

ნადირობისათვის ისინი ირჩევენ უფროსს ძალიან გამოცდილ მონადირეებისაგან. იგი ყველა მონაწილეს თავთავის საქმეს უჩენს, ჰყოფს მათ ჯგუფებად და ნადირობის გათავებისას ანაწილებს ნანადირევს.

ნადავლის გაყოფაში უკვე შემუშავდა გარკვეული წესი, რითაც ეს უფროსი უნდა ხელმძღვანელობდეს. არც ერთი მონაწილეთაგანი გულნაწყენი არ დარჩებოდა: ყველა თავთავის ნაწილს მიიღებდა. ამისთანა ნადავლი კერძო პირების საკუთრებას-კი არ შეადგენს, არამედ ეკუთნის მთელ ტომს. ამიტომ გაყოფის დროს ხელმძღვანელობდნენ იმით-კი არა, ვინ რამდენი პირუტყვი მოკლა, არამედ იმით, ვის როგორი ოჯახი აქვს. ვისაც დიდი ოჯახი ჰქონდა, იმას მეტს არგუნებდნენ. შემდეგ ამისა, თუ ალმოჩნდებოდა, რომ ვისმე მალე შემოელეოდა თვისი ხვედრი ხორცი, მაშინ ვისაც ბლომათ დარჩებოდა ხორცი, უნდა გაენაწილებია იმისთვის, ვისაც ადრე შემოელია. ნადავლის ასეთი განაწილება მოგვაგონებს მიწის გაყოფას რუსების გლეხებთა შორის. ისინი მიწას ინაწილებენ ისე, რომ თვითეულ სულზე ჰყოფდენ თანასწორად; ვისაც ოჯახში მეტი ჰყავს მამრობითი სქესის სული, იმას მეტს არგუნებენ.

თევზის ჭერაშიაც ასე იციან, ე. ი. საზოგადო ძალით იჭერენ ბევრნი ერთად. რადგან თევზის ჭერა ჩვეულებრივად შაშინ არის ხოლმე, როცა აუარებელი თევზი იძვრება მდინარეებში ჯგუფ-ჯგუფად, ამიტომაც მათი დაჭერაც შეერთებულის ძალით უნდა მოხდეს. იმათი დასაჭერი ხელსაწყობიც ისეთებია, რომ ერთი კაცი ვერას გახდება. კუნძულს ტანგასა და ფიდზე ავსტრალიაში თევზებს იჭერენ ვეებერთელა ბადეებით; ამისთანა ბადის სასროლად მიუცილებლათ საჭიროა შეერთებული შრომა. მისი ამოთრევა-კი თევზებიანად კიდევ უფრო გასაჭირი იყო.

სხვა ადგილებში მდინარის თევზების საჭერად ბადეებს გარდა ხმარობენ სხვა საშუალებას: მდინარის გარდიგარდმო აკეთებენ ფაცერს, მდინარის ძირში სარების ჩასობით და წნელის ჩაწვნით. ეს ფაცერი გზას უღობავს თევზებს მდინარეში და სტოვებს მათთვის მხოლოდ ერთად-ერთ გასაძრომს. ამ გასაძრომში ჩაუშვებენ ხოლმე გოდრებს; თევზი ჩადის გოდრებში და მერე ის გადმოაქვთ ნაპირზე. ამისთანა ფაცრების მოწყობას შეერთებული ძალ-ღონე უნდა, ამიტომ ამ საშუალებით დაჭერილი თევზი განაწილდებოდა ხოლმე მონაწილეთა შორის თანასწორად, თუნდაც რომ გოდორი ერთისა ყოფილიყო.

სხვა შემთხვევაში სხვა გარემოებანი ატანს მათ ძალას, რომ შეერთებულის ძალით ინადირონ თევზზე. მაგ., მსხვილ-მსხვილ მოდგმის თევზებს—ვეშაპებს, ზღვის ღორებს, ყაშალოტებს და სხვა მისთანებს მარტო ერთი კაცი ხომ ვერ მოერევა.

ვეშაპზე სანადიროდ გროვდებიან დიდრონი ამხანაგობები და ნავებით მიემგზავრებიან ზღვაზე. ვეშაპს ნავებით დასდევენ და ხიშტებს ესვრიან მათ. მოხვდება თუ არა ხიშტი ვეშაპს, იგი ჩაიყურჭუმალებს წყალში და ცოტა ხნის უკან ისევ გამოჩნდება წყლის ზედაპირზედ, რომ სული მოიბრუნოს. მაშინ იმჯს ხელახლა დაუშენენ ხიშტებს და სდევენ მანამდე, სანამ მთლად არ მოჰკლავენ. ნადავლს ჩვეულებრივად არ ანაწილებენ ყველა მონაწილეთა შორის, არამედ თითეულს მიაქვს რაც სურს და რამდენსაც მოასწრებს.

ზღვის ღორზე ნადირობაც ასე იციან, მხოლოდ მონადირეთა ამხანაგობები ნავებით აქეთ-იქით- იფანტებიან, რათა მეორედ ამოცურვის დროს ხელთ იგდონ ზღვის ღორი. ნანადირევ ზღვის ღორსაც თანასწორად ინაწილებენ ერთმანეთ შორის.

თემობით თევზის საჭერ საშუალებათა ჩამოთვლა ძალიან

ძნელია. ყველამ იცის, მაგალითად, რომ ჩვენში თევზს, გარდა ბადისა, წყლის დაწრეტით, ქვის ან ყინულ ქვეშ გამომწყვდევით და სხვა საშუალებით იჭერენ. ყველა ეს საშუალებანი შეერთებულ შრომას ითხოვენ.

ყველა ეს ძველად არსებული საშუალებანი ჩვენს დროშიაც შენახულან და არა მარტო პირველ-ყოფილ ველურ-ხალხებში, ჩვენშიაც არსებობენ დღემდე. რასაკვირველია, ისინი იქ დაცულან, საცა უფრო ხელის შემწყობი პირობები ჰქონიათ: ზღვის პირად, დიდ მდინარეებზე და ტბებზე.

მიწად-მოქმედება.

ამისთანა შეერთებულ შრომის მაგალითს ვხედავთ ჩვენ მიწად-მოქმედებაშიაც.

ზემოდ ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, რომ განათლების უდაბლეს საფეხურზე მიწის მუშაობა უფრო დედა-კაცის საქმეს შეადგენდა, მამა-კაცები-კი ამ დროს ნადირობას და თევზაობას ეწეოდნენ-თქო. მაგ., ავსტრალიაში დედა-კაცები აგროვებენ სიმინდს, ძირკვებს და სხვა ჭირნახულს წელიწადის დროს მიხედვით. აფრიკაშიაც აგრეთვე დედა-კაცები და ბავშები თესვენ და აგროვებენ სამკალს. ამერიკაში მიწის მუშაობას ქალები ასრულებენ, ასე რომ უფროსი ქალი უჩენს და ურიგებს დანარჩენებს სამუშაოებს; იგი ჩამოარიგებს ხოლმე თესლებს სათესად, ნიშნავს დროს პურის სამკალად და სხ. მთელი პურის მოსავალი ნაწილდება სწორედ ისე, როგორც ნადირობის და თევზის ჭერის ნადავლი, ყველა მონაწილეთა შორის.

როცა მიწად-მოქმედება საზრდოობის ერთ უმთავრეს წყაროდ გადიქცა, მაშინ სახნავ-სათესი მინდვრების გაფართოებას მოჰყვა ის, რომ განსაკუთრებით მნიშვნელობა მიეცა პურის დასათეს წიადაგის წინდაწინ შემუშავებას. საჭიროდ შეიქმნა-

ტყეების გაკაფვა, სადაც ნადირი ძალიან შემცირდა; ტყიანი ადგილები ახლა სახნავ-სათეს ადგილებად აქციეს და ამ ნადირად უფრო მეტი სარგებლობა გამოჰქონდათ იქიდან. ამისათვის-კი ცეცხლს ხმარობდნენ. ხეებს ჰკაფავდნენ და, როცა ხეები გახმებოდა, სწვავდნენ. ნაცარი მიწის საუცხოვო გამასუქებელი გახდა და ასეთ ადგილებზედ ნათესი ჭირნახულს ბლომად იძლეოდა. ადვილი მისახვედრია, რომ ისეთ ძნელ სამუშაოს, როგორც არის ახოს აღება და ტყის გაკაფვა, მეტადრე პირველ-ყოფილი იარაღებით, ვერ შეასრულებდა ერთი კაცი, არამედ ბევრ ხელს თხოულობდა. ასეთი მიწად-მოქმედების საშუალება ცნობილია ძველის-ძველიდანვე და გავრცელებული იყო ყველგან, საცა-კი ტყე იყო. ამასვე ვხედავთ ჩვენ დღეს აფრიკასა და ამერიკაში. ევროპაში იგი ძალიან გავრცელებული იყო; რუსეთში და ზოგან სხვა ადგილებში ახლაც არსებობს იგი. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ეხლა თავდაპირველად ტყეს კაფვენ და შეშა გამოაქვთ, მერე დანარჩენ ფიჩხებს და ძირკვებს სწვენ. ამას გარდა ეხლანდელ გლეხებს რკინის ცულებიც აქვთ, ასე რომ ამ მუშაობას ახლა ისე ბევრი ხელი აღარ სჭირდება. რადგან ახოს აღება შეერთებული ძალ-ღონით კეთდებოდა, ამისთანა შემზადებული მიწით სარგებლობა საერთო უნდა ყოფილიყო.

თავდაპირველად ეს შრომა ისევ მინდობილი იყო დედა-კაცებზე, რომლებიც თითონ ინაწილებდნენ ერთმანეთ შორის მიწის შემუშავებას. შემდეგ მიწად-მოქმედება გახდა უფრო მამა-კაცის საქმედ და დედა-კაცებს მიენდო მხოლოდ შინაური მეოჯახეობა. თუ როგორ მოხდა ეს, ამაზე ზევით ვილაპარაკეთ.

მრავალი საპურე მცენარე, როგორც, მაგ., ბრინჯი, თხოულობს კარგს მორწყვას. ამიტომაც მორწყვის ხელოვნებას მე-

ურნეობაში დიდი მნიშვნელობა მიეცა მეტადრე იქ, საცა ადგილები ნაკლებად ნესტიანი იყო და გოლვა იცოდა.

ძველის-ძველ დროშიგვე ჰქონიათ ეგვიპტელებს, ასურელებს, ბაბილონელებს, ინდოელებს, ჩინელებს და სხვა ხალხებს ამგვარი ხელოვნური სარწყავის მოწყობილობანი. მაღალ ადგილებში სთხრიდნენ გუბეებს, სადაც გროვდებოდა წვიმის წყალი; ამ გუბეებიდან გადმოდიოდა მრავალი არხები, რომელთაც მინდვრებში გაჰქონდათ წყლები გოლვის დროს, როცა მცენარეებს სინესტე ესაჭიროებოდათ.

ზოგჯერ წყალი გამოჰყავდათ მაღლობ ადგილებიდან, საიდანაც იგი დაბლა მინდვრებს რწყავდა*).

რასაკვირველია, ყველა ამნაირ მოწყობილებას სჭირდებოდა დიდ-ძალი შრომა, რაც ერთი და ორის კაცისათვის შეუძლებელი იყო. ყველა ამგვარ ნაშენობას რომ წინდაწინ განზრახული სარგებლობა მოეტანა, საჭირო იყო მუდმივი ხელის შეწყობა: არხების წმენდა ხშირად, თავთავის დროზე წყლის გაშვება და სხ. თვალ-ყური უნდა ედევნებინათ, როგორც მინდვრებისათვის, ისე წყლისათვის, რათა არავის შეეჩერებინა წყლის დენა და არ გაეშვა იგი მეზობელ მინდვრების სარწყავად, რის გამოც დაისჯებოდა სრულიად უდანაშაულო მონაწილე ამ მოწყობილების აგებისა. ერთი სიტყვით, აქ საჭირო იყო მუდმივი, შეერთებული და მკაცრად განაწილებული მუშაობა. ცოტაოდენ წესის დარღვევას მოჰყვებოდა ყველას სახნავ-სათესის დაღუპვა...

წარმოშავლობა და დანიშნულება უფროსთა.

ამიტომ იმ ადგილებში, საცა ამისთანა სარწყავი მოწყო-

*) ასეთი არხები ბევრი ყოფილა ჩვენშიაც; მაგალითად: თაშარისგრდანის არხი და კახეთის არხი. მთარგმნელი.

ბილობანი არსებობდა, ჩვენ ვპოულობთ ეგრეთვე ისეთ პირებს, რომელნიც იმათ განაგებდნენ. ასეთი პირები, გარდა სარგებლობისა, თავდებიგს აძლევდნენ ასეთ ქონებობილობის აშენებას და ეკეთებოდა იმათ გამგეს მუშაობაში მონაწილეობის აღება არ შეეძლო; ამისთვის მას არ ეცალა. მაგრამ იგი მაინც ილებდა წილს ყველა მონაწილის საზოგადო ბრუმით მოყვანილ პურისაგან. მისი შრომა მაინც განსაკუთრებულად ფასდებოდა, რადგან მხოლოდ მისი განკარგულებით მეურნეობა საჭიროდ თავდარიგი მუშაობაში, იმას ფეიერიანი ცოდნა, გამოცდილება და შრომა მოეთხოვებოდა და ამისათვის იგი დიდ გასამჯელოს ილებდა მოსავლისაგან. ეს, რასაკვირველია, უნდა ჰყოლოდა რამდენიმე ხელ-ქვეითი, რაც პირდაპირ მის მოვალეობიდან გამოდიოდა. იგი ბევრ ადამიანს ცალკე ვერ აუხსნიდა, რატომ არის საჭირო ეს ასე და ის ისე; იგი პირიქით პირდაპირ თხოულობდა ბრძანების აღსრულებას. ამიტომ მას უფლება ეძლეოდა დაესაჯა ბრალეული, ვინც ეს, არ დაემორჩილებოდა.

ეზისთანა უფროსს ამავიდანვე უნდა ამოერჩია შესაფერი კაცი, რომ გადაეცა მისთვის თავისი ცოდნა-გამოცდილება. ამ კაცს გადასცემდა იგი თავისს თანამდებობაზე, თუ რომ სიბერისა გამო მას აღსრულება აღარ შეეძლო. ეს ნელნიც ჩვეულებრივად მიიღებდა ახალ უფროსს, რადგან უკეთეს ვერ ამოირჩევდა. ან-კი, როგორ არ უნდა ნდობოდნენ იმის ნრა-ჩევანს, რომელმაც მარტო ერთად-ერთმა იცოდა თავისი საქმის ყველა წვრილმანები! ძველის დროიდანვე ასე იყო ცაყენებული საქმე, რომ ამისთანა უფროსი ჩვეულებრივად გადასცემდა თავის ცოდნას რომელსამე თავისს ვაჟი-შვილს, ანუ ნათესავს. ამიტომაც შამოკვდა ჩვეულებრივ ამისთანა თანამდებობათა გადაცემა შემკვიდრეობით.

მეფეების და მმართველების გაჩენა.

დრო-ჟამის განმავლობაში ასეთ თანამდებობათაგან გაჩნდნენ მემკვიდრეობითი მმართველები, ე. ი. მეფეები, რომელნიც აგრეთვე გადასცემდნენ თავიანთ უფლებებს მემკვიდრეობით მახლობელ ნათესავებს. რასაკვირველია, ზოგჯერ იწყებდა მოხდებოდა, რომ ასეთი მმართველის შვილი უნიჭო გამოდიოდა მისგან თვის მოვალეობათა აღსრულებაში. ამისთანა შემთხვევაში ხალხი ჩვეულებრივად თავის წრიდან ირჩევდა უფროს ნიჭიერ კაცს ან პირველს-კი გადაიყენებდა. ასე იცოდნენ, მაგ., ეგვიპტეში, სადაც ერთ მეფეთა გვარეულობას სცვლიდა მეორე.

მმართველთ მემკვიდრეობა.

შემდეგ ასეთი ჩვეულება სულ უფრო და უფრო იშვიათი იყო და მმართველები იყვნენ მემკვიდრეობითნი.

ჩვენ ასე დაწვრილებით შევჩერდით ამ მოვლენაზე იმიტომ, რომ იგი ბევრგან იყო გავრცელებული ძველად და ასეთივე ფორმა მართველობისა იპოვეს ევროპიელებმა ამერიკაში, მექსიკაში და პერუში, სადაც კულტურა შედარებით უმაღლეს ხარისხზე იდგა. ამ მხარეებში იმ დროებში ეკვე არსებობდა ხელოვნურად სარწყავი მოწყობილებანი და იქაც ასევე ზოგადოთ ისეთივე საზოგადოებრივი წესწყობილება ყოფილა, რაგორიც ძველის ქვეყნის მხარეებში, როცა ასეთივე წეს-რიგით ირწყვებოდა მინდვრები. ეს გარემოება ნათლად ეგვისურათებს ფუ, როგორ ჩნდებოდა ნელ-ნელა სუფლობა, რთული სახელმწიფოებრივ-შელიც არსებობდა მკვიდრთა არსებით მოთხოვნილებათაგან.

მაგრამ მიეუბრუნდეთ ჩვენ საზოგადოებურ საქმეებს. თუმცა თქმა არ უნდა, რომ შეუძლებელია ჩამოვთვალოთ ყოველ

ის წვრილმანი სამუშაოები, რომლებშიაც ადამიანებს სჭირდებ-
ბოდათ ერთმანეთის დახმარება.

ცეცხლის გაჩენა.

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, რომ ცეცხლის გაჩენა თხუნლობ-
და რამდენიმე კაცის შეერთებულ შრომას; ამის გაჩენაშიაც
ვხედავთ ისევ იმ ნათესავთა ჯგუფებს. თვითეულ გვარეულო-
ბას ძველად ჰქონდა თავისი კერა, რომელზედაც მუდამ ინახე-
ბოდა გაუქრობელი ცეცხლი. იქიდან მიჰქონდათ ცეცხლი
ყველა მეგვარეებს, როცა ის მათ ოჯახის საჭირო იყო.

სადგომების შენება.

მაგრამ იყო კიდევ ერთი საქმე, რომელიც მოითხოვდა
კარგა დიდ ზომის შეერთებულ შრომას,—ეს იყო სადგომების
შენება.

თქმა არ უნდა, რომ თავდაპირველად, როცა სახლ-კარ
ძალიან სადა იცოდნენ და სახელდახელოდ აკეთებდნენ, ამათ
აგებას დიდი მუშაობა არ სჭირდებოდა. მაგრამ, როცა ადამია-
ნი ერთს ადგილზედ დაბინადრდა, მაშინ სადგომების შენება
საცა მთელი გვარეულობა უნდა მოთავსებულიყო, გახდა ძა-
ლიან საპატიო და საძნელო საქმედ. პირველ-ყოფილი ხალხები
დღესაც საზოგადო ლონისძიებით შენებენ დიდრონ სადგომებს.
ზოგჯერ ამისთანა სადგომებში თავსდება შვიდასამდე სული და
ეს ხომ დიდი ჯარ ვარის პირველ-ყოფილ კაცისათვის, რომელსაც
ჯერ კიდევ არა ჰქონდა კარგი ხელსაღები.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ იმისი ნიმუში თუ, როგორ
ი შენებენ სახლებს ამერიკელი წითელ-კანიანები, რომელთაც
უკვე იციან აგურის კეთება. მამა-კაცები ჩვეულებრივად ამზა-

დებენ სახლის უმთავრეს ჩონჩხს, დედა-კაცები-კი ამზადებენ ნაცარს და თიხას სახლის გასაგლესად. დედა-კაცებივე ამზადებენ კრამიტს ფერფლისა, წყლისა და მიწისაგან. ეს ტალახი იმათ გამოჰყავთ ყალიბ-ყალიბად და მერე ახმობენ მზეზე.

ამნაირად საერთო ღონისძიებით აშენებული სახლები შეადგენენ საზოგადო კუთვნილებას, ე. ი. იმაში ცხოვრებენ ყველანი, ვისაც მისს აშენებაში მონაწილეობა მიუღია. მაშასადამე ჩვენ აქაც ვხედავთ, რომ საერთო შრომით გაკეთებული ყველას ეკუთვნის.

ავსტრალიაში ზოგან ისე იცვნენ, რომ საზოგადო ბინებს გარდა მამა-ვაცები ანუ დედა-კაცები ცალ-ცალკე იკეთებენ სახლებს. ამისთანა მამა-კაცებისაგან აშენებული სახლები დედა-კაცისათვის შეუვალია. ისინი ხდებიან ქალებისათვის და ყველა იმისათვის, ვისაც მონაწილეობა არ მიუღია იმის კეთებაში ტაბუ*) და არავის გარეშეთაგანს არ შეუძლია იმაში შესვლა.

ყველა .ამ მაგალითებიდან ცხადად სჩანს, რომ თუ მუშაობა საზოგადო არის, მაშინ ყველა მონაწილეები ისარგებლებენ იმით, რაც შეუნაძენიათ ამათი საზოგადო ღონისძიებით. მაშასადამე ჩვენ ვხედავთ, რომ საზოგადო მუშაობა მიესდევს ამ ნაშრომის ნაყოფის საზოგადო სარგებლობაც.

ტანსაცმელი-ფეხსაცმელი და თანამედროვე საკუთრებისა შორის.

ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს საერთო სარგებლობა ძალიან განირჩევა ჩვენი დროის საკუთრებისაგან. ჩვენ

*) ე. ი. აკრძალულად, ხელ-უხლებლად. ეს სიტყვა ნიშნავს, თუმ რა ნივთზედაც ტაბუ არის დადებული, ის ნივთი ხელ-უხლებელი ხდება. ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანებიც არიან ხანმე ტაბუს ქვეშ.

უკვე დავინახეთ, რომ ნაშოვარი ნაწილდებოდა ყველა მონაწილეთა შორის, მაგრამ ასეთი ნაშოვნიც არ ეკრიცხებოდა სრულ საკუთრებად. თუ ვისმე განაწილების შემდეგ გამოელეოდა ხორცი, მაშინ დანარჩენები უნაწილებდნენ მას, გამოდის, რომ ნაწილის მიმღებსაარ შეეძლო ჯერ კიდევ დარწმუნებულ ყოფილიყო, რომ ეს ნაწილი მას ეკუთვნის, სანამ ჯერ კიდევ არ შეუჭამია. ჩვენ დროშიაკი საკუთრება იმით განსხვავდება, რომ არავის შეუძლია მაზე თავისი უფლება ეაცხადოს. ამას გარდა ჩვენი დროის საკუთრება კიდევ იმით განირჩევა, რომ პატრონს შეუძლია იმის გაყიდვა, მაშინ როდესაც პირველ-ყოფილ ხალხთათვის ყიდვა-გასყიდვა სრულიად უცნობია. ისინი ვერც არავის რასმე მიჰყიდიან და ვერც არავისგან რასმე იყიდიან.

ვაჭრობის დასაწყისი.

ახლა ჩვენ უნდა განვიხილოთ, თუ რანაირად გაჩნდა სყიდვა-გასყიდვა, ე. ი. ვაჭრობა.

თავდაპირველად, როცა ხალხებს დახშული ჰქონდათ ცხოვრება და ყოველიფერს თვითონ იკეთებდნენ თავისთვის, არავითარი გაცვლა-გამოცვლა არ შეიძლებოდა. საერთოდ ძალით მოპოვებულ ნარეწს ყველა ბყოფდა და ყველა მეაყოფრლიყო მით, რაც ჰქონდათ.

ყოველი უცხო ხალხი ძველად ძლრად მიაჩნდათ და ამიტომ მათ შორის არავითარი გაცვლა-გამოცვლა არ შეიძლებოდა. შეიძლებოდა მხოლოდ მოტაცება სხვისი საქონლისა და ამისთანა ცარცვა-ბლეჯა. ძველად მართლაც რომ არსებობდა. იგი სრულიად არ მიაჩნდათ ცუდ საქმედ, პირიქით ყველანი ამაყობდნენ კიდეც, ვინ რა მოიტაცა, ასე ცარცვავდა ერთმანეთს. უწინდელი ხალხი და ის, ვინც ცარცვა-ბლეჯით იშოვიდა

ცხოვრებელს, ნიადაგ შიშში იყო, რომ მასაც თავს დაეხსომდენენ მეზობელი ხალხები და წაართმევდენენ რაც მოეწონებოდათ.

ასეთი დამოკიდებულება ხალხთა შორის დრო-ჟამის განმავლობაში კლებულობს და ნელ-ნელა უფრო მშვიდობიან დამოკიდებულებად იცვლება. ხალხები იწყებენ ერთმანეთში თავიანთ ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლას. ერთი ხალხი აძლევს მეორეს იმას, რითაც ეგი უფრო მდიდარია და რასაც თვითონ არ საჭიროებს და იღებს სამაგიოროდ მეორისაგან იმას, რაც იმას არა აქვს.

ჩვენ ზევით უკვე დავინახეთ, რომ ერთი ხალხი მომეტებულად საქონლის მოშენებას მისდევს, მეორე მიწის მუშაობას, ნადირობას, მეთევზეობას და სხ., ადგილის პირობათა მიხედვით. მეტადრე გავრცელებული იყო ძველად პირუტყვთა მოშენება. ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ ეს მწყემსი ხალხები პირველნი იწყობენ მეზობლებთან თავიანთი საქონლის გაცვლა-გამოცვლას.

ფულის შემოღება.

ბადგანმუდამ საჭირო წყობ, რომ ერთი ხალხს გაეცვალა თავისი პირუტყვები სხვა ხალხის ნაწარმოებზე. ამიტომ, იმათ ძალიან მალე დაიწყეს ნაყიდი საქონლის დაფასება სამაგიეროდ მიცემულ პირუტყვებთან შედარებით. პირუტყვიამნაიღად გადაიქცა ფულად. შრავალ ხალხებში ფულს და პირუტყვს ერთ და იმავე სახელს ეძახიან, როგორც მაგ., ხვადაგი, ანუ ხვასტაგი ფულსაც ჰქვიან და პირუტყვსაც. ამბობენ, მაგ., რომ ესა და ეს ნივთი ღირს ოც ხარად. ან ამ მისთანები. „ცარცვა-გლეჯა ჯერ-კიდევ არსებობდა, მაგრამ უფრო მშვიდობიანური დამოკიდულებაც გზას იკაფავდა.

რადგან ყველა ხმლხისათვის მოხერხებულად იყო მოვპოებია საჭირო ნივთები პირდაპირი გაცვლა-გამოცვლით სხვა ხალხებთან, იმიტომ-ძრომ მაშინ იმას ზოგი ნივთი ერთი ხალხისათვის უნდა გამოერთმია, ზოგი მეორისათვის, ზოგი მესამისათვის და სხ., რაც ძალიან ძნელად იყო ყველასათვის; ამისათვის გაჩნდნენ ქვეყანაზე ვაჭრები. ამათი საქმე მხოლოდ ეს იყო, რომ გადაჰქონდათ ერთი ხალხის საქონელი მეორესთან, იქ იმათ სცვლიდნენ სხვა საქონელზე და ხელ-ახლა მიდიოდნენ მეორესთან ანუ ჰიდევ პირველთან.

ეს ვაჭრები მთელს თავისს სიცოცხლეს მგზავრობაში ატარებდნენ და გადადიოდნენ ერთი ხალხიდან მეორესთან; ისინი ყველგან უცხოელებად ითვლებოდნენ; მაგრამ იმათ ყველგან სიამოვნებით ეგებებოდნენ, რადგან ყველგან საჭირო იყო ესა თუ ის საქონელი. ამისათვის ჩვეულებრივად მათ ყველგან კარგად უმასპინძლდებოდნენ და იცავდნენ მათ მცარცველებისაგან. ამ ნაირად ვაჭრებს ძველად სტუმრებს ეძახდნენ. მათთვის ძველი დროიდანვე დარჩენილი სასტუმრო სახლები და ქარვასლები დღესაც მოგვაგონებენ ამ ჩვეულებას.

უფასლობა, როგორც აუცილებელი პირობა გაცვლის განვითარებისა.

თავდაპირველად, როცა-კი გაიბა ხალხთა შორის ასეთი მიმოსვლა, ძალიან საჭირო შეიქმნა, რომ უცხო ხალხში ჩავარდნილ კაცისათვის მფარველობა გაეწიათ. მთელი ხალხი ამისთანა მფარველობას ჯერ არ გაუწევდა; ამიტომ საჭირო იყო ეერთ ადგილებისადმი მიმართვა; ეერძო პირებს მოუგებია ჰქონდათ და ეფარა თ და მიეცათ ერთმანეთისათვის თავშესაფარი, როცა ერთი მივიდოდა მეორის მხარეში. ისინი ერთი ერთმანეთისათვის სტუმრები იყვნენ, ან, როგორც ჩვენში იტ-

ყვიან — ყონაღბა, მეგობრები. თვით უძველეს წარწერათა ნაშთებში ვპოულობთ ამისთანა დადგენილების კვალს და ამავე მოვლენას ვპოულობთ დღეს ველურ ხალხების ცხოვრებაშიაც. მხოლოდ ველურ ხალხებში ეს ყონაღობა ძალიან სუსტად არის დაცული. სტუმარს პატივს სცემენ მხოლოდ მანამდე, სანამ მათ სახლშია, გაადგამს თუ არა ფეხს, იმათ ისე აღარ ეხათრებიან, როგორც ყოველ სხვა კაცს. შეიძლება ისიც ისე ვაკაცარცონ, როგორც სხვა.

ვაჭრები მხოლოდ მაშინ გაჩნდნენ, როცა ყონაღობა საიმედოდ გადაიქცა. მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა დაიმედებულიყო ვაჭარი, როცა იცოდა, რომ საქონელს დრავინ მოსტაცებდა. უამისოდ-კი რისთვის იდავიდარაბებდა, შუა-კი საქონელი უსარგებლოდ დაეკარგებოდა. მას, უამისოდ, ხშირად ეკარგებოდა საქონელი გზაში, რადგან გზაში კარცვა-გლეჯა ჯერ კიდევ არ მოშლილიყო; ვაჭრები-კ შეადგენდნენ ყაჩაღებისათვის გემრიელ ლუკმას.

ზღვაზე ვაჭრობა და ცარცვა-გლეჯა

ჩვენ ზევით უკვე დავინახეთ, რომ ძველად ვაჭრობას ემეტესად ზღვებზე ეწეოდნენ. ხმელეთზე გზები ძალიან უვარგისი იყო და ამიტომ წყალი უფრო აადვილებდა მისვლა-მოსვლას.

ახლა ქვეყანაზე გაჩნდნენ მრავალი ხალხები, რომელნიც მისდევდნენ მხოლოდ ზღვაზე ვაჭრობას. ასეთი ვაჭარი ხალხი იყო, მაგ., ძველად ფინიკიელები. ისინი ცხოვრებდნენ ამისთანა ადგილებში, საცა არც პირუტყვის მოშენება შეიძლებოდა და არც მიწის მუშაობა. ამიტომ ისინი ძველი დროიდანვე დახეტიალობენდნენ მეზღვაურობაში და ძალიანაც გამდიდრდნენ

ამ ვაჭრობით. მაგრამ ზღვაზე ვაჭრობის განუთავრებას მოჰყვა ცარცვა-გლეჯაც, მეკობრობა, რაც კარგად ცნობილი იყო ძველად.

ვაჭრობა ეხლა საშიშრად გადიქცა და ვაჭრებს სასტიკი ბრძოლა მოსდიოდათ ავაზაკებთან, ან არა და, უნდა გაჰქცეოდნენ მათ კიდისაკენ. ძველად ხშირად ჰყავდათ შიმ ქვეშ ზღვის მცარცვავ-მგლეჯელებს არა მარტო ვაჭრები, რამედ ზღვის ნაპირას მცხოვრები ხალხებიც-ეი.

ძვირფასი ლითონის ფულების საჭიროება.

როცა ზღვაზე ვაჭრობა და საზოგადოდ საერთაშორისო მიმოსვლის საქმე მეტად განვითარდა, მოუხერხებელი შეიქმნა საქონლის პირდაპირ ერთმანეთზე გაცვლა-გამოცვლა; კიდევ უფრო მოუხერხებელი შეიქმნა საქონლის გადაცვლა პირუტყვებზე, რომლებიც წინედ ფულის მაგიერობას ასრულებდნენ. უნდა გამოენახა ისეთი საქონელი, რომელიც ყველგან საჭირო და მასთან ადვილი გადასატანი-გადმოსატანი ყოფილიყო.

ამისთვნა საქონელი მალე გამოძებნეს,— ეს იყო ძვირფასი ლითონები, ოქრო და ვერცხლი. ოქრო-ვერცხლს ყველგან სიხარულით იღებენ და მათი გადატანაც ადვილია. გარდა ამისა ეს საქონელი სრულიად არ ხდება.

მალე ისწავლეს ადვილად გაზომვა ყველა სხვა საქონლის ფასისა ოქრო და ვერცხლის წონასთან შეფარდებით. მერე დაიწყეს ოქროსა და ვერცხლის ფულის ანსაზღრულის წონით ჭრა. ასე ამხანაგად შემოიღეს ფულიც, რომელიც ახლაც მოდებულია მთელი დედამიწის ზურგზე.

მგელის გაგრეკილობის დარღვევა ძალებში და წვრილ-წვრილი ლაპარაკების გაჩენა.

როცა ზღვაზე მარის ხელოვნის გაცვლა-გამოცვლამ იმა-

ტა, მაშინ ამ საქმემაც იწყო გაფრცელება ცალ-ცალკე ხალხთა შორისაც. ერთი ადგილის მცხოვრებნი მეორეს უცვლიდნენ თავისს ნაწარმოებს და ამნაირად გაჩაღდა შინაგანი ვაჭრობა.

შრომის განაწილება.

ახლა ამ გვარეულობათ დაიწყეს გაცვლა-გამოცვლა თავიანთ ნაწარმოებისა. ერთი უფრო ერთ საქმეს მისდევდა, მეორე—მეორეს. ერთსაც და მეორესაც მეტი ჰქონდა თავიანთი ნაწარმოები, რაც სხვებისათვის გამოსადეგი იყო და აი იმათ შორის ჩნდება ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლა. შემდეგ, როცა გვარეულობამ იკლო, იმათ მაინც განაგრძეს წინანდებურად გაცვლა-გამოცვლა თავიანთ ნაწარმოებისა.

რაც უფრო და უფრო მატულობდა ასეთი შრომის განაწილება, მით უფრო მომეტებულ ნაწარმოებს იძენდა ადამიანი, რადგან ახლა თვითეულს აღარ სჭირდებოდა ყველა საჭირო ნივთების კეთება; ეს ნივთები იმას შეეძლო უფრო იაფად სხვისგან ეშოვნა. თვითეულს შეეძლო ახლა დამყარებოდა იმ საქმეს, რაც მან უკეთ იცოდა და რაშიაც მას გარემოება ხელს უწყობდა. ამ რიგად თვითეულს უჩნდებოდა თავისი კერძო მეურნეობა. ამასთან ერთ-ერთი დიდრონი გვარეულობანიც ნაწილდებოდნენ წვრილ-წვრილ ოჯახებად, ოომელნიც ახლა ერთი მეორისაგან სრულიად დამოუკიდებულნი შეიქმნენ. სწორედ ამაკე ბნით წარმოსდგა დარღვევა იმ ძველ გვარეულობათა, ოომლებზედაც ჩვენ ზევით ვილაპარაკეთ. ამაკე მიზეზებისა გამო გაჩნდა ზევით აღწერილი ცვლილება ქორწინების საქმეშიაც.

მეფობა, როგორც მიზეზი ძველ ქვეყნებში მეცადინეობის და ხელოვნების განვითარებისა.

შრომის განაწილებამ განავითარა ძველ ქვეყნებში, რომ-

ში და საბერძნეთში, მონობა. ადამიანი შრომა ახლა უფრო ბევრს აწარმოებდა, ამისათვის მონების მუშაობა ძალიან ხელსაყრელი შეიქნა. თითოეულ თავისუფალ კაცს შეეძლო გაუჭირვებლად ეცხოვრა, თვითონ ხელიც რომ არ გაეძრია, თუ კი მას მონა ჰყავდა. უკეთესი მონები აკეთებდნენ, ბატონი-ები გართული იყო ან სამხედრო საქმეში, რომელიც მას აძლევდა უხვს დავლას და ან თავისუფალ დროს ანდომებდა მეცნიერებას, მწერლობას, ან კიდევ განცხრომაში ატარებდა დროს.

მხოლოდ მონობას შეეძლო ხელი შეეწყო ძველ ქვეყნებში მეცნიერების, ხელოვნების და მწერლობის განვითარებისათვის და კიდევაც ამან აიყვანა ისინი უმაღლეს ხარისხამდე.

ჩვენ ზევით ვთქვით, რომ პირველად ერსებრზდა ერთა-შორისო ვაჭრობა, შემდეგ-კი შემოიღეს შინაგანი ვაჭრობა იმავე ხალხთა შორის. მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ ისეთ თითქო ჯერ ძალიან უნდა განვითარებულიყო გარეშე ვაჭრობა, მერე-კი მეს შინაგანი ვაჭრობა მოჰყოლოდეს. ერთიც და მეორეც ჩვეულებრივად ერთად ვითარდებიან. მაგრამ შინაგან-ვაჭრობისათვის ძველად ის დაბრკოლება იყო, რომ ხალხები ცხოვრებდნენ დიდრონ ჯგუფებად ყველაფერი ომი, გვერდულობისა და ზოგჯერ მთელის ტომების შიერ შეძენილიც შადგენდა საყოველთაო საკუთრებას. ამიტომაც ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლა ამისთანა დიდის ჯგუფებს წევრთა შორის შეუძლებელი იყო.

ამისთანა-ურიობებში გაცვლა-გამოცვლა შესაძლებელია მხოლოდ ცალკე დიდრონ ჯგუფებს შორის, რადგან, ძველად ცხოვრება ისე შრავალ-ფეროვანი არ იყო, როგორც ახლაა, და ხალხი დიდ სივრცეზედ თითქმისა ერთნაირად ცხოვრებდა. ამიტომ ცხადია, რომ გაცვლა-გამოცვლა შეიძლებოდა დაწყებულიყო მხოლოდ იმ ხალხთა შორის, რომელნიც სხვა-და-სხვა

ფვარ ცხოვრებას მიწდევდნენ. ამისთანა ხალხები-კი ერთმანეთზე დაშორებულნი იყვნენ, რადგან მხოლოდ ცხოვრების სხვა-და-სხვა პირობათა მკაცრი განსხვავება ასხვადასხვავებდა მაშინ პირველ-ყოფილი ადამიანის ცხოვრებას. აი ამ ერთმანეთისაგან განშორებულ ხალხებიდან დაიწყო გაცვლა-გამოცვლა, ვაჭრობა.

შემდეგ, რაც უფრო და უფრო სხვაფერდებოდა ადამიანის ცხოვრება, რაც უფრო და უფრო გაუბატონდა იგი ბუნებას, მით უფრო განვითარდა ვაჭრობა და შრომის განაწილება. მას გადაჰქონდა ერთი ადგილის ნარეწი მეორეში და ასე ამნაირათ თვითეული დასაქმებული ერთი რითიმე, იღებდა თავის საქონლის მაგიერ იმას, რაც მას ესაჭიროებოდა. დღესაც ხომ ასე ხდება. შინაგანი და გარეგანი ვაჭრობა სულ უფრო და უფრო ვითარდება. ვეებერთელა ზღვის გემებს მიაქვ-მოაქვთ საქონელი მთელი ქვეყნის გულზე და რკინის გზებსაც გადაქვთ ისინი ერთი მხრიდან მეორეში.

ადამიანი სულ უფრო და უფრო იგონებს სხვა-და-სხვა საშუალებებს ცხოვრების გასაუმჯობესებლად და ამნაირად ეს ცხოვრება სულ თან-დათან ფერად-ფერადდება. ყოველიფე ეს კიდევ უფრო ავითარებს ვაჭრობას. შგრამ ყოველიფე ამის გარჩევა ჩვენ ძალიან შორს წაგვიყვანს და ეს არც ჩვენს მიზანს შეადგენს.

როგორ ვითარდება ადამიანთა საზოგადოებაში შრომის განაწილება, როგორ მატულობს ამასთანავე ნაწარმოებთა სხვა-დასხვაობა და მათი რაოდენობა, როგორ წარმოებს მათი გაცვლა-გამოცვლა ფულის საშუალებით — ყოველს ამას განიხილავს ცალკე მეცნიერება, რომელსაც **საპოლიტიკო ეკონომია** წოდება. ჩვენთვის-კი ჯერ საჭიროა მხოლოდ-ის თუ რა გზით მიაღწიეს ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლას და როგორ გამოიგონეს მასთან ერთად ფული.

ადამიანის ენა.

აქამდე ჩვენ ერთი სიტყვაც არ გვითქვამს იმის შესახებ, რომ პირველ-ყოფილმა კაცმა იცოდა ოგრეთვე ლაპარაკი. მას აქვს ოგრეთვე ენა, რომლითაც ოგრ თავისს აზრებს უზიარებს თავისს თანამოძმეებს.

ენა არის ადამიანის ერთი უდიდესი აღმოჩენათაგანი, რომელიც უხსოვარ, ძველის ძველ დროში მომხდარა. არ არის ქვეყანაზე არც ერთი ხალხი, რომელმაც არ იცოდეს ლაპარაკი. მაგრამ ჩვენ მაინც მხოლოდ ვარაუდიდამ შეგვიძლია ვსთქვათ, თუ როგორ მიაღწია ადამიანმა ამ აღმოჩენას.

ადამიანის ენის შეშქმნელნი ბიბლიაში.

ენის გაჩენის საკითხი აინტერესებდა ადამიანს თვით უძველეს დროში და ვერავინ-კი ახსნა, თუ როგორ დაიწყო ადამიანმა ლაპარაკი. ზოგნი იმას ამბობენ, რომ კაცი ბუნებითად ლაპარაკობს. მაგრამ ეს თუ ასე იყოს, მაშ რატომ ლაპარაკობენ სხვა-და-სხვა ენებზე? თუ ბუნება ერთია, ენაც უნდა ერთი ყოფილიყო. სხვები-კი, პირ-იქით, ენების სხვა-და-სხვაობის ასახსნელად ამბობენ, ეგრეთ-ოდ ადამიანები შეთანხმებულიყვნენ დაერქმიათ ერთი ნივთისათვის ეს სახელი და მეორისათვის სხვა. მაგრამ ასეთი განმარტებაც ნაძალადევია. როგორ შეეძლოთ იმათ ერთმანეთთან ლაპარაკობის შეკერა, თუ-კი ჯერ ლაპარაკი არ იცოდნენ?

ერთმა ძველის ებრაელის მეფეს ჰოინდრამ თურმე ფარაონ-ოდ ილეგენ გადაწყვეტა ეს ძნელად ასახსნელი საკითხი. ამისათვის მან ბრძანა ალეზარდათ ერთი ბავშვი ისე, რომ მას ლაპარაკი არავისგან გაეგონა. რა ენაზე უნდა ელაპარაკნა ამ ბავშვს როცა გაიზრდებოდა? ბავშვი გაიზარდა, მაგრამ ერთი

სიტყვაც ვერ წარმოათქმევინეს და ეს საქმე ისევ გამოურკვეველი დარჩა.

ამ საქმის გადასაწყვეტად ჩვენ უნდა განვიხილოთ ის, თუ როგორ ლაპარაკობს ახლა ადამიანი.

თითქმის ყოველ პირუტყვს შეუძლია რაიმე ბგერა გამოსცეს სრულიად თავის ნებით. ფრინველების გალობა და ჭიკ-ჭიკი, ძაღლის ყეფა, ძროხის ბღავილი, ცხენის ჭიხვინი,— ყველა ესენი ბგერანი არიან, რომელთაც გაიღებენ ხოლმე ეს პირუტყვები ამა თუ იმ მიზეზისა გამო. ჩვენ უკვე მივეჩვიეთ გავარჩიოთ ის მიზეზები, რომელნიც გამოაღებინებენ პირუტყვს გარემოებათ მიხედვით სხვა-და-სხვა ბგერებს. ჩვენ ვარჩევთ ძაღლის მხიარულ ყეფას მის შეშინებულ ყმუილისაგან, როცა ის უცხო კაცს ჰყეფს. გამოცდილი მონადირეები ყეფაზე არჩევენ, მეძებარმა კურდღელი წამოაგდო, მელა თუ მგელი. აი ეს ბგერანი, რომელნიც სხვა-და-სხვა მიზეზებისაგან არიან წარმომდგარნი და იღებენ სხვა-და-სხვა მნიშვნელობას. მაგრამ იმათ ბგერიდან ჯერ კიდევ დიდი მანძილია ადამიანის ენამდე.

ადამიანის სიტყვის დანაწეგრები.

ადამიანის მეტყველება განირჩევა პირუტყვის ბგერისაგან უმთავრესად იმიდ, რომ ადამიანს შეუძლია თვისი სამეტყველო ორგანოების შემწეობით წარმოთქვას მრავალ-გვარი ბგერანი და ამავე დროს შეუძლია მათი ერთად შეერთება მთელ ბგერათა ჯგუფებად, რომელთაც ჩვენ ვეძახით სიტყვებს. ეს თვისება ადამიანის მეტყველებაში აწოდება ბგერათა მიმბაძველობად. ეს ბგერათა მიმბაძველობა პირდაპირს დამოკიდებულებაშია ადამიანის სამეტყველო ორგანოთა აგებულებასთან.

აი სწორედ ეს ორგანოთა ხეზგეური აგებულება შეადგენს

ადამიანის ენის განვითარების უპირველეს და მიუცილებელ პირობას. უმისოდ, რა თქმა უნდა შეუძლებელია ადამიანის ენა.

მაგრამ ზოგიერთ პირუტყვებსაც აქვთ ენის ბგერათა ასეთი დანაწილება. მოლაპარაკე ფრინველებს შეუძლიათ გაიმეორონ დაახლოვებულის სისწორით ადამიანის სიტყვები. მაგრამ იმათ ადამიანისებური ენა არა აქვთ, და როგორც სხვა პირუტყვები, მხოლოდ ბგერათა მიმბაძველობით გაიძახიან. მაშასადამე, მარტო ბგერათა მიმბაძველობა საკმარისი არ არის ენის გასაჩენად; იგი შეადგენს აუცილებელს, მაგრამ არა საკმარის პირობას ენის შექმნაში.

საზოგადოებური ცხოვრება.

ენის გაჩენის საქმე რომ გავიგოთ, ჩვენ ისევ პირველყოფილი ადამიანის არსებობის პირობანი უნდა გავიხსენოთ. ჩვენ ვიცით, რომ თავისის არსებობის თვით უმდაბლეს ხარისხზე მყოფობის დროს ადამიანი მივიდა იმ აზრამდე, რომ საერთო ძალ-ღონით საზრდოს უკედ მოიპოვებს და თავსაც უკედ დაიფარავს აღურაცხელის მტრებისაგან. აი მხოლოდ ამ საზოგადოებურ ცხოვრებაში შეეძლო ადამიანს ენის გაჩენა და გაუვითარება. ამიტომ ადვილად გასაგებია შეცდომა იმ მეფისა, რომელსაც უნდოდა, რომ ბავშვს ლაპარაკი ესწავლა და ამავე დროს მოაშორა იგი ადამიანთა საზოგადოებას, რაც აგრეთვე აუცილებელი პირობაა ენის გაჩენის და განვითარების საქმეში.

თანდასთანა გამგათარება ადამიანის ენისა ეგირიდან დაწყებული.

თუმცა ადამიანს ჰქონდა ბგერათა მიმბაძველობითი მეტყველობისათვის მოწყობილი ორგანოები, მაგრამ მას მაინც

ერთბაშად არ შეეძლო შეექმნა ისეთი ენა, როგორც ეხლა აქვს. თავდაპირველად იგი სხვა პირუტყვებივით ხმარობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ბგერებს. ყვირილი სიხარულისა, ტკივილისა, შიშისა და სხვა პირდაპირ შთაბეჭდილებათა, რომელთაც სრულიად უნებურად წამოიძახებს ხოლმე ადამიანი, ატყობინებენ სხვას იმას, რომ მათი თანამოძმე ჩავარდა ერთს ამისთანა მდგომარეობაში, ცხოვრების პირობები სხვა პირობებს აძლევდნენ შეძლებას თითქმის შეუცდომლად გაეგოთ ის, თუ რამ გამოიწვია ადამიანში ისეთი ამოძახილი. სწორედ ისე, როგორც მონადირე ყეფაზე ატყობს, რას ერეკებიან ძაღლები, ადამიანიც ასევე ადვილად ატყობს თვისი თანამოძმის ყვირილზე, წაწყდა თუ არა იგი რაიმე ნადირს, ან იპოვა რაიმე გემრიელი საჭმელი? ადამიანმა, რა თქმა უნდა იცოდა, რომ სხვები გაიგონებდნენ და გაიგებდნენ მის ყვირილს; ამიტომაც დაიწყო ამა თუ იმ ხმით ძახილი, რომ შეატყობინოს თავისს მეზობლებს რამე ამბავი.

სწორედ ამ გზით ეძებენ ერთნაირ ხმებს განსაზღვრული მნიშვნელობა. ხმების მნიშვნელობა ჩვეულებრივად გარშემო მყოფ [illegible] ადგომარეობს.

ასევე ხდება ენაც, როცა რომელიმე სიტყვა იღებს ანაკლი მნიშვნელობას, კაცები სრულიადაც არ აძლევენ ერთმანეთს პირობათ იმისა შესახებ, თუ როგორ უნდა ესმოდეთ ესა თუ ის ხმები. თვით გარემოება აგებინებს მათ სწორედ რომ მნიშვნელობით ხმარობს სიტყვა, რა მნიშვნელობითაც იგი ხმარობა. ამავე პროცესის ხშირად განმეორების მეოხებით სიტყვას უმკვიდრდება ის მნიშვნელობა, რომელიც უნდა მიეცეს მისთვის პირველად მის მხმარებელს.

ამასვე ვამჩნევთ ჩვენ ახლად ენა ადგმულ ბავშვებს. ისინი იწყებენ მშობლების სიტყვის გაგებას ხმოლოდ თანდათან. ეს გაგება კიდევ იმისაგან წარმოსდგება, რომ ლაპარაკის დროს

ბავშვის გულისყურს იზიდავს განსაზღვრული საგნები და ის ატყობს, რომ საუბარი იმათზეა. ამის გამო ბავშვებს ხშირად შეცდომები მოსდით. რადგან მათ გარშემო მრავალი საგნებია, იმათ ყოველთვის სისწორით არ ესმითდედ-მამის სიტყვა-პასუხი და აქედან წარმოსდგა მათი შეცდომები, რომელნიც რამდენიმე ხნის შემდეგ ნელ-ნელა ირკვევა და, მერე სულ ისპობა. თვითეული ჩვენგანი მოიგონებს, რომ ზოგიერთი სიტყვები მას ისე არ ესმოდა, როგორც ეხლა ესმის.

მაგრამ არა მარტო ბავშვები სწავლობენ მშობლებისაგან ენას; ხშირად თვით მშობლები სწავლობენ თავიანთ ბავშვების ენას, ე. ი. ხმარობენ იმ სიტყვებს, რომელნიც მოიგონეს ბავშვებმა ზოგიერთ საგნების აღსანიშნავად. ამისთანა საბავშვო სიტყვები ზოგჯერ გავრცელებულია მთელ დედამიწის ზურგზე. ეს-კი ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ ყველგან არსებობდა და არსებობს სრულიად ერთნაირი პირობანი შესაქმნელად იმ სიტყვებისა, რომელთაც მოსდევს სრულიად ერთნაირი შედეგები.

ბავშვები სწავლობენ სიტყვების წარმოთქმას ჩვეულებრივად ბაგეებით და ამიტომ მარცვლები, „ბა,ბა“ ამ თითქმის ყოველთვისა და ყოველგან პირველი სიტყვებია ყოველი ბავშვისა. მნიშვნელობა, როგორიც ამ სიტყვებს ეძლევა, ბუნებრივად წარმოშობილია მისი არსებობის, პირობებისაგან. ამიტომაც ბავშვი ამ სიტყვებით მოუწოდებს მშობლებს, რომლებიც ყველაზე უფრო ახლოს დგანან მასზე. სიტყვებს „ბაბა“ და „მამა“ ყოველთვის დედ-მამას ეკუთვნის, თუმცა „ბაბა“ ყველა ენაში არ ნიშნავს მამას და „მამა“—დედას *).

*) ზოგიერთ ხალხებში ეს სიტყვები უკუმოქცევ, იხმარება, მაგალითად, „მამა“ მარტო ქართულ ენაში ნიშნავს მამას, ხოლო სხვებში-კი—დედას.

როცა ადამიანებმა ამნაირად დაინახეს, რომ მათგან წარმოთქმული ხმები სხვებისათვის გასაგები შეიქმნა, იმათ უნებურად აღეძრათ სურვილი ერთნაირ გარემოებებში განზრახ წარმოეთქვათ ესა თუ ის ხმები, რომ ამით გამოეწვიათ ესა თუ ის ზრახ სხვა ადამიანებში.

ადამიანები რომ ამისთანა თანაზიარობის საჭიროებას ჰგრძნობდნენ, ადვილად გასაგებია იმითი, რომ მუდამ საერთო შრომის დროს ხშირად ერთს უნდა შეეტყობინებინა მეორისათვის რა მდგომარეობაში იყო მისი სამუშაო. თუ რომ, მაგალითად, კაცების მთელი ბრბო წავიდოდა სანადიროდ, ან რაიმე ნაყოფების შესაგროვებლად, ვინც პირველი წააწყდებოდა ან ნადირის კვალს, ან დაინახავდა ბლომად ხეხილს, მას მაშინვე უნდა შეეტყობინებინა ამხანაგებისათვის, რათა ისინი მიჰშველებოდნენ. ამისთანა შემთხვევებში ენა ხომ უსაჭიროესი საშუალება იქნებოდა?

რასაკვირველია, პირველ-დაწყებითი ენის ნაკლულევანებისა გამო კაცს თუ დასჭირდებოდა ნანახის გადაცემა ამხანაგებისათვის, მას არ შეეძლო ეხმარა ბევრი სიტყვა და ამიტომ ავსებდა მას სხეულის მოძრაობით, მუნჯურად, რაც უჩვენებდა სხვებს, თუ როგორ უნდა გაეგოთ მისი ასეთი ლაპარაკი.

რაც უფრო მომეტებულად სარგებლობდა ადამიანი სიტყვებით, მით უფრო იგონებდა ახალ ხმებს საგნების აღსანიშნავად. მრავალი საგნები თითონ აძლევდა ადამიანს მიზეზს ამა თუ იმ სახელწოდებისათვის, რადგან თითონ გამოსცემდა ბგერას. ასე, მაგალითად. მრავალ პირუტყვს დაარქვეს სახელი იმ ბგერათა მიხედვით, რომელთაც ისინი გაიღებდნენ ხოლმე. გუგული, ბუზი, ფრინველი პირდაპირ უჩვენებენ იმისთანა სულდგმულებზე, რომელნიც გამოიძახიან გუგუ, ბზუ, ფრრრ (გაფრენის დროს). ამისთანა ხმაბაძვითი სიტყვები ყველა ენებში ბევრია. სიტყვები კაკანი, კნავილი, წრიპინი, ყიყინი,

ჩქრიალი, ბზუილი, დუღილი, ღმუილი, ბღუილი და მრავალი სხვანი გაჩენილან სწორედ ამ გზით.

როცა ადამიანმა უკვე რამდენიმე სიტყვა გაიჩინა, შემდეგ დაუწყო მათ შეერთება და ამნაირად გამარტა საუბარი. სიტყვების ამნაირი შეერთება თუ აღმოჩნდებოდა მოგვარებული და სასარგებლონი, რჩებოდნენ და ფეხს იკიდებდნენ ენაში ახალი აზრების გამოსათქმელად, ახალი საგნების აღსანიშნავად.

ზოგჯერ ადამიანი სიტყვას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა იმით, რომ წარმოსთქვამდა მას სხვა კილოთი, ან გალობით. ასე, მაგ., ჩვენში იციან, როცა უნდათ გამოხატონ, რომ რაიმე ნივთი ძალიან შორს არის, ზედიზედ იტყვიან სიტყვას «შორს» და ამასთან პირველ სიტყვას გალობით ამბობენ, აგრეთვე პირველ ბგერას: შოოოორს, ძალიან შორს.

არც გასაკვირია, რომ ენა ასე ნელ-ნელა ვითარდებოდა. რაც უფრო და უფრო ვითარდებოდა საზოგადოებური ცხოვრება, მით უფრო ვითარდებოდა ენაც. ეგი უნდა ყოფილიყო აღმნიშვნელნი თვისებანი იმ აუარებელი ავეჯეულობისა, სხვადასხვა იარაღებისა, საჭმელებისა და სხვა საგნებისა, რომლებთანაც ადამიანს მუდამ საქმე ჰქონდა, რაც უფრო სხვა-დასხვაფერდებოდა ეს მოწყობილობა, მით უფრო ძდიერდებოდა ენაც.

სიტყვა, როგორც საფუძველი ადამიანის განვითარებისა.

ადამიანს ჯერ-ჯერობით საშუალება ისარგებლოს ენით თავისი აზრების გამოსათქმელად. მაგრამ მეორის მხრივ თითონ ენაც გახდა აზროვნების იარაღად. ეგი აძლევდა ადამიანს ღონისძიებას გამოეხატა თავისი აზრები სიტყვაში. თითონ ეს აზრის გამოთქმა, რაკი მას აძლევდა შესაძლებელ სიცოცხლეს,

ხლიდა მას ადვილ გასაგებად იმისთვის, ვინც ის გამოთქვა. გრძნობდა რა ამისთანა მტკიცე ნიადაგს თავისს ქვეშ, ადამიანის ჭკუა ითბოდა, მაღლდებოდა და ვითარდებოდა. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ უნოთ ადამიანი კერ მიაღწევდა იმ მდგომარეობამდე, რომელსაც მან ენის მეოხებით მიაღწია.

ენის შემწეობით ძველი თაობა ასწავლიდა ახალს თაობას ყოველ ჩამას, რაც თითონ ისწავლა წინაპრებისაგან და ამით უადვილებდა ადამიანს მუშაობას თავისი ცხოვრების პირობათა გასაუმჯობესებლად.

ადამიანის ენის სხვა-და-სხვაობა.

ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ენის განვითარებაში ხალხთა არსებობის საზოგადო პირობებს. ეხლა ჩვენთვის სრულიად გასაკვირი ჯრ იქმნება ის გარემოება, რომ ადამიანები ლაპარაკობენ სხვა-და-სხვა ენაზე. ეს პირ-იქით მიუკილებელიც იყო. თუნდაც თავდაპირველად ხალხს ელაპარაკნა ერთ ენაზე, მაინც დროთა განმავლობაში, რაკი იგი გაფანტებრდა დედამიწაზე, მისი ენაც მიუკილებლად შეიცვლებრდა. პირველ-დასწყებითი ენა ქრება და მის მაგიერ ჩნდება მრავალი ადგილობრივი „ლაპარაკი“ და კილოკავები. ერთი ენა რჩება მხოლოდ იმ ადამიანებისათვის, რომელთაც მუდამ აქვთ ერთმანეთში მიმოსვლა და თანაზიარობა. ეს წრე-კი არასოდეს ჯრ შეეძლება მეტად დიდი იყოს.

ჩვენ ალარ გავარჩევთ იმას, თუ როგორ ვითარდებიან ენები. ეს ჩვენ ძალიანაც შორს წაგვიყვანდა. ენები ისე ბევრია და ისეც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ მათი შესწავლა და განვითარება აღებული აქვს ცალკე მეცნიერებას, რომელსაც ენათ-მეცნიერება ანუ ლინგვისტიკა ეწოდება. ჩვენთვის საჭირო მხოლოდ ენის წარმომავლობა ვიცოდეთ.

როგორ ისწავლა ადამიანმა თვლა.

ახლა ჩვენ უნდა განვიხილოთ, თუ როგორ ვითარდება ადამიანებში თვლა. ჩვენ, დიდრონ რიცხვებით თვლას მიჩვეულთათვის, ძნელი წარმოსადგენია, რომ ოდესღაც ცხოვრობდნენ იმისთანა ადამიანები, რომელთაც შეეძლოთ ანგარიში მხოლოდ სამამდე. მაგრამ არის უტყუარი საბუთები, რომელნიც მტკიცებენ იმას, რომ მართლაც უოფილა ამისთანა დრო�ი, როცა ადამიანებმა იცოდნენ მხოლოდ „ერთი“ და „ორი“, დანარჩენი რიცხვი-კი აღინიშნებოდა სიტყვით „ბევრი“.

თითებზე თვლა.

ადამიანს დასჭირდა გამოეძებნა რაიმე ლონისძიება თვლისათვის, რადგან მეხსიერებაში რიცხვები დიდხანს არ რჩებოდა. ამისათვის-კი მას ყველაზე უფრო ეადვილებოდა მიემართა თითებისათვის და მანაც დაიწყო თვლა თითებზე. ახლაც ჩვენ ბევრად ვგავდეთ ჩვენ თითები: ბევრ ხალხს თვლის საშუალება ასეთი აქვს: იციან განსაკუთრებული სახელები რიცხვებისათვის ერთიდან ოთხამდე, მერე-კი ამბობენ „ხელი“, ე. ი. ყველა ხუთი თითი, ხუთეული. შემდეგ მიჰყვება „ხუთეული“ და „ერი“, ე. ი. ექვსი და სხ. მრავალნაბი ათამდე. ძველად ჩვეულებრივად ამბობენ „ორ ხელს“, ანუ ორ ხუთეულს. ამას მიჰყვება თვლა ერთი ფეხის თითებისა. „ერთი თითი ცალი ფეხისა“ ნიშნავს ერთმეტს, „ფეხი“ ნიშნავს ოხუთმეტს, მერე მეორე ფეხზე გადადიან და ოცი აღინიშნება სიტყვით „მთელი კაცი“.

თითებზე ამნაირი თვლით რომ ჩვენმა წინაპრებმა ახლანდელ თვლამდე მიაღწიეს ამის დამამტკიცებელი საბუთი ბევრია. რუსული სიტყვა „პიატ“-ი ენათესავება სიტყვას „პიასტ, პიასტიეს“ (ე. ი. მუშტი). ეს-კი პირდაპირ გვიჩვენებს, რომ

რუსების წინაპრები ხუთის აღსანიშნავად ხმარობდნენ სიტყვას „ხელი“. რომაელი ციფრები ამასვე გვიმტკიცებენ: ნიშანი V, რომელიც ხუთის აღსანიშნავად იხმარება, წარმოადგენს სადა ნახატს ხელის ჩონჩხისას, ცერის გადაზნექით.

ჩვენშე უმაღლესი ერთეულის სათვალავად მიღებულია ათას მწვალოვად, ათერთმეტი, ე. ი. თერთმეტი, ათ-ორ-მეტი, ათ-ცამეტი, ე. ი. თორმეტი, ცამეტი და სხ. ცხადია, ასეთი თვლა წარმომდგარია ხელების-თითების ორმაგის თვლისაგან. ამისთანა ანგარიშს ჰქვია ოთწილადი. ათი ერთეული შეადგენს ათეულს, ათი ათეული — ასეულს, ასი ასეული — ათასეულს და სხ.

მაგრამ ამისთანა დალაგებული თვლა შედარებით დიდი ხანი არ არი, რაც გაჩენილა. ძველმა ხალხებმა არ იცოდნენ, მაგალითად, ჩვენი დროის მილიონები და მილიარდები; მათი თვლა ათასს არ აღემატებოდა. ყველა უმაღლესი რიცხვები, ამ რიცხვებისაგან შესდგებოდნენ*). ეს ადვილი გასაგებია, რადგან ძველებს ძვირად თუ შეხვდებოდათ საქმე ამისთანა დიდ-ძალ-ბრიცხვებთან.

როგორ ისწავლა ადამიანმა წერა.

ახლა ჩვენ უნდა გავიხილოთ, თუ როგორ ისწავლა ადამიანმა აზრების ჩაწერა, როგორ გამოიგონა წერა.

ჩვენ ვიცით, რომ თავდაპირველად ადამიანი ზოგიერთ ცემთხვევაში ჩაკეთებდა ხეებზე და სხვა საგნებზედაც ნიშნებს,

---

*) მაგალითად, ძველს ქართულში სიტყვა ათასი არ იყო. ამის მაგიერად ხმარობდნენ სიტყვას „ბევრი“. რამდენიმე ათასი აღნიშნებოდა სიტყვით „ბევრის-ბევრი“ და რამდენიმე ათი ათასი — „ბევრეული“ და სხ.

მთარგმნელი.

რომ არა თუ თითონ, არამედ სხვასაც, ეცოდინა, რომ ხე, ან სხვა ნივთი ნაპოვნი და დანიშნული იყო ამა თუ იმ პირისაგან. ამიტომ, რასაკვირველია, ყველას თავისი ნიშანი უნდა გამოეგონა, რათა არევ-დარევა არ მომხდარიყო. ამნაირად თითეულს ჰქონდა ცალ-ცალკე ნიშანი, რითაც სხვა მიხვდებოდა, თუ ვინ დაასვა ეს ნიშანი. ამისთანა ნიშნებს აკეთებდნენ სასაფლაოებზეც, რათა ეჩვენებინათ, რომელ იქ ესა და ეს პირია დასაფლავებული და რათა სამარეებს დაჰკარგოდათ ამგვარად ნიშნები ღებულობდნენ სრულიად განსაზღვრულს მნიშვნელობას.*)

ფიგურებით წერა.

ადვილად მისახვედრია, რომ ადამიანი, სიადვილისათვის ცდილობდა აღმოეჩინა იმისთანა ნიშნები, რომელთაც მოეგონებინათ მისი აღმნიშვნელი საგანი. ამნაირად გაჩნდა წერა ფიგურებით, რაც ფრიად განვითარებული იყო ეგვიპტეში. რომე საგნის აღსანიშნავად ადამიანი ჩვეულებრივ ხატავდა ამ საგანს. მაგრამ აქედან ეხლანდელ წერამდე ჯერ კიდევ შორს იყო. ნელ-ნელა, როცა ყველა მიეჩვია ნახატებით კითხვას, საგნებს სიადვილისათვის მხოლოდ აღარ ხატავდნენ, რადგან უმისოდაც ყველა მიხვდებოდა რაშიაც იყო საქმე.

მაგალითად, რომ გამოეხატა ზმამავალი ქალი, ხატავდნენ ერთი მხრისკენ ლაჯ-გადადგმულ ბატამიანს. იმის გამოსათქმელად, რომ ცაცები დაიშალნენ, დახატავდნენ სხვა-და-სხვა მხარისაკენ მიმავალ ბატამიანებს და მრავალი სხვა.

---

*) დღესაც ჩვენში სხვა-და-სხვა გვარეულობას აქვს თავისებური დალი ანუ ნიშანი, რომელსაც ცხენებს ასმენ. მაგალითად, დალი მიქელაძისა, წერეთლისა, მარშანიასი, აბაშიძისა, ველოვანისა და სხ.

მთარგმნელი.

ახლანდელ წერგაზე გადმოსვლა.

მაგრამ, რაც უფრო რთულდებოდა ადამიანის ცხოვრება, მით უფრო გაძნელდა ყველა ამ მდგომარეობათა ნახატით გამოთქმა. ამიტომ ნელ-ნელა იწყეს ხმარება იმავე ნიშნებისა, მხოლოდ ცოტათი სხვა მნიშვნელობით. დაიწყეს მათი ხმარება ცალ-ცალკე სიტყვის მარცვალთა მნიშვნელობით, რომელთაგანაც შესდგებოდა ახალი სიტყვა, როგორც ამას შვრებიან რებუსებში. აქამდე მიღწევა მით უფრო ადვილი იყო, რომ ძველ ენებში სიტყვები მოკლე-მოკლეები იყო, უმეტესად ერთ-მარცვლოვანი. ასეთი საშუალება შეძლებას აძლევდა ადამიანს დაეწერა იმისთანა სიტყვები, რომელნიც არ აღნიშნავდნენ არავითარ საგნებს და ამნაირად ჩაწერილი საუბარი უფრო ცხადი იყო.

ანბანის გამოგონება.

აქედან დიდი მანძილი აღარ იყო გამოეგონათ ისეთი ანბანი, როგორსაც ჩვენ ახლა ვხმარობთ. ამ ანბანის ნიშნები, როგორც ყველა ევროპიული ენების ანბანისა, იწყება ფინიკიელთა წერისაგან. თითონ ფინიკიელებმა-კი ეგვიპტელებისაგან გადმოიღეს ნიშნები თავისი ენის ბგერათა გამოსათქმელად. ფინიკიელების შემდეგ ერებს აღარ გამოუგონიათ წერის ნიშნები, არამედ იღებდნენ სხვის ანბანს და მიაგვარებდნენ იმას თავისს ენას.

სლავიანებმა გადმოიღეს თვისი ანბანი ბერძნებისაგან, ზოგიერთმა მისმა ნაწილმა ისარგებლა ლათინურის ანბანით: ასე, მაგალითად, ჩეხელები და პოლონელები სწერენ ლათინურის ანბანით. რუსული ანბანი მოგდებულია ბერძნულისაგან *).

დასასრული.

---

*) ქართულ ასოებს დასაწყისი აქვს ხენდურ ანბანებში, ფინიკიელებისაგან-კი ქართველებს მხოლოდ ორი-სამი ასო შეძოულიათ და სხვ...

მთარგმნელი.

No.
ชั้น
วันรับเข้าห้อง

1941 10/IX

33
3.11